

၂၀၁၉ ခု ဇူလိုင်လ



# „მოგზაური“

რედაქციისაგან.

თუმცა წელს ძალიან ცოტა ხელის-მომწერი გვეყვანდა, რედაქცია მაინც შეძლებისამებრ წინააღმდეგ გაუძღვა ჟურნალის გამოცემის ძნელს საქმეს. ხელის-მომწერთა სიმცირის მიზეზს რედაქცია მხოლოდ ჟურნალის პროგრამის სიმცირეში ვხედავდა და ამიტომ იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რომ პროგრამა ჟურნალისათვის სხვა განუთვლილად კიდევ შეესაბამებოდეს, სახელდობრ: პედაგოგიურის, სამეურნეო, სამკურნალო და სამეცნიეროთი. როგორც ვხედავს პრაქტიკული მკითხველი, ამის ნებაყოფი უკვე მივიღეთ და მეტხრე ნომრიდამ ჟურნალი ამ სახლის გავრცელებულის პროგრამით გამოდის. თუ რამოდენად საჭიროა ჩვენის ქვეყნისთვის ასეთი შინაარსის ჟურნალი, ამის გადაწყვეტათვის ჩვენი ხალხის შეგნებულის ნაწილისთვის მიგვიჩვენეთ. ვინც როგორც უნდა შეგნდოს ასეთი შინაარსის ჟურნალს, ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ იგი ამ სახით გაცილებით უფრო მეტს საზოგადოებას მოუტანს ჩვენს საზოგადოებას. იანკარიშეთ მარტო ის, თუ რამდენი მშვენიერი შინაარსის წიგნაკი შეუძინება ამის წყალობით ჩვენს ხალხს და გვითხარით: დიკსია თუ არა „მოგზაურა“ თანაგრძობა-დახმარებისა? ჯერ რა ხანია, (ამინათ სულ მარტო ორი ხომერი გამოსულა ამ შინაარსით) და ჩვენს ხალხს კი აი უკვე მრავალ-ფეროვან-შინაარსიანი იაფ-ფასიანი წიგნი შეუძინა («წერილი სოფელურ მუშას», „დიფერენტი“, „დედა-აზრი მეცნიერებისა“, „ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება“, „რა არის გონებითი განსნა-განვითარება“, „რისგან სწეულობიან და იხილებიან უდროოდ ჩვენი ბავშვები“, „ზურის ბოსტანი“, „დანაშაულობა-დამნაშავენი“ და სს.). აქ არის სხვათა შორის დიადი დანიშნულება ჩვენი ჟურნალისა და იმედი გვაქვს საზოგადოება მხარს არ მოკვტებს თავისი გულ-გრილობით ჩვენი ჟურნალისადმი. ფასი იგივე რჩება, ე. ი. 5 მან., ხოლო მასწავლებლებისთვის და სხვა ღარიბ დაწყებულ-ლებათათვის — ოთხი მანეთი. რომ თვით ღარიბნი არ ვიყვნეთ, სულად მუქათ დაგვტოვებდით ჟურნალს უკანასკნელებს, მაგრამ რა ვქნათ, რომ თვითონაც მუშა მარჯვენის მეტი სხვა არა გვაბადია-რა!..

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

## თ ბ ი ლ ი ს ი

სტამბა ექვ. ივ. ხელაძისა, რუხის ბაზარი, საეკვ. სახლი

1902



Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Октября, 1902 года.

# პ ე დ ა გ ო გ ი ა.

## რა არის გონებითი გახსნა-განვითარება ზნეობითი აღზრდა?

(ანვითარების თუ არა გონებათად აღამიანს მათემატიკისა და ძველი  
ენების სწავლება, ან თუ მათის შესწავლით აღამიანი მხოლოდ უწ-  
ეებულს ცოდნას იძენს ამ საგნებიდან?)

რასაც ჰკვას, გონებას და გონებითს განვითარებას ვეძახით,  
ორნაირია: ერთია თვით ბუნებითი ძალა გონებისა, რომელიც  
შემდგეში, გამუდმებულის კავშირით გარემო ბუნებასთან და  
ცხოვრებასთან, იძენს ყოველ-გვარს ცოდნას. ეს ცოდნანი ისე  
მჭიდროდ უერთდება მოხსენებულს ბუნებით თან-დაყოლილს  
გონებითს ძალას, რომ ჩვენ ველარ ვარჩევთ, სად იწყობა ერთი  
და სად თავდება მეორე. ამიტომ, თუ გვინდა რამოდენადმე უკეთ  
გავიგოთ გონების (ჰკვის) მნიშვნელობა, საჭიროა ორის მხრიტ  
შევიხედოთ მას: ერთის მხრიტ, როგორც ბუნებითს ძალას გო-  
ნებისას, რომელიც გვეძლევა ჩვენ თან-დაყოლებით თვით  
ბუნებისაგან, როგორც ძალას აზროვნებისა, შემეცნებისა და  
შემოქმედებისას, მორქმულსა შრავალ-გვარის ნიჭითა და აღა-  
მიანის ხელმძღვანელის ნებითა, და მეორეს მხრიტ, — როგორც  
ცოდნას, რომელსაც იძენს აღამიანი ამ ბუნებითის გონებითის  
ძალითა გარემო ქვეყნიერებიდამ—გამოცდილებით, მსჯელო-  
ბით, ფიქრით, დაკვირვებით, და რომელნიც იმავე დროს  
ედება საფუძვლად მის პრაქტიკულს მოქმედებას. ამბო-  
ბენ, მათემატიკისა და ძველის ენების შესწავლა ხსნის და ან-  
ვითარებს აღამიანს გონებრივად. ეს იმიტომაო, რომ ამათი  
შესწავლა უძნელესი საქმეა მთელს სწავლებაშიო; მათი  
შესწავლა თხოულობს აღამიანის გონებისაგან (ჰკვისაგან)

ხან-გრძლივს მუშაობას, მოსაზრება-მსჯელობას; მისაკვლევად მათემატიკის ქეშმარიტებათა და გასაგებად ლათინურისა და ბერძნულის უუძნელესი ტექსტებისა საჭიროა ღრმად ჩაფიქრება, საჭიროა მრავალზე-უმრავლეს დაბრკოლებათა დაძლევა, ერთი სიტყვით, საჭიროა აზრის მოძრაობა მრავალ-ფერად, რომ მოსწავლე მისწვდეს მათემატიკის ყოველ ამიცანებს და ძველის ენების ტექსტების ყოველ წვლილთაო. აი ეს ბრძოლა ჭკვა-გონებისა დაბრკოლებებთან, აი ეს გონებითი სიძნელენი ხსნიან, აბრწყინებენ და ანვითარებენ ჩვენს ბუნებითს გონებითს ძალასო, წვრთნიან მას ყოველგვარ სიძნელეთა დასაძლევად სამეცნიერო თუ პრაქტიკული კითხვების ახსნისა და განხორციელების დროსაო...

მაგრამ ყველა ეს საბუთები მხოლოდ მოჩვენებითია და გარეგნობითაა მართალი, რადგანაც, როცა ადამიანი ეწევა ზემოდ-მოხსენებულს სიზიფის სწავლა-მუშაობას, იგი, ნამდვილად, თვით ბუნებითს გონებითს ძალას კი არ ანვითარებს, არამედ მხოლოდ აჩენს ამ ძალას, რომლითაც იგი იძენს ცოდნას სხვა და სხვა საგნებზედ. როგორც სინათლე, რომელიც ანათებს-რა საგნებს, ამით არ ჰმატებს არავითარს ძალას თვით თავის შემქმნელს მასალას, არამედ მხოლოდ აცნობებს მდგომარეობას განათებულის საგნებისას, ღიახ, სწორედ ესევე, ბუნებითის გონების შემწეობით შეძენილი ცოდნანი, რა თვისებისანიც უნდა იყვნენ ეს უკანასკნელები, არ შეიძლება გახდნენ მიზეზად და წყაროდ თვით გონებითის ძალის განდიდებისა, განვითარება-გაბრწყინებისა. ღიახ! ჭკვა-გონების ბრძოლანი და შრომანი ათას-გვარ სიძნელესთან მათემატიკისა და ძველის ენების შესასწავლად, გვაძლევენ მხოლოდ მრავალ-გვარ ცოდნას ამ საგნებიდამ და არა (თუ შეიძლება ასე ვსთქვათ) მრავალ-გვარად აღმატებულს, უფრო ნიჭიერს ჭკვა-გონებას...

გონების მოქმედება იხატება აზროვნებაში. უკანასკნელის პროცესში ორი მხარეა აღსანიშნი: ერთია — ძალა გონებისა,

ძალა აზროვნებისა; — მეორეა — ის საგანი ანუ ჭეშმარიტება, რომელზედაც აზროვნებს პირველი მხარე. ახლა ვიკითხოთ: რომელს მხარეს უნდა დაეთმოს პირველობა გონებითს მოქმედებაში — ბუნებითს გონებითს ძალას, თუ იმ საგანს, რომელზედაც მუშაობს აზროვნობა? რომელი მხარეა აქტიურობა და რომელი პასივური? პასუხი ცხადია. თუ, თქმულის მერე, რაშია ცეკვი არ არის, პირველობა ეკუთვნის გონებითს ძალას, ცხადია, რომ არც მათემატიკას და არც ძველს ენებს, ვითარცა პასივური მხარის საგნებს, არ შეუძლიანთ განადიდონ და განავითარონ აქტიური მხარე გონებისა, რადგან ესენი არიან მხოლოდ და მხოლოდ მასალა ამ ძალის სამოქმედოდ. მშვენივრად შეადარა ერთმა მწერალმა გონებითი ძალა დედა-მიწის ნიადაგს და მათემატიკა ძველი ენებითურთ იმ თესლს, რომელსაც მთესველი აბნევს წიაღსა შინა ნიადაგისა. როგორც თესლს არ შეუძლიან იქონიოს რაიმე გავლენა ნიადაგის ბუნებითს თვისებებთა განვითარებაზედ, რადგანაც იგი მხოლოდ მასალაა ნიადაგისთვის მცენარის აღმოსაცენად, სწორედ აგრეთვე, მათემატიკას და ძველს ენებს არასოდეს არ შეუძლიანთ იქონიონ რაიმე გავლენა გონების ბუნებითს თვისებებთა განვითარება-მომატებაზედ...

აქ შეიძლება გვიპასუხონ, რომ თუ არ იქნება მასალა გონების ძალის სამოქმედოდ, არც თვით გონებითი ძალის განვითარება იქნებაო, მაგრამ, ვიმეორებთ და გვახსოვდეს კიდევ, რომ ჭკვა-გონება, ვითარცა დამოუკიდებელი სულიერი ნიჭი, ყოვლად დამოუკიდებლადვე პოულობს თავისს სამოქმედო მასალას. მაშასადამე, თუ არ იქნებოდა გონებითი ძალის სამოქმედო საგნები, ამით ჩვენ მხოლოდ ამ საგნებზედ ცოდნას ვერ შევიძენდით, მაგრამ გონებითი ძალა მაინც არსად დაგვეკარგებოდა, იგი განუყრელად ჩვენთან იქნებოდა და განუყრელადც და მარადაც იქნებოდა მოქმედებაში; იგი თვითონვე მოიპოვებდა მოქმედების მასალას და შეჰქმნიდა კიდევ უწყებულს ცოდნას ანუ აღმოაჩენდა

ახალ-ახალს ქეშმარიტებათ, იმის-და მიხედვით, თუ თვით ბუნებით რა ნიჭისა და ძალის პატრონი იქნებოდა ეს ქვეა-გონება. მართალია, მათემატიკის და ძველის ენების ღრმად შესწავლა ფრიად სასარგებლოა ყოველი ადამიანისათვის; ძველის ენების მეოხებით ადამიანი იძენს უკეთეს იარაღს ძველის ღროის უუდიდეს ჰენიოსების დედნითვე გასაცნობად, ხოლო მათემატიკა, ურომლოთაც შეუძლებელია სულ უბრალო აღმოჩენაც, მეცნიერებისა თუ ცხოვრების რომელიმე სფერაში. . .

დიახ, იმას მოგახსენებთ, რომ ყოველი ეს მართალია, მაგრამ მაინც უნდა გამოვტყდეთ და სამუდამოთაც ვიცოდეთ, რომ მათის შესწავლით ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან უუტკვიანესი, უუგონიერესი გონების შექმნა, ისეთი გონებისა, რომელიც გამოსადეგი იქნება ცხოვრების ყოველგვარ ასპარეზზედ.

რაც შეეხება იმას, რომ მათემატიკის და ძველის ენების ღირსება, გარდა მათგან შეძენილ ცოდნისა, იმაშია, რომ მათის შესწავლით ჩვენ ვიწვევთ სამოქმედო გონების უწყებულს ნიჭებს და მხარეებს, რომ უიმისოთ ჩვენი ნიჭები და მხარენი განუფითარებელნი და გაუხსნელნი დარჩებოდნენ, ამაზედ უნდა ვსთქვათ, რომ ეს გამოწვევა ამა თუ იმ ნიჭისა საზოგადო კანონია: იგი ერთგვარად ეკუთვნის და დაერთვის არა მხოლოდ მათემატიკის და ძველის ენების შესწავლას, არამედ სხვა ყოველ სწავლას და საქმესაც საზოგადოთ. ეს სპეციალური საქმეები იწვევენ სპეციალურსავე ნიჭებს და არა საზოგადოს, რომელთ მოხმარება-გამოყენება ყველგან და ყოველთვის შეიძლებოდეს. თუ ჩვენ ჩვენს ყოველს ძალას და ყურადღებას მათემატიკის ღრმად შესწავლას ვაღწევთ, დეჰმადარ უნდა, რომ ამით ჩვენ ში ნელ-ნელა გამოვიწვევთ ნიჭს, მაგრამ მხოლოდ მათემატიკის შესწავლისას; თუ ასევე, ჩვენს ყოველს ძალას და ყურადღებას ძველის ენების ღრმად შესწავლას ვაღწევთ, მაშინ ასევე ამით ჩვენ გამოვიწვევთ ჩვენში ძველის ენების შესწავლის ნიჭს, — ბუნების-მეტყველების შესწავლით — ამ საგნის შესასწავლ ნიჭს და სხვა. ეს გარემოება არის მი-

ზეზი, რომ თუ შესამცნებლად რომელიმე საგნისა, ჩვენ არა გვაქვს ბუნებითვე საამისოდ საჭირო ნიჭი, ჩვენ ვერც საკმარისად შევიგნებთ ამ საგანს და არც ხალისი გვექნება მის შესწავლისათვის. პირიქით, თუ ჩვენ გვაქვს საგანგებო ნიჭი ამა თუ იმ საგნის შესწავლისათვის, მაშინ ჩვენ თვით უუძნელეს ადგილებსაც კი იმ საგნისას ადვილად ვიგებთ და ხალისიანადაც ვსწავლობთ მათ, თუნდაც ხშირად მთელს დღეებსა და ღამეებსაც ვანდომებდეთ მათს შესწავლასა. კაცია და გუნება, იტყვიან ჩვენში და მართლაც ამბობენ!..

ჩვენში იტყვიან ხოლმე, რომ, ვითომც, სამეცნიერო ცოდნა და საზოგადოთ სასწავლო საგნები ხსნიან და ანვითარებენ ჩვენს ნიჭებს; ეს დებულება, ზემო-თქმულის შემდეგ, ასე უნდა შეიცვალოს: ჩვენი ჭკვა-გონება ანუ გონებითი ნიჭი ხსნიან და ანვითარებენ ჩვენს სამეცნიერო ცნობებს და არა ცნობანი — ჩვენს გონებითს ნიჭებს. მათემატიკის, ძველი ენების და სხვა ეფემერი საგნის შესწავლა კი არ ანიჭებს ჩვენს ჭკვას რაღაც საგანგებო თვისებებს, არამედ, პირიქით, თვით ჭკვა იჩენს მათის შესწავლის დროს ისეთს თვისებებს, რომლებიც საჭიროა ამა თუ იმ საგნის წარმატებით შესასწავლად. მოკლეთ ვსთქვათ: გონებითი ძალა სამეცნიერო სწავლით არ დიდდება, მხოლოდ იძენს ცოდნას და სხვას ვი არაფერს. რომ თქმული მართალია, ცხადია შემდეგიდამ: წარმოვიდგინოთ, რომ საგნების შესწავლა მართლად და ხსნის და ანვითარებს ჩვენს გონებითს ძალას; გამოდის, რომ ევოლიუციისა და მემკვიდრეობის კანონის ძალით, კაცობრიობის არსებობის დღიდან აქამომდე ისე უნდა განდიდებულიყო ადამიანის გონებითი ძალა, რომ დღეს წარმოუდგენელის გონების ბუმბერაზნი უნდა დაბადებულიყვნენ ყოველი მეცნიერების და ცოდნის სფერაში... მაგრამ ვინ არ ვიცით, რომ ამისი ნასახიც კი არსად არის...

რაც შეეხება იმას, რომ დღეს ასე სწრაფად წინ მიდის ყოველი მეცნიერება, ეს მიეწერება არა ადამიანის ჭკვა-გონების მომატება-განდიდებას, შედარებით უწინდელთან, არა-

მედ და მხოლოდ მთელის საუკუნეების გონებითის მოქმედების და მის შედეგების ჯამს, როჩელთ წყალობითაც დღევანდელს, უწინდელთან შედარებით გაცილებით უფრო მშვიდობიანს, დროს, ადვილად შეუძლიან შემოქმედების გამოჩენა ათას-გვარ აღმოჩენაში. აი რატომ არის პროგრესისათვის საჭირო ღრმად შესწავლა ყოველი უკვე აღმოჩენილის ცოდნისა, რომ ადამიანი ტყუილსუბრალოდ დროს არ იღვედეს იმას, რაც უკვე დიდი ხანია შეუძენვეია კაცობრიობას, და არა იმიტომ, რომ ეს შესწავლა ხსნის და ანვითარებს ადამიანის გონებითს ძალას!.. ჰკვა და გონება მონიჭებული გვაქვს ჩვენ ადამიანებს შესამცნებელად გარემო ბუნებისა და ცხოვრებისა, ვითარცა გვაქვს თვალი, რომ ყველაფერი დავინახოთ, ყურები—რომ ყველაფერი გავიგონოთ და სხვა. გარემო ქვეყნის და ცხოვრების შემეცნება იმისთვის კი არ არის ჩვენთვის საჭირო, რომ ყოველ ჩვენგანს შეჰმატოს ბუნებით მოცემული ჰკვა-გონება, არამედ და მხოლოდ იმ ცოდნა-გეშმარებთათა შესაძენად—თუ როგორ ვიცხოვროთ უფრო წესიერად, უფრო გონიერად, უფრო კარგად და ადვილად. რაც შეეხება რწმენას, რომ შეიძლება მომატებულ იქმნას ის ძალა, რომლითაც ვიძენთ და ვანვითარებთ ცოდნას, ამისი ძებნა ისევე ფუჭია, როგორც ძებნა უკვდავის წყლისა!..

როგორ ვიცხოვროთ უფრო წესიერად, უფრო გონიერად; უფრო პატიოსნურად, უფრო ადამიანურად, უფრო კარგად და ადვილად!.. აი ალფა და ომეგა ყოველის სწავლისა და სკოლისა!.. ეს კი ისეთი ცოდნაა, რომელიც შეიძინება მხოლოდ და მხოლოდ გამუდმებულისავე მეცადინეობით—ვიყვნეთ უფრო კეთილნი, გონიერნი, ერთი სიტყვით—დიდ ზნეობიანნი, პატიოსანნი... ერთხელ სადღაც ვსთქვიოთ და ახლაც ვიმეორებთ: თუ ბერძენი ამბობდნენ: „საღს სხეულში—საღი სულია“, ჩვენ ვამბობთ: „საღს სულში, საღი სხეული“. ამაღლეთ სული, შთაუნერგეთ მას საუკეთესო მისწრაფებანი ადამიანის სიცოცხლისა და მისი მოქმედების შესამცნებელად, შეაგონეთ,

რომ ყოველი მეცნიერების და ცოდნის უმთავრესი დანიშნულება კვლავ ამავე კეთილისა და უკეთესი ცხოვრების დამყარებაა ადამიანთა შორის და არა მხოლოდ მათი ქონვა თავში ლიტონი ცოდნის ტვირთად, გააცხოველევით ყოველი საშუალებით თქვენს მოწაფეებში ხალისი ცხოვრებითის კითხვებისადმი, ნუ გადასდებთ ამ კითხვების შემეცნება-შეგნებას შემდეგისათვის, როცა მოსწავლე ცხოვრებაში გამოვა, მაშინ გვიანლა იქნება, იგი ახლავე, სანამ სასწავლებელშია, სანამ მასწავლებლის ხელშია, ახლავე უნდა გახდეს ნამდვილი ადამიანი, მან ახლავე უნდა შეიგნოს ყოველი განი და სიგრძე, სიღრმე და სიმაღლე თვისი ამ ქვეყნად დანიშნულებისა—ადამიანთ ცხოვრების საუკეთესოდ მოწყობისა... ნურც მარტოდენ სამართო სჯულის სწავლებაზედ ანუ მშობლების-მიერ შეიღების აღზრდაზედ დაამყარებთ ამ რთულ, უსაჭიროეს საგანს. იგი უმთავრესი მიზანია ყოველის სწავლისა და სკოლისა და თქვენც უმთავრეს თავად დასახეთ, გახადეთ იგი! თუ თქვენ სკოლაშივე არ აუხსნით და არ განუმარტავთ ყოველს ამას, ცხოვრებაში რომ გამოვლენ ცარიელი სამეცნიერო ცოდნით დატვირთულნი და გაბრუებულნი, ცხოვრების ცუდნი მხარენი, ვნებანი, ბიწიერებანი, მავნე ჩვეულებანი (თამბაქოს წევა, ლოთობა, უსაქმობა, სასამართლოებში ჩივილი და დავიდარაბა), რომლებზედაც მათ არ მოეპოვებათ რამოდენადმე ღონიერი წინააღმდეგი საბუთები, ადვილად დასძლებენ მათ და თქვენი სამეცნიერო აღზრდა-ცოდნაც, მაშასადამე, ფუჭად ჩაივლის!

ეს კი მაშინ შეიძლება, როცა სკოლის-მიერ ასე ამადლებული, განდიდებული და განბრწყინებული სწავლა-მეცნიერება შეფერებული იქნება მოსწავლის ბუნებითის გონებითის ძალ-ნიჭებთან და არა მექანიკურად და ძალად შეთვისება-შესწავლაზედ იქნება დამყარებული მათი შემეცნება-შესწავლა. ერთი მიბრძანეთ, რა პატიოსნება, გულ-კეთილობა, კაცთმოყვარება და სხვა ყოველი სათნოება გნებავთ აღძრათ მო-

წაფეში, რომელიც დღე-მუდამ მარტო იმაზედ წვალობს და იწვის, თუ როგორ და რაგვარად შეიგნოს-ისწავლოს ამა თუ იმ საგნის, მისი ბუნებითის ნიჭებისთვის, ყოვლად მიუწდომელი სწავლანი!?. აქ სხვა რამ არის **საჭირო** და დღეს სწორედ ეს „**საჭიროა**“ სრულიად უკუ-გდებული დღევანდელი სწავლა-განათლებისაგან, რის გამოც დასაბამშივე ითვლებან ორჩი ახალგაზდების სულის და გონების უუკეთესი მხარენი.

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენს 8 კლასიან სასწავლებელში ასწავლიან შემდეგს. 12 საგანს: წერას; კითხვას, ანგარიშს, გეომეტრიას, სამლო-წერილს, ბუნების-მეტყველებას, ისტორიას, გეოგრაფიას, ფრანგულს, ნემეცურს, ლათინურს და ბერძნულს. ესთქვათ, მე ვარ მეოთხე კლასის მოწაფე, მაგრამ წერით კი ისე ვწერ, როგორც შეჭფერის მეხუთე კლასის მოწაფეს; ასევე დაწინაურებული ვარ კითხვაში; ასევე გახლავართ სამლო-სჯულას, ბუნების-მეტყველების და ისტორია-გეოგრაფიის სწავლა-შემეცნებაში, მაგრამ ანგარიშსა და გეომეტრიაში, ფრანგულსა, ნემეცურსა და ლათინურსა და ბერძნულის სწავლა-შემეცნებაში კი ისე ჩამორჩენილი გახლავართ, რომ მათის შეუმცნებლობის წყალობით მე უკვე ორჯელ დაერჩი ორ-ორი წელიწადი მეორესა და მესამე კლასებში და ალბათ ესევე მომელის შემდეგს კლასებში, ანუ, რაც უფრო ნამდვილია, მომელის სასწავლებლიდამ სწავლის დაუმთავრებლად გამოსვლა, გამორიცხვა (რომლის უფლება არავის არ უნდა ჰქონდეს იმ დრომდის, სანამ მე სწავლა მინდა!). მერე რათა? რითა ვარ მე დამნაშავე, რომ ჩემს ბუნებითს გონებითს ძალებს ვერ დაუძლევა ზოგიერთი სასწავლო საგნების ზოგიერთი მხარენი, სიძნელენი? რატომ იმას კი არ ანგარიშობენ, რომ მაგიერში მე ღონიერი ვარ წერა-კითხვაში, სამლო-სჯულისა და ბუნების-მეტყველებაში და ისტორია-გეოგრაფიაში!? რატომ საშუალებას არ მაძლევენ დაუბრკოლებლად დავასრულო ჩემის ნიჭების შესაფერი სასწავლო-საგნები და მით მეც აღამიანი გამოვიდე? რატომ ვერ შეუგნიათ, რომ რამდენა-

დაც დავხელოვნდები ჩემის ნიჭებისთვის შესაფერის საგნების შესწავლაში, რამდენადაც ღრმად შევისწავლი მე ამათ, მით ჩემის ნიჭებისათვის აქამომდე ძნელად მიუწლომელ საგნებსაც უფრო ადვილად შევისწავლი-შევიგნებ!? მერე, როგორი ადვილია საქმის ისე მოწყობა, რომ ყოველი მოსწავლე ყველაფერს, მართლაც, თავ-თავის ადგილას სწავლობდეს, რომ იგი ყველაფერში უეჭველად ნიჭის შესაფერად ირჯუბოდეს, შრომობდეს და მით სავსებით სრულდებოდეს ის დებულება ჰედაგოგიისა, რომელიც ამბობს: აღზარდეთ და ასწავლეთ მოწაფის ბუნების შესაფერის-და-გვარად (учите и воспитывайте соответственно с природой воспитанника)). ამისათვის კი ჯერ-ჯერობით სრულიად საკმაო იქნება შემოვიღოთ ჩვენს კლასებში ორ-ჯგუფური სწავლა ერთ და იმავე საათშივე, ე. ი. ყოველმა მასწავლებელმა, ყველამ თავ-თავის საგანში, უნდა გაყოს ყოველი კლასის მოსწავლეობა ორ ჯგუფად: ერთს ჯგუფში უნდა დასოს ნიჭიერი (4 და 5 ნიშნების პატრონები, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ) და მეორე ჯგუფში დანარჩენები, უფრო დაბალი ხარისხის ნიჭის მოსწავლენი და ასწავლოს ორივე ჯგუფს ცალ-ცალკე, ნახევარ-ნახევარი საათი თვითეულს, როგორც ეს ახლაც სრულდება ზოგიერთ სამოქალაქო სკოლებში, სადაც ორს განყოფილებაზედ ერთი მასწავლებელია დანიშნული. უპირატესობა ამ ჩვენს წესში ისაა, რომ ჩვენი მასწავლებელი, მართალია, ორს ჯგუფს ასწავლის, მაგრამ ერთსა და იმავე საგანს, სამოქალაქო სასწავლებელში კი — სხვა-და-სხვას. ასეთი წესი სწავლებისა მართალია თხოულ ობს მასწავლებლისაგან მეტს სიცოცხლეს, მოძრაობას, შრომას, მაგრამ სადაც მოსწავლეები ბუნების-და-გვარად აღიზრდებიან, რა სათქმელია იქ მეტი შრომა! მეორე უპირატესობა ამ წესისა დღევანდელთან შედარებით იმაშია, რომ იგი შეიძლება გვაძლევს განვაფითაროთ მოწაფეებში თვით-მოქმედება, რადგანაც, მასწავლებელი რომ ერთს ჯგუფს ასწავლის, მეორე ჯგუფს აძლევს სათვით-მოქმედო სამუშაოს, როგორც განმარ-

ტებული გვექონდა წერილში „რა არის კარგი გაკვეთილი“. ეს კი ისეთი ღირსებაა, რომ ღირს მთელ სისტემად... გვახსოვდეს, რომ თვით-მოქმედება სწავლაში უკეთესი საშუალებაა ჩამორჩენილ მოსწავლეთა დაწინაურებისათვის... ვამბობთ ჯერ-ჯერობით ორ-ჯგუფურის წესით ვასწავლოთო, ეს იმიტომ, რომ არის მეორე უკეთესი სისტემა ინდივიდუალურის სწავლებისა, ეს გახლავს ეგრედ წოდებული საგნის კლასები, სადაც ერთი და იგივე მოსწავლე, მათემატიკაში რომ, ვსთქვათ, ზის მესამე კლასში, გეოგრაფია-ისტორიაში მეხუთე კლასში ზის, ფრანგულ-ნემეცურისაში—მეექვსე კლასში, ბუნების-მეტყველებაში—მეოთხე კლასში და სხვ. მაგრამ ასეთი სისტემით სწავლება ჩვენს სკოლებში შორს არის და ამიტომ ჯერ ისევ ორ-ჯგუფურის სწავლის სისტემით დავკმაყოფილდეთ, რომლის შემოღება-მოწყობა მთლად თვით მასწავლებელზეა დამოკიდებული და დღესვე შეიძლება განხორციელებულ იქმნას. ერთი სიტყვით, საჭიროა სასწავლო საგნების სულ უკანასკნელამდის შემსუბუქება, მათის შესწავლის საქმის სრულს თავისუფალს ნებისა და ნიჭის შეძლებაზედ დამყარება... აბა მაშინ მოვესწრობით იმ ნეტარ დროს, რომ ჩოველი ადამიანი ადამიანად აღიზრდება--მშვიდი, წყნარი, ყველას კეთილის-მყოფელი, სიცოცხლით, ჯანით და ხალისით სავსე, სრული მეცნიერი საკუთარი ბუნებითის ნიჭით და ნებით შემეცნებულ საგნებისა. გერმანიაში ერთი მასწავლებელი ხშირად ექვს განყოფილებას ასწავლის და ჩვენ ორს როგორ ვერ უნდა გავუძღვეთ!?. თუ ასე მოაწყობთ საქმეს, დაინახავთ, რომ მოსწავლე, რომელიც, ვსთქვათ, გეოგრაფია-ისტორიის მასწავლებელს ჩამორჩენილთა ჯგუფში უზის, მათემატიკის მასწავლებელს ხუთიანების ჯგუფში უზის და სხვ. ვისაც ასხიან ყურნი ისმინონ...

### ზნეობითი აღზრდა ჩვენს სკოლებში.

ჩვენ ვსთქვით, რომ ასეთი წესი სწავლა-განათლებისა ყველას ერთი ათად უკეთეს ადამიანებს გაგვიზრდის, რადგანაც ნიჭებთან შეფარდებული სამეცნიერო სწავლა იმავე დროს გაადამიანების, ადამიანის ზნეობის ამამაღლებელიც არის. მაგრამ, რომ ამ უუდიდეს მიზანსაც ადვილად ივალწიოთ, აუცილებლად საჭიროა ისეთივე საგანგებო ყუ-

რადღებამივაქციოთ საზნეობო მხარის სრულს აღზრდას ადამიანში, როგორც სამეცნიერო ცოდნის შეძენაზე გვაქვს მიქცეული. ვსთქვათ ამაზედაც ორიოდ სიტყვა.

დამტკიცება არ უნდა, რომ ჩვენი სკოლები დღეს უფრო ცოდნის გამავრცელებელნი არიან, ვიდრე აღზრდისა; დღევანდელი სკოლა მთელს თავისს უნარს და ძალას იმას ანდომებს, რომ მოსწავლემ ოღონდ კი კარგად ისწავლოს, კარგად შეიტვისოს (დაიხსომოს) ის აუარებელი ცოდნა, რომლის მესაკუთრეა დღევანდელი სწავლა მეცნიერება და მას მერე თუნდა ქვეაქვაზედაც ნულარ იქნება. რა ემართება ამდროს თვით ადამიანს, მის გონებრივს და ზნეობრივს ძალებს, ვითარდება იგი თუ ილახება, ამას დღევანდელი სკოლა სრულიად არაფერს დაგიდევს, აინუნშიაც არ მოაქვს მას ეს.

ეს არის მიზეზი, რომ პირველად ჩრდილო ამერიკაში და მის შემდეგ გერმანიაში მრავლად დაარსდა ეთიკური (ზნეობრივი) საზოგადოებანა, რომელთა მიზანია ხალხისა და განსაკუთრებით ახალგაზდობის ხასიათის და ზნეობის გათავისებება-გაუკეთესება; ეს საზოგადოებანი ცდილობენ შეიტანონ სკოლის პროგრამაში ეთიკის სწავლებაც, რომელიც, მათის აზრით, უნდა იწყობოდეს ზნეობრივ თვალ-საჩინო სწავლებიდან და ნელ-ნელა, ვადადიოდეს უმაღლესი ზნეობრივი იდეების განმარტებაზედ. გარდა ეთიკის სწავლებისა, უმთავრეს საშუალებად ზნეობრივის გავლენისა ახალგაზდობაზედ მათ მიიჩნიათ პირადი მაგალითი, ლექციები და საუბრები საზნეობო საგნებზედ, რომ ყველა ამით შექმნან ძლიერი ზნეობის ხასიათი. ა.ე და ამ გზით ჰსურთ ეთიკის საზოგადოებათ გააკეთილშობილონ და გადაახლისონ, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, გონებითი და ზნეობითი მისწრაფებანი დღევანდელი ზნე-დაცემული და ავათმყოფი საზოგადოებისა. ვინც ვერ გასცილებია პირად ინტერესებს, ვისაც არ შეუძლიან სხვათა სიყვარული ვითარცა საკუთარის თავისა, ვისაც არ შეუძლიან შეიშენოს ის უბრალო ქეშმარიტება, რომ ყოველი ადამიანის დანიშნულება არის და იქნება ოჯახისა, საზოგადოებისა და ხალხის სასარგებლოდ მოქმედება-მოღვაწეობა, მას იგინი სთვლიან ურწმუნო, უზნეო არსებად. ზნეობა არის იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა განერიდოს ადამიანი ლიტონ პირადულ ცხოვრებას, როგორ უნდა იცხოვროს სხვა უმაღლეს საგნისათვის... სიმარ-

თლე და საყვარული მოყვასთადმი—აი ზნეობის ის მხარენი, რომლებიც დასაბამითვე შთანერგილა ადამიანის ბუნებაში.

1892 წელს ნემცებმა მოიწვიეს ამერიკილამ ბერლინიში, დ-რი ადლერი, უკეთესი წარმომადგენელი ზნეობრივის მოძრაობისა ამერიკაში. მან დიდის სიამოვნებით მიიღო ეს მოწოდება, ჩამოვიდა ბერლინიში და უთვალავ მსმენელთ წინაშე წაიკითხა შემდეგი:

დამაარსებელნი ეთიკურ საზოგადოებათა ფიქრობენ, რომ განახლება შეიძლება არა სამეცნიერო გზით, რომელსაც მიჰყავს ადამიანი მხოლოდ ქვეყნიერების მექანიკურ შემეცნებისადმი, არამედ და მხოლოდ ღრმა და საფუძვლიანი **ზნეობრივი ცდის** და **ცხოვრების სწავლის** საშუალებითაო. შემოქმედებითი **ზნეობრივი მისწრაფებანი** — აი, საფუძველი ეთიკურის მოძრაობისა. ნუ კმაყოფილდები მარტო იმით, რომ „ვალდებულება გიბრძანებს ამა თუ იმ საქმის გაკეთებას“, არამედ: „**ეცადე გამოიძიო-გამოიკვლიო რა შეადგენს შენს უმაღლეს ვალდებულებას, შენს უმაღლეს მოვალეობას. მარად ესწრაფოდე შთაბერო ახალი სული ძველს ცნებებს და მოთხოვნილებებს, ეცადე განაწიოარო და შეუფარდო იგინი შენის ღრმის გარემოებებს, თანამედროვე უკეთეს ზნეობრივ მოთხოვნილებებს.**“

წესიერი და ზნეობიანი ცხოვრება უძნელესი ხელოვნებაა; მისი შესწავლა ადამიანს შეუძლიან მხოლოდ ხანგრძლივის ვარჯიშობით, ამიტომ დასაბამიდანვე უთუოთ უნდა ვვარჯიშობდეთ მის სავსებით შესავნებლად და შესასწავლად. ზნეობის სწავლა შეიძლება გავყოთ ორად: პირველი, 15—16 წლამდის და მეორე მას მერე. უთუოდ უნდა ასწავლიდნენ ზნეობას (მორალს), ხოლო პირველ ხანებში საჭიროა ასწავლოთ ზნეობა თვალ-საჩინოდ და მხოლოდ შემდეგში გარდასცეთ მათ პირდაპირი ზნეობრივი ცნებებიც. აქ დიდად გამოსადევია იგავ-არაკები, მითნი და სამღთო სჯულის ამბავნი, მარტივად და უბრალოდ გარდაცემულნი სოკრატის მეთოდით. კარგია აგრეთვე ბრძენთა თქმულებანი, ბიოგრაფიები სახელოვან კაცებისა და სიტყვანი საზნეობო ხასიათისა. ნუ ვგონიათ, რომ ასეთი მშრალი სწავლა ზნეობისა შეაჯავრებს მათ ზნეობას, არა. გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ბავშვები დიდის ხალისით ისმენენ-სწავლობენ ასეთს გაკვეთილებს და ხშირად დიდს პირუთვნელს აღტაცებაშიაც მოდიანო.

15—16 წლიდან უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოთ

სვინიდისისა და შემეცნების განვითარებას ყმაწვილებში, პირადული (სხეულისა, ჭკვისა და გრძნობათადმი) და საზოგადოებრივი (ყოველ ადამიანის, ოჯახის და ხალხისადმი) მოვალეობების შეთვისებას, მაგალითებით, გამოცდილებით, მგოსანთა და ბრძენთა საუკეთესო ნაწარმოებთა და თქმულებათა განმარტებით, შესწავლით და ბოლოს, განსაკუთრებით სახელოვან კაცების—მოაზრეთა, ფილანტროპთა, რეფორმატორთა და მისთანათა ბიოგრაფიების წაკითხვით და შესწავლით. ამით თქვენ აცნობებთ მოზარდ თაობას (ქალებს და ვაჟებს) რჩეულთ საზოგადოებას, კაცობრიობის უუკეთეს წარმომადგენლებს, აცნობებთ, ასე ვსთქვათ, ცხოვრების იდეალს!..

საუკეთესო მეთოდის ზნეობის სწავლებაში სოკრატის მეთოდია, ე. ი. ინდუქტიური. მაგალითად, ვებასებით მოსწავლეებს სიმარტლეზუჯდ. როდის უნდა ასე უქადაგებდეა: „მუდამ სიმარტლე სთქვი! ბავშვებო, ცოდოა ტყუილი ლაპარაკი, სირცხვილია!“ ამის მაგივრად მასწავლებელი ასე იქცევა:

„დღეს წავიკითხე გაზეთში, რომ ერთს ვილაც უზრუნველს კაცს ანთებული სპიჩკა გადუგდია, სპიჩკიდგან ცეცხლი ძნას მოჰკიდებია, ძნიდან სახლს და მთელი ოჯახი გადაბუგულა. დამნაშავე წაიყვანეს სასამართლოში, სადაციგი რწმუნებდა მოსამართლეებს, რომ დამნაშავე არა ვარო. „რას უწოდებთ მის ასეთს ქცევას?“—„ტყუილს, უსამართლობას“. —რა მიზეზით თქვენ მის ასეთს ქცევას ტყუილს და უსამართლობას ეძახით?“—იმ მიზეზით, რომ ამ კაცის ჩვენება ეწინააღმდეგება იმას, რაც მოხდა, ეწინააღმდეგება ფაქტს?—კმაყოფილი ხართ თქვენ ასეთი ახსნით? განა, რაც ეწინააღმდეგება ფაქტს, ტყუილია? ძველი ვარსკვლავთ-მრიცხველნი ამტკიცებენ, რომ მზე ბრუნავს მიწის გარშემო, რომ მიწა პრტყეულია; შეიძლება ვსთქვათ, რომ ისინი სიცრუეს ლაპარაკობდნენ?“—„არა, ისინი სიცრუეს არ ლაპარაკობდნენ“. —იმათი ლაპარაკი რომ ეწინააღმდეგებოდა ფაქტს?“—„ისინი კარგად არ იცნობდნენ ფაქტებს, ისინი განგებ როდის ამტკიცებდნენ სიცრუეს, ამაში დაჯერებულნი იყვნენ“. —„გამოდის. რომ მარტო ის არის სიცრუვე, რომელსაც ვინმე განძრახ და განგებ ავრცელებს ხალხში“ და სხვ...

შემდეგ ასევე იკვლევთ და განუმარტავთ მოსწავლეებს სიცრუის მიზეზებს, რადგანაც, თუ არ გვეცოდინება მიზეზები, ჩვენ სავსებით ვერც გავწორდებით. რა აძულებს ადამიანს სიცრუის

თქმას, ქცევას?— ანგარება, სასჯელის შიში, ცრუ დიდება, ატაცებული ფანტაზია. ყველა ეს უნდა მაგალითებით განუმარტოთ: დასასრულ, თქვენ უნდა გაარჩიოთ დასაბამი მიზეზები წინააღმდეგ სიცრუისა და ასევე სიმართლის სასარგებლოდ: ვნების მიყენება სხვებისთვის, იმედის დაკარგვა თავის თავზე, ნდობის დაკარგვა საზოგადოებაში, მიჩვევა დროს მიმავლობაში ტყუილისადმი და, ბოლოს, დაკარგვა პატივის-ცემისა საკუთარ თავისადმი.

მოყვანილის მაგალითებით და საუბრებით ნათლდება სვინილისი; რაც აქამომდე ბუნდად ესმოდათ მოსწავლეებს, ახლა ცხადი გასაგები ხდება; ამ გზით, გარდა იმისა, რომ მოწაფეებში ვითარდება სიყვარული სიმართლისადმი და სიძულვილი სიცრუისადმი, მაოში შესანიშნავად ვითარდება და იხსნება ცოდნა-შეუცდომლად გაარჩიონ სიმართლე სიცრუისაგან, მართალი ტყუილისაგან.

ვინ იტყვის, რომ ასეთი სწავლა ზნეობისა ნაკლებ სარგებლობას მოუტანს, ვიდრე მარტივად თქმული: «ნუ იცრუებ»? ასე გაწვრთნილი მოწაფენი აღმატებით გრძნობენ თავის მოვალეობებს, რადგან შემეცნებული აქვთ იგინი. აქედამ შორს არ არის გრძნობისა და შემეცნების-დაკვალად მოქცევაც, ე. ი. ზნეობრივად ცხოვრება მოქმედება...

გახადეთ სათნოება-კეთილი და მისდამი მისწრაფება ცენტრად ადამიანის ყოველის მოქმედებისა, ვითარცა მზეა ცენტრი დედამიწა-მთვარისა და სხვა მსოფლიოთა .. დაიჯერეთ და დარწმუნდით, რომ ყოველი ეს შესაძლებელია და ასეც უნდა მოეწყოს ყოველი სასწავლებელი. წინათაც იყვნენ და ახლაც არიან კაცნი და ქალნი ყოველისფრით სრულნი და აღმატებულნი, რატომ არ შეიძლება, რომ ყველანი სწორედ მათსავით კარგები, მაღალ-ზნეობიანნი, სრულნი ვიყვნეთ!?. ბევრი კი არ არის ამისთვის საჭირო: მიეცით ყოველამას გზა ფართო თქვენს სასწავლებლებში, ნუ სტანჯავთ მოსწავლეებს შეუძლებელის შესწავლით, რომ ამით იგინი, ვითომც, ერთი ათად უფრო ქვიან-გონიერნი გამოიყვანოთ. ყველა ეს იმდენად ასწავლეთ მათ, ვის რამდენად და რის შესწავლაც შეუძლიან და უმთავრესად კი ამ ცოდნის გამოყენება ასწავლეთ წესიერის ცხოვრებისათვის ოჯახსა და საზოგადოებაში, ხალხში. აბა მაშინ შესძლებთ ნამდვილი ადამიანების, ნამდვილი მამულიშვილების აღზრდას!.. ივ. რასტომაშვილი.



# სწავლა-აღზრდის რეფორმასტორნი.

რაბელიე (1483—1553 წწ).

გენიოსი ყოველთვის წინ უსწრობს ხოლმე თავის ეპოქას, იგი არ კმაყოფილდება არსებული რუტინით. ძველი დაობებულ-დახავსებული ფორმებით და ხშირად წინასწარმეტყველობს მომავალზედ. ლიტერატურაში არას ოდეს არ ყოფილა ისეთი ცხადი და საკვირველი მაგალითი, როგორიც რაბელიეს თხზულების „გარგანთუას აღზრდა“-ს გამოქვეყნება იყო.

ჩვენ ვხედამთ რაბელიეში აღფრთოვანებულს მისწრაფებას განვითარებისა და განათლებისადმი; იგი სწავლობს ძველ მწერალთა ნაწერებს, რომ შეიძინოს საგნებთა ცოდნა. ამაში თავი იჩინა აღორძინების ეპოქის გავლენამ; სხვათრივ კი მან ძალიან შორს დასტოვა იმ დროში სწავლა-აღზრდაზედ არსებული შეხედულობანი; იგი სამართლიანად შეგვიძლიან ჩვერიცხოთ ლოკისა და რუსსოს უდიდეს წინამორბედთა გუნდში.

სანამ „გარგანთუას აღზრდის“ ტრაკტატის წერას შეუდგებოდეს, რაბელიე ჰკიცხავს თანამედროვე აღზრდის სისტემას. შემდეგ ზიზლით და სიმძულვარით მოგვითხრობს მაშინდელი დროს უმსგავს და გამოუსადეგარს სახელ-მძღვანელოებსა და შეთოდზე, რომელთა წყალობით გარანთუა, თუ-



მცა ბევრსა სწავლობდა, მაინც წინანდებურად ისევ უვიცი და გაუთლელი იყო; ამის გამო რაბელიე ადგება იმ დასკვნას, რომ, „უკეთესია კაცი უსწავლელი დარჩეს, ვინემ სწავლა მიიღოს ამ ნაირი უხეირო მასწავლებლებისაგან და სახელ-მძღვანელებიდან“. მთლათ ეს აშშორებული და აყროლებული ნაგავი უნდა გადიყაროს, და მაშინ ახალგაზრდა ორ წელიწადს უფრო მეტს გონიერს სწავლა-ცოდნას შეიძენს, უფრო კარგათ შეისწავლის უცხო ენებს და გაიწოთენება საუცხოვოდ, ვინემ ძველი მეთოდით სწავლას დროს“-ო.

შემდეგ ამისა ჩვენ ვეცნობით მის სამაგალითოდ (დასურათებულ) გამოყვანილ მოწაფეს გარგანთუას.

სწავლა-აღზრდის დანიშნულება და მიზანი გამოხატულია: „Sapiens et doctus pietas“. რაბელიეში ვხედავთ ნამდვილ სარწმუნოებრივულ ღვთის-მოყვარეობას, მაგრამ ეს იმას არ უშლის, იმავე დროს დიდად აფასებდეს მეცნიერებს და მკერ-მეტყველებს: მკერ-მეტყველი რომაელი შეადგენდა მაშინდელი დროის იდეალს და აი ჩვენცა ვხედავთ, რომ რაბელიეს გარგანთუა ისე წმინდათ ლაპარაკობს ლათინურად, ისეთი მკაფიო გამოთქმა აქვს, ისეთი მშვენიერი მიხვრა-მოხვრის და მკერ-მეტყველობის პატრონია, რომ უფრო გრაკხად, ცრცერიხად, ან ძველი დროის ემილად უნდა ჩავთვალოთ, ვინემ ჩვენი დროის ჭაბუკად.

გარგანთუას უნიშნავცნ, ახალ მასწავლებელს რომელიც ბევრ იმისთანა რასმეს მოუთხრობს თავის მოწაფეს, რომ სრულიად ავიწყებინებს მას წინედ შეძენილ სწავლა-ცოდნას და შემდეგ მის სწავლა-აღზრდას იწყობს სრულიად სხვა ახალი გეგმით. სხვა გონიერ და გამოცდილ მასწავლებლებივით იგიც ნებასა რთავს თავის მოწაფეს სრულიად თავისუფალ მოქმედებისას. იგი ძალით როდი ავიწყებინებს შეჩვეულ ძველ წესჩვეულებათა, არამედ—აძლევს მას შეძლებას თვითონ დარწმუნდეს მათ უვარგისობაში და გამოუყენებლობაში“. —ამაში ვხედავ მე შესანიშნავ მაგალითს სიბრძნისას; საზოგადოთ მას-

წავლებლები უცბათ სწყვეტამენ ხოლმე კავშირს ძველ მე-  
თოდთან და ამით იწვევენ ყმაწვილების უკმაყოფილებას იმით,  
რომ ჰკიცხავენ და ცუდათ იხსენიებენ ყოველ იმას,  
რაც მათ წინეთ უსწავლიათ; პონოქრათი, გარგანთუას იდეა-  
ლური ამღზდელი, ნელ-ნელა და თანდათანობით უღვიძებს  
თავის მოწაფეს გაუმჯობესობის და განვითარების სურვილს.  
ამას იგი იმით აღწევს, რომ დაჰყავს იგი მსწავლულთა საზო-  
გადოებაში, რომელნიც აღვიძებენ მის გულში მათ დამსგავსე  
სურვილსა. გარგანთუა იწყობს ბეჯითად სწავლა-მეცადინეო-  
ბას; მას ერთი საათიც არ მოეხოვება თავისუფალი დრო; მთელ  
თავის დროს სწირავს მეცნიერების შესწავლას. იგი დილის  
ოთხი საათიდან იწყობს მეცადინეობას საღმრთო წერილის  
კითხვით, ხშირად ლოცულობს, აქებს-აღიდებს იმას, რომლის  
ღვთაებრივი სიტყვანი მოწმობენ მის დიდებას და საკვირველ  
სიბრძნეს. ეს ერთად ერთი აღგილია. ამ ტრაკტატის ნაწილში,  
სადაც ლაპარაკია სარწმუნოებრივ და ზნეობრივ აღზრდაზე.  
უმთავრესი აღგილი კი დათმობილი აქვს ფიზიკურსა და გონე-  
ბითს აღზრდას.

შესანიშნავი მხარე რაბელიეს სისტემისა ისაა, რომ მისი  
გარგანთუა იძენს მხოლოდ იმ ცოდნას, რომელიც შეადგენდა  
საშუალო საუკუნოების „კვადრილიას“; სახელდობრ, იგი სწა-  
ვლობდა გეომეტრიას, მათემატიკას, ასტრონომიას და მუსი-  
კას; ხოლო, რაც შეეხება იმ საგნებს, რომელნიც შეადგენდ-  
ნენ „ტრივიას“: გრამმატიკა, ლოდიკა და რიტორიკა, ეს საგ-  
ნები ერთის სიტყვითაც არ არიან მოხსენებულნი რაბელიეს  
თხზულებაში. დიდ მნიშვნელობას აწერს ამასთანავე წიგნე-  
ბის კითხვას; გარგანთუა ზეპირად სწავლობს წიგნების შინა-  
არსსა და აქედგან შეძენილს ცოდნას ცდილობს გამოიყენოს  
თავისი ცხოვრების ყოველ შემთხვევაში; წიგნებში აფასებდნენ  
შინაარსსა და არა გარეგან სიტყვა-კაზმულობას, ე. ი. ენის  
სილამაზეს. სადიღზედ ჩვეულობრივ დაიწყობდნენ ხოლმე  
ხელ-მეორედ წიგნის კითხვას, ან ბაასს მათ გარშემო არსებულ

საგნებთა შესახებ; ასე, მაგალითად, ბასობდნენ პურზე, წყაზღზე, ღვინოზე, თევზზე, ხორცზე, ხილეულობაზე, ტანთსაცმელზედ; სასადილო ოთახში შემოქონდათ ძველმწერალთა წიგნები, რომლებშიაც პოულობდნენ იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკი იყო ამ საგნებთა შესახებ. ამ საშუალებით ყოველიფერს გაგონილს და წიგნებიდგან ამოკითხულს უფრო ადვილად სწავლობდნენ და მტკიცეთ იხსომებდნენ. სეირნობის დროს გარგანთუას უნდა შეესწავლა ხეები, მცენარენა, ყვავილები და ამასთანავე გაეხსნა ის, რაც მათ შესახებ იყო ნათქვამი მის-მიერ შესწავლილი თხუზულებებში. ამავე დროს მას სახლში მოჰქონდა ყვავილები და აქ ადგენდა და გამხმარ ყვავილთა კონას.

რაბელიე ურჩევს ღამ-ღამობით ცის შესწავლას და შემდეგ დილით, საათის ოთხზე, იმ განსხვავების აღნიშნვას, რომელსაც შეამჩნევდა იგი მაზედ. ეს პირველი მწერალია, რომელიც საგნების შესწავლას ურჩევს ბუნების გაცნობის შემწეობით. ეს დასაწყისია იმ Anschavoufsprincip-სა, რომელიც ორ ნახევარი საუკუნის შემდეგ მიაწერეს პესტალოცსა; რაბელიე პირველი ლაპარაკობს ფიზიკური შრომის სარგებლობაზე; გარგანთუა და მისი ამხანაგები ერთობიან თივის აგროვებაში, შეშის ქრაში და ხორბლის დაფქვაში; ამასთანავე იგინი სწავლობენ მხატვრობას და ჩუქურთმის ქრას; ამას გარდა დაიარებიან იგინი სახელოსნოებში და დუქნებში და სწავლობენ მრეწველობას და ახალ გამოგონებათა.

რაბელიე უკვე იმ დროს იმ აზრისა იყო, რომ გონებითი განვითარება მარტო წიგნებზედ არ არის დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, მათ მაინც პირველი ადგილი აქვთ დათმობილი, თვით დასვენების დღესაც კი, რომელიც თვეში ერთხელ ხდებოდა ხოლმე, თუმცა ყმაწვილები ახლაც არ უკარგებოდნენ წიგნებს, მაინც უსარგებლოდ არ ატარებდნენ დროს; შინდორში სეირნობის დროს ზეპირად იმეორებდნენ ამა თუ იმ ადგილს ვირგილიოს თხუზულებიდან — „აგრიკულტური“ —

დგან, ანუ გეზიოლიდგან და ამასთანავე ვარჯიშობდნენ ლათინური ეპიგრაფების ფრანციკულად თარგმნაში.

განათლების ამ ნაირი სისტემის წყალობით სწავლა-მეცადინეობა ყმაწვილებისათვის ადვილი და სასიამოვნო იყო.

ჯერ მარტო ის, რომ რეალურმა სკოლამ დაიჭირა თვალსაჩინო ადგილი XVI საუკუნის საფრანგეთის პედაგოგის სამოსწავლო გეგმაში, ცხადად გვიმტკიცებს იმას, თუ რამდენად გაუსწრო წინ რაბელიემ მაშინდელი დროის ყველა აღზრდელებსა.

საყურადღებოა, რომ რგი დიდს ადგილს უთმობს ფიზიკურ აღზრდას; ისეთი დღე არ იყო, რომ გარგანთუას ფიზიკურ ვარჯიშობაში არ გაეტარებინა რამდენიმე ხანი, გიმნასტიკა, რომელსაც ასწავლიდნენ მას, მრავალფეროვანი იყო და გამოიხატებოდა სირბილში, ხტუნაობაში, წყალში ცურვაში და სხვა. — მხოლოდ ერთ მხარეში რაბელიემ დაბლა სდგას ინგლისელ მწერალ რიჩარდ მიულკასტერზე. ეს უკანასკნელი ჯან-მრთელობისთვის სთვლიდა გიმნასტიკას საჭიროდ, როგორც სხეულის გასამაგრებელ საშუალებას, რაბელიეს კი ფიზიკური ვარჯიშობით სურდა გამოეზარდნა და განეფითარებინა მომავალი მხედარი (ჯარის-კაცი) ჩვენ ინგლისელი პედაგოგის ფიზიკურ აღზრდას უფრო მაღლა ვაყენებთ, ვინემ რაბელიეს ფიზიკურ აღზრდასა.

ვალტერ ბეზანტი, რაბელიეს შესახებ წერილში, ქებადიდებით იხსენიებს სიბრძნე და ჭკუა-მახვილობას საფრანგეთის მწერლისას; ჯამწუხაროა მხოლოდ, რომ არ მოჰყავს გარგანთუასთან მიწერილი-მისი წერილები, სადაც აღწერილია რაბელიეს-მიერ დახატული ცხოვრება.

მომყავს ზოგიერთი ადგილების ამ წერილებიდგან: „თუმცა ცხონებულმა მამაჩემმა ყოველი ღონე იღონა, რომ კარგათ მომეხმარებინა ის განათლება, რომელიც მივიღე მე, მაგრამ მე მაინც ამითი რიჯიანად ვერ ვისარგებლე. ეს ერთი მხრით იმის ბრალია, რომ ჩემს დროს არ იყვნენ ისეთი

კარგი მასწავლებლები, როგორც შენა გყავდა; ის დრო გაუგებარი და ბნელი დრო იყო; კარგი ლიტერატურა აღარ იყო; იგი გოთებისაგან იყო მოსპობილი. ჩემს დროს, ჩემ ამხანაგებთა შორის სწავლულის სახელი მქონდა მე გავარდნილი; ამის შემდეგ ლიტერატურამ ისევ მოიპოვა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, სწავლა გაფართოვდა და ჩემ-მიერ მიღებული სწავლა-ცოდნა იმდენად სუსტი და მცირე აღმოჩნდა, რომ ეხლანდელ დროში ძნელათ თუ მიმიღებდნენ თანამედროვე გრამმატიკის დაბალი სკოლის უმცროს კლასსშია; ეხლა აღდგენილ იქმნენ ძველი ენები; ყველამ, ვინც თავის თავს ნასწავლ კაცად სთვლის, უეჭველად უნდა იცოდეს ბერძნული, ებრაული, ქალდეური და ლათინური ენები; წიგნის ბეჭვდამ დიდი სარგებლობა მოიტანა; მან დაბადა მრავალი მსწავლულები და კარგათ მომზადებული მასწავლებლები. გამრავლდნენ წიგნთ-საცავები (ბიბლიოტეკეები) და არა მგონია, რომ ოდესმე, თვით პლატონის და ციცერონის დროსაც კი, კაცობრიობას ჰქონოდა ამდენი საშუალება ჭკუა-გონების განსავითარებლად. ეხლანდელ დროში ავაზაკები, ჯალათნი, კარის მებჭენი უფრო განათლებული და განვითარებულნი არიან, ვინემ ჩემს ყმაწვილობაში ექიმები და მქადაგებელნი იყვნენ. დღეს ქალებიც კი ცდილობენ სწავლა-განათლების მიღებას.

მე მსურს, რომ შენ ყველაზე ადრე შეისწავლო ძველი ენები; დროდღე ბერძნული ენა, როგორც ეს სურდა კვინტილიონს, ებრაული, რომ შეგეძლოს საღმრთო წერილის კითხვა დედანით; არაბული და ქალდეური; შენ უნდა ბერძნულში ბაძავედ პლატონს და ლათინურში — ციცერონს; შენ უნდა მაგრად ჩაბეჭდო გონებაში ყველა ისტორიული ამბები და ამასთანავე კოსმოგრაფიაც. რაც შეიძლება გააფართოვე შენი გეოგრაფიული, არითმეტიკული და მუზიკალური ცოდნანი; იცნობ თუ არა ასტრონომიის ყველა კანონებს? თავი ანებე ასტროლოგიას; — საჭირო არაა მისი ცოდნა; სამოქალაქო კანონები ზეპირად უნდა იცოდე.


რაც შეეხება ბუნების საგნების შესწავლას, მე მსურს, რომ არ მოიპოვებოდეს დედამიწაზე არც ზღვა, არც მდინარე და არც ტბა, რომ არ იცნობდეს და ყველა იმ თევზებს, რომელნიც მათში მოიპოვებიან. შეისწავლე ცაში ყველა ფრინველები, ტყეში და ბაღებში ყველა ხეხილები, მინდორში ყველა ბალახები და ყვავილები, ყოველნაირი ლითონი და აღმოსავლეთის და სამხრეთის ყოველნაირი ძვირფასი ქვანი.

შემდეგ გულმოდგინეთ შეუდექი ბერძენთა, არაბთა და რომაელთა ექიმთა წიგნების შესწავლას; შეისწავლე აგრეთვე ანატომია, რომ იცოდეს კაცის სხეულის აგებულობა.

რამდენიმე საათი მოახმარე ყოველ დღე საღმრთო წერილის კითხვას; ახალი აღთქმა იკითხე ბერძნულ ენაზე, ძველი კი ებრაულზე.

გიყვარდეს ღმერთი და გეშინოდეს მისი; ყოველი შენი ფიქრი და სასოებანი დაამყარე მასზედ; სარწმუნოება და კეთილ-მოწყალეობა დაგაახლოვებენ მასთან და ბოროტება ვერ მოგეკარება შენ“ —.

აღ. ტატუნაშვილი.



## მეურნეობა-მრეწველობა.

### კურის მოყვანა ჩინეთ-იაპონურის წესით.

იყო დრო, რომ ადამიანები ერთმანეთს სჯამდნენ. გავი-  
და საუკუნოები, ადამიანებმა შეიგნეს თვისი ერთობა, კავში-  
რი ურთიერთ-შორის და თავი მიანებეს ერთმანეთის ჯამას.  
შემდეგ დადგა დრო, რომ ადამიანები ძალით სტაცებდნენ  
სხვას შრომას და ხდიდნენ ადამიანებს მონებად. ადამიანებმა  
შეიგნეს ამისი უსამართლობაც და იგივე მიატოვეს. მონობის  
ადგილი ჩვენს დროში დაიჭირა სხვისის გაჭირვებით სარგებ-  
ლობამ: შეძლებულები სარგებლობენ სხვისის გაჭირვებით და  
იმორჩილებენ მათ. დროა დადგეს ისეთი დროც, რომ ვერა-  
ვინ ველარ სარგებლობდეს სხვისის გაჭირვებით, ე. ი. შიმში-  
ლით და სიცივით, რომ ყველა მაძლარი და ჩაცმული იყოს...

ერთად-ერთი საშუალება ამისი ის არის, რომ ყველამ,  
დიდმა და პატარამ, მდიდარმა და ღარიბმა, მოხელემ და ერის  
კაცმა, გლეხმა და თავადმა, მღვდელმა და ბერმა, ერთი სიტ-  
ყვით, ყოველმა მამა-კაცმა და დედა-კაცმა თვითონ იშრომოს  
და იმუშაოს პურის მოყვანისათვის. ჩვენ პური იმიტომ ამო-  
ვარჩიეთ, რომ, როგორც თვით სამღთო სჯულიც გვემოწმება  
ამაში, პური უმთავრესი საზრდოა, უმთავრესი სახსარია ცხო-  
ვრებისა. შენიშნულია, რომ როცა პურის მოსავალი რომე-  
ლიმე ქვეყანაში უხვად მოდის, იქ ყოველი ბოროტ-მოქმედე-  
ბაც შესანიშნავად კლებულობს, რასაკვირველია, იმ გარემოების

წყალობით, რომ პურის სიუხვის გამო; ყველა მაძღრად არის და ავკაცობისადმი მიდრეკილება არა აქვს...

ადამიანს, რა თქმა უნდა, ბევრი ვალდებულება აწევს ტვირთად, მაგრამ ვალდებულებაც არის და ვალდებულებაც: ზოგი პირველთაგანია და ზოგი მეათეთაგანი. დამტკიცება არ უნდა, რომ ყოველმა ადამიანმა ჯერ ის ვალდებულება უნდა შეასრულოს, რომელიც უპირველესია და შემდეგ სხვა. ახლა რომელია პირველი ვალდებულება, რომელი—მეორე? პასუხი ერთია: საკუთარის ხელთ, საკუთარის კარჯვით უოგველი ადამიანისაგან მისთვის უპირველესი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი საზრდას მოუყანას, ე. ი. ჰურასა... შევდგეთ ამაზედ, ვიკმაროთ რაც ვსთქვით ამ უბრალო ჭეშმარიტების დასამტკიცებლად და გადვიდეთ იმაზედ, თუ რით და როგორ მოვახერხოთ, რომ ყოველს ჩვენგანს საკუთარის ხელით მოჰყავდეს მისთვის საჭირო პური. პურის ასეთი დიადი მნიშვნელობის გამო ადამიანის ცხოვრებაში, ჩვენ მრავალ მხრივ შევისწავლეთ პურის მოყვანის ამბავი და ჩვენდა საბედნიეროთ ვიპოვნეთ კიდევ ისეთი საშუალება პურის მოყვანისა, რომელიც ყველასთვის, დიდად სასარგებლო იქნება და მათის ჯანმრთელობისთვისაც უუკეთესი წამალი. ეს გახლავთ მოუყანას პურისა ეგრედ წოდებულის ბოსტნურის ჯგუფურის ანუ ორმოხლის წესით, სადაც არც გუთანია საჭირო, არც საქონელი და არც სხვა რამ ძვირფასი იარაღის ქონვა ანუ შექმნა, გარდა საკუთარის ხელ-ფეხისა და ორიოდვე სულ უბრალო იარაღისა—ბარისა და თოხისა. მოყვანა პურისა ამ წესით კიდევ იმით არის ჩვენთვის და ყოველი სხვა ხალხისთვისაც სარფა და სასარგებლო, რომ იგი ფრიად მცირე ადგილს საჭიროებს თავისთვის და მოსავალს-კი ერთი ათად მეტს იძლევა, თითქმის ზღაპრულს ჩვენის წესით პურის ახლანდელს მოსავალთან შედარებით. გარდა ამისა, პურის მოყვანა ითხოვს სულ ბევრი რომ ვსთქვათ მხოლოდ 40 დღის მოვლასა, ე. ი. ერთს თვესა და ათს დღესა და ეს კი ისეთი მცირე დროა მთელის წლის განმავლობაში, რომ

იმედია მის არაფერს გაექცევა და ყველანი სიამოვნებით იკისრებენ ასეთს მცირე-ვადიანს შრომას, რომ საკუთარის ხელით მოყვანილი პური სჭამოთ და ოჯახსაც აჭამოთ. ორმოცულის წესით პურის მოყვანა იმდენად ადვილია, რომ მის თესვა-მოყვანაში ყველას შეუძლიან მონაწილეობის მიღება, ქალსაც და კაცსაც და დიდსაც და პატარასაც. თვითეულს სულზედ რომ მარტო 300 ოთხ-კუთხი საყენი ადგილი შეამუშაოთ, ე. ი. სიგრძით 30 და სიგანით 10 საყენი მიწა, იმდენი პური მოგივათ, რომ მთელს ოჯახს თავზე საყრელი გექნებათ მთელის წლის განმავლობაში და, მაშასადამე, უზრუნველ-ყოფილიც იქნებით უმთავრესი საზრდოს მხრით: დააკვირდით, ქართველებო, ჩვენს სიტყვებს, კარგად დაკვირვებით წაიკითხეთ ამის ქვემოთ აწერილი პურის მოყვანა ამ წესით, სავსებით დაიხსომება. იგი, რომელიც ასე ადვილია ყველასთვის, და გვერწმუნეთ, რომ შემდეგში ადვილად ვეღარ დასთმობთ ამ ყველასათვის უპირველესად სავალდებულო შრომას...

ნუ აპყვებით ცრუ მოძღვრებას შრომის განაწილების შესახებ, მედგრათ მისდრით საკუთარი პურის ჭამის კანონს და თქვენ იძულებული აღარ იქნებით სხვისი გაჭირვებით ისარგებლოთ, თქვენი მოყვასი დაიმორჩილოთ. ადამიანი იგივე ცოცხალი წყალია, რომელიც ტურფად ამოიჩუჩუნებს დედამიწის გულიდან, სიღამაც იგი გარბის ბინდვრად, სძლევს ყოველ დაბრკოლებას, ჩასდის მცენარეთ ძირში და ახარებს-აცოცხლებს მათ. დიახ, იგი ფოთლებსა და ტოტებს კი არ ასხამს თავისს ჭაფიან ტალღებსა, არამედ ძირში უგზავნის და იქიდანაც ცოცხლებს. ასევე, შენ ადამიანო! როცა ემსახურები ხალხს, თავიდან კი ნუ იწყობ ამ სამსახურს, ქვეიდან დაიწყე. შენ ლექციებს უკითხავ მათ, დიდრონ დარბაზებში იცავ იმათ სასამართლოებში, ართობ მათ თეატრებში და სხვა, მაგრამ ჯერ უმთავრესში შეეწიე მათ: გააძღე, ჩააცვი, წყურვილი მოუუკალ, დაიფარე სიცივისგან, თორემ შენი მოქმედება იმას ეგვანება, რომ შიმშილით შეპყრობილს ხალხს ხარბაზნები ანუ

სხვა ათასნაირი ზიზილ-პიპილებიანი წვრილანი ნივთები აკეთებინო... გვერდში ამოუდევ მუშას, ნუ გეშინიან, უარესი არ დაგემაართება; აიღე შენი, ჯერ კიდევ შეუჩვენელოს ხელით ბარი და შეუდევ იმ პირველს საქმეს, რომელიც აქმევს მშვირებს და აცმევს შეცივებულებს, — შეუდევ პურის მოყვანის მუშაობას, შეეჭიდე ბუნებას და შენც მალე იგრძნობ ფეხ ქვეშ მტკიცე ნიადაგს, იგრძნობ რომ შენ შინა ხარ, რომ თავისუფალი ხარ, რომ საჭირო არ არის სადმე ცხრამთას იქით წასვლა, რომ აქაც კარგია, იგრძნობ ისეთს სიხარულსა და სიამოვნებას, რომლებსაც სხვაგან ვერსად ნახავ ვერას დროს; შენ გაიცნობ იმ გმირს, ბუმბერაზს, უბრალო ძმებს, რომლებიც აქამომდე შორიდან გაქმევდნენ პურს, გაიცნობ და დაინახავ მათში ისეთს ღირსებებს, რომლებსაც შენ წინ არ იცნობდი, ნახავ მათში ისეთს თავ-მდაბლობას, ისეთს სიყვარულს შენდამი, რომლის ღირსი არც კი ხარ... სიძულვილის და დაცინვის მაგიერ, შენ ნახავ მათში ისეთს აღერსს, იმდენს მადლობას, პატივისცემას შენდამი, რომ ბოლოს, ამდენის ხნის დავიწყების და განშორების შემდეგ, შენ გონს მოხვედი და დაბრუნდი მათ შორის, რომ უშველო მათ შენი, მუშაობაში უჩვეულო, ხელებით...

პურის ბასტნად ჩვენ ვეძახით საპურე მცენარეების ისე მოყვანას, როგორც საბოსტნე მრენარეების მოყვანა იციან ჩვენში, ე. ი. ხელის მუშაობით, დაუხმარებლად საქონლისა. უმთავრესი დანიშნულებაა პურის ბასტნის შემოღებისა ჩვენში იმაშია, რომ ყოველს ჩვენგანს, ვისაც კი ცოტაოდენი მიწა და თან სურვილიც აქვს საკუთარის შრომით მოიპოვოს მისი ოჯახისათვის წლის განმავლობაში საჭირო პური. ყოველ ჯანმრთელ კაცს, რომელსაც კი მოეპოვება საკმაო საზრდო, შეუყენებლად უჩნდება ენერგია (ე. ი. სიმხნე, ძალა) ეს ენერგია ყოველ წამს, შეუყენებლადვე უნდა იხარჯებოდეს და იხმარებოდეს რომელიმე საქმეზედ, თუ გვინდა, რომ ჩვენი ხორცი და სული მარად თანაბრად ჯან-საღნი და

კმაყოფილნი იყვნენ. ეს აუცილებელი კანონია ყოველის ცოცხალის არსებისა და ჩვენც ყოველი საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ რაც შეიძლება მეტი საგანი აღმოვაჩინოთ ადამიანის ენერჯის ხარჯვა-მოხმარების დაძაკმაყოფილებელი. აი ერთ ასეთ და მასთან უმთავრეს საშუალებად ენერჯიის წესიერად დანაყოფიერად მოხმარებისა ჩვენ მიგვაჩნია ამ წერილში დასახელებული ზურის ბესტანი, რადგანაც, თუ ენერჯია მართლაც და საზრდას წყალობით ჩნდება ყოველს ცოცხალს არსებაში, თქმა არ უნდა, რომ ამისი პირდაპირი დასკვნაც ეს იქნება: მაშ რაზედ უნდა დაიხარჯოს ეს ენერჯია, თუ არ მის შემქმნელ საზრდას მოპოვებაზედ. თუ ესჭამთ, საჭიროა ვიმუშაოთ კიდევ და უთუოდ მიწაზედ, ახდლის ცის ქვეშ ბუნების წილისა შინა.

მიწაზედ მუშაობა კიდევ იმით არის ძვირფასი და კარგი, რომ ამ საქმის მიმდევარი კაცი ყოველად დამოუკიდებელი და თავისუფალია: მისთვის საჭირო არაა თავისი შრომის და თავისუფლების გასყიდვა ანუ მისყიდვა სხვისათვის; იგი იძულებული არ არის აკეთოს ის საქმე, რომელიც მას არ უყვარს ანუ არ მოსწონს, რომელიც მისთვის ტანჯვის და მოწყენილობის მეტს არასფერს იძლევა; მისთვის საჭირო არ ხდება, უთუოდ სადმე შორეულს ქალაქში იცხოვროს ანუ რომელიმე ქარხანაში ატაროს უკეთესნი წელნი თვისი სიცოცხლისა. საჭირო არ არის მარად მტრულად და უკმაყოფილოდ იყოს სხვა ადამიანებთან. მიწაზედ მუშაობა სრულ თავისუფალ და დამოუკიდებელ ადამიანად ხდის მის მიმდევარს. იგი ძვირფასია კიდევ იმით, რომ მის კეთებაში ადვილად შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს არა მხოლოდ დიდს კაცებს და დედაკაცებს, არამედ თვით ნ — წ წლის ბაღლებსაც და სრულიად კი საჭირო არ არის მუშა-საქონლის ყოლა და მძიმე და ძვირფასი იარაღების ქონვა, რომელთა შენახვას და შექმნას ცოტა ხარჯი და შრომა კი არ უნდა!?

დიდი მნიშვნელობა აქვს მამულის სიდიდეს. ჩვენს

ცხოვრებაში: დიდი მამული თხოულობს ჩვენგან დიდს და გამუდმებულს შრომა-ყურადღებასაც. დღევანდელი ჩვენი მეურნეობა ფრიათ უწყესოდ არის მოწყობილი: ზაფხულში იგი თხოულობს ჩვენგან აჩქარებულს, შეუსვენებელს და ხანგრძლივს შრომას, რის გამოც ამ დროს ჩვენს მეურნეს თითქმის სრულიად არა რჩება დრო თავისი სულიერი მხრის ყურადღება-ზრუნვისათვის. გარდა ამისა, ჩვენებური მეურნეობა, აუცილებლად თხოულობს საქონლის ყოლას და მათს წესიერ შენახვაზე, მათთვისაც წესიერად აგებულის შენობების, ურმების და იარაღების შემზადებაზედ იმდენსავე შრომასა და ზრუნვასა, რამდენსაც თხოულობს თვით ოჯახის შენახვა. გვეგონია ურიგო არ იქნებოდა, რომ ყოველი მეოჯახე და ოჯახი სამუდამოთ განთავისუფლებულიყო ამ მეტი, უაზრო შრომა-ზრუნვისაგან!..

დასასრულ, ჩვენებური მეურნეობის დიდი ნაკლი იმაშია, რომ იგი თხოულობს მეტად დიდს მამულს, რაც ჩვენს დროში, როცა ასე გამრავლდა ხალხი, ადვილი არ არის, რომ კაცმა იგი საკმაოდ შეიძინოს.

ყველა ამ ნაკლს და უხერხულობას სავსებით მოკლებულია ჰუკის ბასტანი, რადგანაც მას ოჯახი ამუშავებს საკუთარის ხელ-ფეხით, მისთვის საჭირო არ არის საქონლის ყოლა. ერთხელ და სამუდამოთ წესიერად მომართული და მოწყობილი სახურე მცენარეების ბასტანი იმით არის ძვირფასი ყოველი ოჯახისათვის, რომ იგი თხოულობს მისგან (ოჯახისგან) მხოლოდ რამდენიმე საათს მუშაობას დღეში, რომელიც შეძლებას აძლევს ოჯახის წევრთ მოიხმარონ დანარჩენი თავისუფალი დრო სურვილისამებრ. რადგანაც სახურე მცენარეების ბასტანი იძლევა დიდძალს მოსავალს, ამიტომ მისთვის სრულიად საკმაოა სულ მცირე მამული ნახევარი ანუ ერთი და ორი დღიური, რომელიც თვისი ასეთი სიმცირის გამო ადვილია ერთხელ და სამუდამოთ შემოიღობოს მკვიდრის ღობით თუ გალავნით და ამით სამუდამოთ დაცულ იქმნას იგი გაფუჭებისა

და მოძოვებისგან. ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ საპურე მცენარეების ბოსტანი ჩვენგან იყოს მოგონილი და შეთხზული. არა. იგი დიდი ხანია არსებობს იაპონიასა და ჩინეთში, სადაც სასოფლო მეურნეობა ბევრის მხრით გაცილებით უფრო მაღლა სდგას, ვიდრე სხვაგან სადმე და თვით განათლებულს ევროპაშიაც.

### ცსოვრება პურის მცენარისა.

ვიდრე შევუდგებოდეთ პურის ბოსტნის წარმოება-მუშაობის თადარიგის აწერასა, ვსთქვათ ორიოდე სიტყვა თვით პურის მცენარის ცხოვრებაზე და მის აგებულებაზე. გაცნობა პურის მცენარის ცხოვრება-აგებულებისა შეგვაძლებინებს უკეთ გავიგოთ პურის ბოსტნის აღწერაში მოყვანილი ცნობანი და ისე მოვიხმაროთ ისინი, როგორც უფრო შესაფერი იქნება ადგილის ჰავისა და მღებიარობისა. დავიწყოთ თესლიდამ.

### თესლი.

აიღეთ რამდენიმე ლობიო, ჩაფალით სველს ქვიშაში და დადგით თბილს ადგილას. ორი დღე-ღამის შემდეგ თქვენ შეამჩნევთ, რომ ლობიოს მარცვლები საკმაოდ გამოიცვალა: გადიდდა, დამძიმდა და დარბილდა. ავიღოთ ერთი ასეთი ლობიო და მოვაფუტქვენათ კანი; მარცვალი ორ ღებნად გაიყოფა და ერთს იმათგანზე დავინახავთ პაწაწკინა ძირსა და ღერსა, რომლიდამაც შემდეგში უნდა გაიშალოს ღერი, ფოთლები და ყვავილები.

ასევეა აგებული პურის მარცვალი, მაგრამ განსხვავებაც აქვს: რომ დაალობოთ და პურის მარცვალსაც კანი გადააცალოთ, დაინახავთ, რომ პურის მარცვალი ლობიოსავით ორად არ გაიყოფა, იგი ერთ მთელ მარცვლად დარჩება. გამოდის, რომ მცენარეები გაიყოფა ორად: ერთს ეკუთვნიან ორ-ღებ-

ნაინი მცენარეები, როგორც მაგალითად არის ლობიო, მუხუნო, ცერცვი, მლოგვი, კომბოსტო, კანაფი, სელი და სხვა და მეორეს — ერთ ლებნაინები, ვითარცა პური, შვრია, ქერი, ფეტვი, სიმინდი და საზოგადოთ პურის ყველა მცენარეები. ახლა რა არის უმთავრესად საჭირო, რომ პურის მცენარეკარგად ამოვიდეს, აღმოცენდეს? — ამისათვის უპირველესად საჭიროა სისველე, ნოტიო, წყალი. ხმელს მარცვალს შეუძლიან იდოს სიცოცხლის უნიშან-წყლოდ რამდენს ხანსაც გენბავთ. რომ იგი აღმოცენდეს, აუცილებლად საჭიროა, რომ მარცვალი გაიჟინთოს წყლით. გენახებათ, რომ წყლისგან დასველებული მარცვალი პურისათვის თავთავებშიაც კი ღივდება, ცენდება, მშრალს ბედელში კი მარცვალის მთელი წლები შეუძლიან ეყაროს სახის შეუცვლელად. ამიტომ არის, რომ პურის მარცვალი კარგად ამოვიდეს, იგი უთუოდ სველს დედამიწაში უნდა დავთესოთ ანუ მოვრწყუოთ დათესვის შემდეგ, თორემ მარცვალი დიდს ხანს არ ამოვა. შეიძლება წინათვე დასველებული და გაღიებული მარცვალიც დაითესოს. მეორე პირობა მცენარის კარგად აღმოცენებისთვის არის სითბო. თუ მიწა, რომელშიაც თესლი დასთესეთ; საკმაოდ თბილი არ არის, თესლი ან სულ არ ამოვა, ან თუ ამოვა, ძალიან გვიან. ამიტომ თესლის თესვა შეიძლება ან გაზაფხულზედ, როდესაც დედამიწა კარგად მოთბა, ან შემოდგომაზედ, როცა დედამიწა ჯერ კიდევ არ მოყინულა. გარდა ამისა, სხვა და სხვა მცენარის თესლს, სხვა და სხვა სითბო ეჭირება: პურის თესლისთვის, სვილისთვის, შვრისთვის, ქერისთვის და სელისთვის საკმაოა სულ ნაკლები სითბო, მზე-უჭვრიტე, ლობიო და მდგოგვისთვის კი მეტი სითბოა საჭირო.

მესამე პირობა მცენარის კარგად აღმოცენებისათვის არის ჰაერი. რომ სტაქან წყალში ჩაყაროთ პურის თესლი და დადგათ თბილს ადგილას, თესლი თუმცა გაღივდება და პაწაწკინა ღერს და ძირს გამოიტანს, მცენარე მაინც მალე მოკვდება, რადგანაც წყალში მყოფ თესლებს და მცენარეებს ჰაერი

აკლიათ. ასევე, რომ თესლი ღრმად დასთესოთ სველის და თბილს მიწაში, თესლი თუმცა ამოვა, მაგრამ მალე მოკვდება, რადგანაც მიწის სიღრმეში მას ჰაერი ვერა ხვდება და ლბება. ესევე, რომ თესლი წყლით სავსე ბოთლში ჩაყაროთ და მაგრათ დაუცოთ ძონძით, თესლი სრულიად ამოიხრჩობა და არ გაღივდება, რადგანაც ბოთლში მათ აკლიათ ჰაერი; ყველა ეს ნათლად გვიმტკიცებს, რომ თესლის კარგად აღმოცენებისათვის საჭიროა ჰაერი, რომ უჰაეროდ თესლი კარგად არ ამოვა. ამისთვის კი საჭიროა, რომ მიწა, სადაც რისამე დათესვას ვაპრებთ, კარგად ავაჩვილოთ, ავაფხვიეროთ და ისე დათესოთ არა იმდენად ღრმად, რომ თესლზე წაყრილი მიწა სულ არ ხმებოდეს მზისა და ქარისგან.

მეოთხე პირობა მცენარის კარგად აღმოცენებისათვის არის საბუნჯე. თესლი, რომელიც ნათელს ოთახშია დათესილი, გვიან ამოდის, ბნელში კი უფრო ჩქარა; ამიტომ არის საჭირო, რომ დათესილი თესლი მიწით იყოს კარგად წაყრილი, თუმცა კი თხლად. ახლა, რა ემართება თესლს დათესვის და აღმოცენების შემდეგ? თვალს რომ ვადევნოთ დათესილს თესლს, დავრწმუნდებით, რომ რა გვარადაც უნდა დავარდეს თესლი მიწაში, ძირი მისი მუდამ ქვევით წავა, ხოლო ღერო—ზევით. რამდენადაც ღერო მეტი გაიზრდება, ლებნებიც თანდათან პატარავდებიან, ფუტუროვდებიან, ასე რომ ბოლოს ცარიელი კანი (ჩენჩო) და რჩება, რომელიც მალე სრულიად ლბება და შორდება მცენარეს. გამოდის, რომ ლებნები მცენარის პირველი მაწოვებელი და მსახრდოვებელი დედა ყოფილა და მხოლოდ, როცა ლებნები სულ ამოიქმება მცენარისგან, უკანასკნელი ცდილობს ახლა თითონ იშოვოს საზარლო მიწაში, რისთვისაც მას უკვე ღრმათა აქვს გადგმული ძირები და ფესვები.

### ძირი და კვება მცენარისა.

ძირებით მცენარე სწოწნის დედამიწიდან წყალსა და სხვა საკვებსა, რომელიც კი გახსნილი და შერეულია წყალში. ცხა-

დია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ძირებს მცენარის კარგად გაზრდისათვის. ეს არის მიზეზი, რომ მცენარეს, გარდა პირველად ამოსულ ძირებისა, შემდეგშიაც ემატება ძირები, განსაკუთრებით მიწის ზედა პირთან ახლო, რომლებითაც მცენარე თითქოს სცლილობს მაგრად დადგეს ფეხზე, რომ ვერა ქარმა ვერ შესძლოს მისი წაქცევა. ასე იცის, მაგალითად, სიმინდმა, ჰურმა და სხვ. სიმინდს დრო-გამოშვებით რომ ძირზე მიწა აუჩვილო და შემოაყარო ხოლმე, ის სულ ახალ-ახალ ფესვებს გაიკეთებს და ამიტომ ძალიან კარგადაც გაიზრდება.

ახლა რად უნდა მცენარეს ამოდენა ძირები?—მაგრად დგომისათვის და საზრდოს მისაღებად დედა-მიწიდან. რომ მცენარე თავისი ძირებით მართლაც სჭამს საქმელსა, სჩანს იქიდან, რომ მცენარე წმინდა სქელს ქვიშაში დათესოთ, ის ამოვა, მაგრამ დაეცლება თუ არა ლეზნები, მცენარის ზრდა ნელ-ნელა შესდგება და ბოლოს სულაც გახშება მცენარე. მაგრამ, რომ მისთანავე თესლი კარგს ნაყიერს მიწაზედ დათესოთ, იგი თანდა-თან თამამად გაიზრდება, აყვავდება და ბოლოს ნაყოფსაც მოისხამს.

ერთხელ მოახდინეს შემდეგი გამოცდა: აიღეს ოარი ქილა, აავსეს რიყის ქვიშით და დასთესეს ქითითოში ცხრა-ცხრა მარცვალი შვრია. ერთს ქილას რწყავდნენ წმინდა სადა წყლით, ხოლო მეორე ქილას ნეხეში გახსნილი წყლით. განსხვავება დიდი გამოვიდა; სადა წყლით მორწყულმა ქილამ მოიცა მარტო 218 მარცვალი შვრია, ხოლო ნეხე-გარეული წყლით მორწყულმა — მოიცა 2040 მარცვალი, ე. ი. ათჯერ უფრო მეტი.

როგორც ხედავთ ამ გამოცდიდან, სასუქს დიდი მნიშვნელობა ჰქონია მოსავლისათვის. ახლა, რა გამოდგება სასუქად?—ყველაფერი, რაც კი დამპალა, დაშლილა, ე. ი. საქონლის ნეხვი, ადამიანის ოქრო (განავეალი), ფსელი, დამპალი ფოთოლი, ტოტები, ქაქა, ხილი და სხვა. ყველა ეს იმიტომ უნდა ვიხმაროთ დაშლილი და დამპალი, რომ მცენარეს მათ

მისაღებად არც კბილები აქვს, რომ დაღეჭოს და არც კუჭი, რომ მოინელოს. მას მხოლოდ წყალში გახსნილი სასუქი შეუძლიან მიიღოს თავისი ფესვებით; მხოლოდ, რომ სასუქი კარგად და ადვილად გაიხსნას წყალში, უნდა სასუქი კარგად იყოს დაშლილი და დამბალი. როცა მცენარეს ახლო არა აქვს საკვები, ფესვები მისი გრძელდება ძალზედ და აქით-იქით მიდის სიღრმეში და განზედ, რომ იშოვოს საჭირო საზრდო; ხოლო, თუ ახლო აქვს საზრდო, ე. ი. თუ ჩვენ საკმაოდ მივცემთ მცენარეს სასუქს, მაშინ ფესვები აღარ გაუგრძელდება. ამ მიზეზით, თუ ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება წყალ-ნარევი სასუქი (жидкое удобрение), ე. ი. წყალი და სასუქი, რომლითაც შეგვიძლიან ხშირად მოვრწყათ მცენარე, მაშინ სრულიად საჭირო არ არის მიწის ღრმად მოხვნა ანუ დაბარვა, რადგანაც ხშირის დასხმით თხელის სასუქისა ჩვენ ისედაც საკმაოდ მივცემთ საზრდოს მცენარეს.

მაგრამ გარდა ზემოთ მოხსენებულ ხელის-შემწყობ პირობათა, ე. ი. სისველისა, სითბოსი, ჰაერისა, სიბნელისა, მიწის სიფხვიერისა და სასუქისა, მცენარის კარგად გაზრდისათვის საჭიროა, რომ თვით ნიადაგი (ე. ი. მიწა, რომელშიაც მცენარე ძირებს იკეთებს) შესდგებოდეს თავისა, ქვიშისა და კარისაგან.

თხზ საჭიროა ნიადაგისთვის იმისთვის, რომ იგი თითქოს აწებოვანებს მიწას, აკავშირებს ერთმანეთში ყოველ-გვარ ნაწილებს მიწისას და ინახავს მასში სისველეს და ნოყიერ ნაწილებს.

ქვიშა საჭიროა იმისთვის, რომ ფხვიერი იყოს ნიადაგი და მით წყალი ადვილად ჩადიოდეს მიწაში. გარდა ამისა ქვიშა შედის თვით მცენარეთა ხორცში და ამაგრებს მას. მისგან არის, რომ ყანის ნამჯა მაგარი ხდება და შეუძლიან გაუძლოს ხოლმე ქარსა. ზოგს მცენარეებს ისე ბევრი აქვთ ქვიშა (ტალისა), რომ მათის ფოთლების ნაპირებით ხელიც შეიძლება გაიჭრას კაცმა.

კიჩიჭ შეადგენს აუცილებელს ნაწილს ყოველის მცენარისას. ჩვენი თუ პირუტყვების ძვლები კეთდება იმ მცენარეებიდან, რომელსაც ჩვენ და პირუტყვნი ვხმარობთ საქმელად; თითონ მცენარე კი ამ კირს დედამიწიდან იღებს.

თუ რომელიმე ამ მიწათაგანი გარდამეტებით არის ნიადაგში, მაშინ ასეთი ნიადაგი უვარგისია მცენარის კარგად გაზრდისათვის; უკეთესი ნიადაგი კი ის არის, როცა ეს სამივე მიწალი თანატოლათ არის ნიადაგში, ე. ი.  $\frac{1}{3}$  თიხაა,  $\frac{1}{3}$  ქვიშა და  $\frac{1}{3}$ -იც კირი.

### ღერო და ზრდა მცენარეთა.

როგორც უნდა დავარდეს ანუ დათესოთ თესლი მიწაში, იგი ქვევით გაუშვებს ძირებს, რომლითაც საზრდოობს და ზევით—ღეროს და ფოთლებს. პურის მცენარე შესანიშნავია იმით, რომ ყოველი თესლი იკეთებს ზევით არაერთს ღეროს, არამედ რამდენიმე ღეროს. პურის მცენარის ამ თვისებას ფრიად ლიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რადგანაც რამდენადაც მეტი ღერი ექნება მცენარეს, იმდენადვე მეტს მოსავალსაც მოგვცემს, რადგანაც თითქმის ყოველი ღერო იკეთებს ცალკე თავ-თავს, რომლებშიაც, როგორც ვიცით, იმყოფება თესლი ანუ ხორბალი. რადგანაც ასეთი დიდ-მნიშვნელოვანი ყოფილა პურის მცენარის ბლარტობა, ამიტომ გავიცნოთ იგი უფრო დაწვრილებით. პურის თესლი პირველად უშვებს ზევით ერთს ღეროს, რომელიც გახვეულია ფოთოლში; ამ პირველს ღეროს, ძირში, აქვს ორი კვირტი, რომლიდგანაც პურს მალე კიდევ ორი ღერო ამოსდის, ასე რომ პურის მცენარეს უხდება სამი ღერო; შემდეგ ყოველ ღეროს, ასეთსავე კვირტებიდამ, ამოსდის კიდევ ორ-ორი ღერო და ამ გვარად პურის მცენარე ისე შესანიშნავად ბლარტობს, რომ ზოგჯერ ასს და მეტს ღეროსაც კი იკეთებს თვითეული მარცვალი. ბლარტობა პურის მცენარისა გრძელდება პირველ ორ კვირამდის.

ბლარტობას ხელს უშლის ცივი დარი და აგრეთვე სიხმელე, ხოლო ხელს უწყობს კარგი დარი, ადრე და შორი-შორს დათესვა, სინესტე, ნიადაგის სინოყივრე და მცენარის გადარგვა, სანამ იგი ნორჩია. ასეთს კარგს პირობებში ბლარტობა პურის მცენარისა მეტად სწრაფად და ღონივრად ხდება. მაგალითად, 1861 წელს, ინგლისის ცნობილმა მეურნემ გალლეტმა დასთესა კარგად გაპატივებულს კვლებში პურის მარცვლები, ბეჯითად მოუარა და მიიღო თითო მარცვლიდამ ოთხმოც-ოთხმოცი ღერო და რვაას-რვაასი მაკვალი. 1866 წელს დალმაციაში გაბერლანდმა დასთესა პური აპრილში, რომელმაც ისე იბლარტა, რომ ერთმა მარცვალმა გაიკეთა 130 ღერო. ასე და ამ გვარად, თუ კაცმა იცის გონიერი მოვლა პურის მცენარისა, მას მუდამ შეუძლიან უდიდესი მოსავალი მიიღოს პურიდგან. ბლარტობა პურის მცენარისა ჩერდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ღერო თავ-თავის კეთებას იწყობს. მაგრამ, თუ თქვენ ატყობთ, რომ მცენარე საკმაოდ არა ბლარტობს, თქვენ შეგიძლიანთ გააძლიეროთ ბლარტობა მეტის მორწყვით და ნახევრამდის შეკვეცით იმ ღეროებისა, რომლებმაც უკვე დაიწყეს თავ-თავის კეთება. ასეთი შეკვეცა ძლიერ ჰშველის ბლარტობას; ყოფილა მაგალითები, რომ თვით მკის შემდეგაც კი შვრიასა და ქერს ახალი ღეროები ამოეხეთქოს და ზამთრამდის ახალი თავ-თავიც გაეკეთოს. მხოლოდ, რომ პურის მცენარე კარგად იზრდებოდეს, გაძლიერებულს ბლარტობას შეეძლოს ამოდენა ღეროების გამოკვება, საჭიროა მეტი ძირებიც, ხოლო ამისათვის კი საჭიროა მიწის მიყრა ძირებზე, საჭიროა სასუქი, წყალი, სინათლე და ჰაერი. სასუქზე ჩვენ უკვე ვსაუბრობთ ზემოთ; აქ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ პურისთვის სასუქი საჭიროა დაყვავილებამდის, რადგანაც მარცვლისათვის საჭირო საზრდოს მცენარე მხოლოდ აყვავებამდის იღებს მიწიდან და ამის შემდეგ კი მცენარე აღარ იღებს საზრდოს მიწიდან. ეს კარგად უნდა დაიხსომოს პურის ბოსტნის პატრონმა და მიაწოდოს მცენარეს სასუქი სწორედ იმ დრო.

მდის, სანამ მცენარე დაიწყებდეს აყვავებას, თორემ მერე სულ მეტი და ტყუილი ხარჯი და შრომა იქნება. უკეთესი სასუქი ამ შემთხვევაში არის თხელი სასუქი, ე. ი. წყალში გახსნილი. რაც შეეხება წყალს, ის კი საჭიროა პურის მცენარისათვის ყვავილობის დროსაც, რომ მცენარისგან ამ დრომდის შეთვისებული საზრდო აღვილად გადავიდეს თვით ხორბალშიაც. რაც შეეხება სინათლეს, იგიც დიდაც საჭიროა ყოველი მცენარისათვის, რადგანაც როგორც ვიცით, ჩრდილში დასიბნელებაში გაზრდილი მცენარე, ქუდამ სუსტი და ყვითელი იზრდება. ხოლო რომ ყანას მუდამ საკმაოდ ჰქონდეს სინათლე, უნდა შორი-შორს დარგათ ყოველი ძირი პურის მცენარისა.

თაფლი, როგორც უეხარი წამალი ადამიანისათვის, პირუტყვისათვის და ფრინველებისათვის.

ჩვენს საქართველოში დღევანდლამდისინ მეხანიკური სწავლა აქვთ თაფლის სარგებლობაზედ: მას ჩვენში ხმარობენ ოჯახებში მარტო წელიწადში ერთხელ, ისიც ახალ-წლის დღეს, გოზინაყების მოსამზადებლად და სასმელების შესანელებლად (დასატკობად); სხვათრივ კი იშვიათად ხმარობენ თაფლს. მაგრამ, ჩვენ რომ გვესმოდეს, რა სიკეთე მიუძღვის თაფლს ადამიანის ჯან-მრთელობასა და დღეგრძელობაში, მაშინ ყველა მეოჯახე გაიჩენდა თავისთვის ერთ-ორ სკას ფუტკარს. გაგებულო გექნებათ, რომ რაც აფთიაქებში წამლები მზადდება, მომეტებული ნაწილი მათი შესდგება სხვა და სხვა მცენარეების და ბალახეულობის ყვავილებისაგან. თუ რომ აფთიაქიდგან გამოტანილი წამალი რგებს ადამიანს, პირუტყვს და ფრინველებს, მაშ რატომ თაფლი არ უნდა ითვლებოდეს ნამდვილ წამლად, როდესაც იგი შესდგება ათი ათას სხვა და სხვა მცენარეების და ბალახეულობის ნექტარისაგან. დედამიწის ზურგზედ ძნელად იშოვება იმისთანა მცენარეები, რომლიდამაც მუშა ფუტკარი არ სწოწნიდეს ტკბილს წვენსა და არ ურევდეს თაფლში. აქედამ ცხადათა სჩანს, რომ თაფლი შესდგება ადამიანისთვის და სხვა ცხოველებისათვის მარგებელნივთიერებისაგან, რომელსაც დღეს ჩვენს ოჯახებში უნდა ეჭიროს უპირველესი ადგილი, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ჩვენში მეურნეობა კუს ნაბიჯით მიმდინარეობს და ამისათვის ამისთანა ახალ საქმეზედ ჯერ-ჯერობით არ არის მიქცეული ჯეროვანი ყურადღება. სწავლული და გამოცდილი ექიმე-

ბი მოგვითხრობენ ესე: ვისაც უნდა ჯან-მრთელი იყოს, მაგარი აგებულებისა, მარდი, მამაცი, ფხიზელი და დიდს ხანს იცოცხლოს, იმას პატარობიდანვე ყოველ დღე ზომიერათაფლი უნდა აჭამოთო. მათი გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ თაფლით გამოკვებული ადამიანი ძალიან იშვიათად ხდება ავით, მისი კუჭი ყველა საჭმელს კარგათ ინელებს, ცოცხლობს 90—100 წლამდისინაო. ამ ექიმის საბუთების გასამართლებლად, მეაქვე ორიოდე მაგალითს მოვიყვან.

1) ერთ მემამულეს თურმე ფური ცურის ანთებისაგან გახდომია ავით; ანთებამ ისე შეაწუხა ფური, რომ პატრონი იძულებული შეიქმნა ექიმი მოეწვია; ექიმმა მიიღო მხურვალე ღონის-ძიება, მაგრამ მისმა შრომამ ფუქად ჩაიარა, ფურს ვერა უშველ\* რა. იმ დროს ფურის პატრონს მოჰგონებია ვილაც ექიმის ნაწერები თაფლით წამლობაზედ. მაშინათვე აუღია გამდნარი თბილ-თბილი თაფლი, იმით დაუწყვია ცურის ზელა, დღეში სამჯერ: დილით, შუადღისას და საღამოთი; თაფლით ზელამ ისე კარგათ იმოქმედა ფურზედ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ფურს ცურის ანთება სრულად დაუცხრა და მალე რძის კვლავ მოცემაც დაიწყო.

2) მეორე მემამულეს ციებ-ცხელებით ავით გაუხდა ერთი ინდაური და იმასაც მაშინათვე დაუწყვია თაფლით წამლობა; აუღია რამდენიმე წვეთი გამდნარი თაფლისა და ჩაუყლაპებია ინდაურისათვის; ინდაური ცოტათი მობრუნებულა; შემდეგ აუღია პური, წვრრლად დაუფხვნია თაფლში და ისე უჭმევია ინდაურისათვის; ინდაურს მადიანად შეუჭამია. ხუთ დღეზედ ინდაური სრულებით მორჩენილა ავითმყოფობისაგან.

ახ. დარეჯანაშვილი.

# ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ნ ა რ ე ვ ი .



## დანაშაულოება-დანაშაუვანი და იმის წინაა- ღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი.

(წერილები მკვამნი ტარნოვსკისა).

ადამიანები, როგორც წვევნი ერთი საზოგადოებისა, უნდა სცხოვრობდნენ ერთიერთმანეთში მშვიდობიანად და თანხმობით, უნდა ასრულებდნენ კეთილსინილისიერად ყველასათვის საერთო კანონებს, ეხმარებოდნენ ერთი მეორეს უბედურებასა, სიღარიბესა ანუ ობლობაშა და ერთი მეორეს განზრახ ვნებას არ აყენებდნენ. ეს ძირითადი კანონია საზოგადო ცხოვრებისა. სხვაგვარათ ვერავითარი საზოგადოება ვერ იარსებს, კეთილ განვითარების გზას ვერ დაადგება და დანაბლს განხეთქილება, დაღუპვა მოელის. თუ საზოგადოების წვევნი გაჭირების დროს ერთი მეორეს არ დაეხმარებიან, პირ-იქით ყველა მოინდომებს ერთი მეორის ხარჯზე ცხოვრებას, და ადამიანის მოვალეობასა და ზნეობაზე ხელსაიღებენ, — მაშინ ამგვარ საზოგადოებაში ადამიანს აღარც კი ეცხოვრება, ყველა აქეთ-იქით მიფანტვ-მოფანტვას არჩევს, ვინემ ამგვარ სულის შემხუთავ და ადამიანის შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებაში განაგრძობს ცხოვრებას.

ეს მიუცილებელი მოთხოვნილება ადამიანისა საზოგადოებაში საერთო ცხოვრებისათვის უკვე დიდი ხნიდან, ჯერ კიდევ ქრისტიანობის გაჩენამდე, შეგნებული ჰქონია კაცობრი-

ობას. ბერძნების და რომაელების ფილოსოფოსებმა ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე განმარტეს ძირითადი კანონები საზოგადოებრივი ზნეობისა. ისინი ამბობდნენ: „ნურავის ავნებ, რამდენათაც შეგიძლია ყველას დაეხმარე“. ანუ კიდევ: „ნუ უზამ სხვას იმას, რაც თავისს თავისათვის არ გსურს“. ცხადია, ქრისტეს მოძღვრებას, რომელიც ყველაფერზე მაღლა აყენებს მოყვასისადმი სიყვარულს და განურჩევლათ შეწყნარებას ყოველი ადამიანისას, კიდევ უფრო ხელი უნდა შეეწყოს და განევითარებინა კეთილი გრძნობები და სურვილები ადამიანებში, რომელნიც შეადგენდნენ ცალკე კავშირებს, საზოგადოებებს, ერებსა და სხ. მისთ.

მიუხედავად ამისა გრძნობა ზნეობრივობის, ზნეობრივი მოვალეობის, ადამიანთა შორის ძმური კავშირისა საერთოთ ძლიერ ნელის ნაბიჯით ვითარდებოდა დასავლეთ ევროპის საქრისტიანო ხალხებშიაც კი. დღესაც კიდევ ზოგიერთ განათლებულ ხალხთა ზნეობრივი წინსვლა საექვოთაა გამხდარი, და ყოველ შემთხვევაში, გონებრივ და ქონებრივ განვითარებაზე დაბლა დგას. ცოდნამ, სიმდიდრემ, გონებამ—უზომოთ იმატა, ადამიანის ზნეობას კი ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია. გრძნობა შურისძიებისა, სიხარბისა, სხვისი ტანჯვისადმი გულგრილობა, ვიწრო თავმოყვარეობა, რომელსაც სხვისი გასაჭირი ჩირათაც არ მიაჩნია,—ყოველივე ესენი ჯერ კიდევ ბურჟუაზიაში ხვევენ ჩვენს ყოველ-ღღიურ ცხოვრებას. ჯერ კიდევ მცირეა ჩვენში კეთილი და გულმხურვალეთ მოყვარული და ურთიერთ შორის გულ-წრფელათ დაახლოებული ადამიანები. პირიქით უთვალავი რიცხვია გულ-დახშულ ეგოისტურ კაცებისა, რომელნიც გარეშე თავისს თავზე ზრუნვისა, ქვეყანაზე სხვა არა სწამთ რა. ზოგიერთები, მისწრაფვიან რა თავიანთ პირადულ ინტერესების მიღწევასადმი, წუთიერის აღელოებით, ანუ სხვა მიზეზების გამო, სჩადიან სასტიკ დანაშაულობას, ცვივიან სისხლის სამართალში და ხდებიან „დამნაშავეებად“. იმათი ყველას ეშინია და უნდობლათ ეპყრობიან მათ. თუმცა

მრავალი მოსაყვედურე და პირფერობით შოშიდეთაგანა იმათზე უკეთესი. ზნეობიანი როდი არიან, რომელნიც გაუბედურდნენ და მოისმინეს თავიანთ შესახებ საბედისწერო სიტყვები: „ღი-ახ, დამნაშავეა“.

საქმე ისაა, რომ მარტოოდენ ზნეობრივ ქადაგებით და კეთილ-მოსურნეობით არ შეიქმნება და არ გამკვიდრდება საზოგადოებრივი ზნეობა. საკმაო როდია, რამდენიმე მეცნიერ-მა, თილოსოფოსმა, ანუ მქალაგებლებმა წარმოთქვან, გამოაქვეყნონ ერთნაირი ზნეობრივი ჭეშმარიტებანი და ხალხმაც ისინი მყისვე მიიღოს, დაედვას იგი საფუძვლად მის ოჯახურ და საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებას. საჭიროა, რომ თითონ ცხადვრება, უაყუაღდღიური მიუქაბის ზნეობის, საკუთრების განაწილება, მუშა ხალხის მდგომარეობა, — ყოველივე ესენი ქმნიდნენ ისეთ არეს, რომელიც ხელს უწყობდენ ზნეობის დაცვას და განვითარებას იმ სახით, როგორც ამას ქადაგებენ მეცნიერნი ანუ სარწმუნოების წარმომადგენელნი.

დღეს კი ვხედავთ, რომ სახელდობ ეს პირობები საზოგადოებრივი ცხოვრებისა, უხსოვარის დროიდან, სრულიათ ხალხის უმრავლესობისათვის უსარგებლოთ ირთვებოდენ, იმდენათ არა სარგოთ, რომ ამ პირობებში ზნეობის განვითარებასა, ანუ დაცვაზე ოცნებობაც კი ძნელი იყო. ავიღოთ თუნდა ბატონუმბა, ანუ კიდე უფრო ადრინდელი მონაბა, რომელიც ქრისტიანობის შამოღების შემდეგაც დიდხანს არსებობდა, — რა ზნეობრივი საფუძვლები შეიძლებოდა მტკიცედ და წმინდათ დაცულიყო ყმებსა, ბოგანოსა, ანუ კარის კაცებში, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ ნებას, სხვის ხელში სათამაშო ნივთებს წარმოადგენდენ და რომელთ ერთად-ერთი მიზანი იყო ბატონი არ გაეჭვარებინათ?! როგორ ბნელ სურათს წარმოუდგენდა ერთის მხრით ზნეობრივ დაქვეითებისას და მეორესით უზნეო თავგასულობისას რუსეთი რეფორმების შემოდგამდე, — ეს დღეს, რასაკვირველია, ყველასათვის ცნობილია. ცხადია, რომ ამგვარ წესრიგის დროს

ზნეობას იცავდა სოფლის უმოძრაო და კარ ჩაკეტილი ყოფაცხოვრება, რომელიც არ იცნობდა ქალაქის მაცდურ ცხოვრებას. მაგრამ შეგნებული ზნეობრივი პრინციპები ვერ განვითარდა ვერც ყმების და ვერც იმათ მფლობელ წოდებებში.

ყველა ეს არა კეთილ-მოსაგონარი დაწესებულებანი — ბატონუობა, მონაბა, ხალხის უმრავლესობის დასაცრულები საერთოთ, მარტო რუსეთში როდი არსებობდა. ეს მოვლენა საერთოა ყველა სახელმწიფოებისათვის, და ყველგან, რა თქმა უნდა, სამწუხარო კვალი დასტოვა, რადგან იგი წინააღმდეგი იყო ზნეობისა, რომელიც სტუქსავს ადამიანის ადამიანისაგან დაჩაგვრას, ძალადობას. ძალადობას და დაჩაგვრას შეეძლო განუვითარებინა სასოგადოებაში მხოლოდ უხსენება, როგორც დაბალ, ისე მაღალი წრის ხალხში. დაბალში განვითარდა გრძობა სიმდაბლისა, დასაცრულობის და მონაბისა უმადლესთაღმე; ამავედრას განვითარდა შურისასება და არა კეთილის მოსურნეობა. იმათდამი, რაც მუდამ დაფარულათ იზრდებოდა მათში და მხოლოთ თავს იჩინდა იდუმალ მკვლევრობის, თავ-დასხმის, ცხად აჯანყებების და სხ. მისთ. დროს. უმაღლეს წოდებაში კი, პირიქით, ვითარდებოდა გრძობა მძულფარე-მედიდურობისა, დამონაგებულთა ღარიბულ მდგომარეობისაღმე გულ-გრილობა. ამნაირათ მაღალ წოდებაში მუშავდებოდა სწავლა „შავი და თეთრი ძელის“, ანუ „ქამის მოდგმაზე“ \*), რომელიც საქათმეში ცხოვრების, გაქვირებისა და ტანჯვის ღირსია:

რასაკვირველია, ყოველივე ეს წასული საქმეა, მაგრამ

\*) ჩვენში ამ მამა-პაპურ მოძღვრებას „შავი და თეთრი სისხლის“ სახელი ჰქვია და მთელი მედიდურე წოდების წარმომადგენელნი ღაპარაკში ასე წამოგაუგედრიან ხალხე: „ახნაურშვილის და გლეხის სისხლი ვინ გააერთა“, რითიც უნდათ აღნიშნონ თავიანთი უპირატესობა გლეხებზე.

არც მაგრე დიდი ხნის და უბრალო ხალხის, გლეხების მდგომარეობა რუსეთში და ევროპაში — მუშებისა, თუმცა დღეს ცოტათი უკეთესია, ვინემ ბატონყმობის დროს იყო, მაგრამ ჯერ კიდე არც ისე პატივდებულია, და ზოგიერთ შემთხვევებში, მაგ., სამუშევრის მოპოებასა და იმათნივთიერ უზრუნველყოფობის მხრით, ჩვენი დრო წინანდელ საუკუნეებს კიდევც ჩამოუვარდება. უმუშევრათ დარჩენილთა, მოწანწალე და ღარიბთა რიცხვი ძლიერ დიდია მთელ დასავლეთ ევროპაში და ყოველ წლიურათ მატულობს. სამუშევრის მაძიებელი სოფლის ხალხი სტოვებს სოფელს, ქალაქებში მიეშურება, სადაც მრავალნი ახალ, უცხო ცხოვრებას შეუჩვევლნი ვერ ასწრებენ თავის მოკალათებას, სცდებიან გზას და სამუდამოთ იღუპებიან.

მაგრამ როგორც უნდა იყოს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი დაწესებულებანი, კაცს მაინც ძალაუნებურათ სჭირდება მასში ცხოვრება, შეგუვება საერთო ცხოვრების პირობებისა და მისი არსებული კანონების შესრულება. ამ მიზნისათვის ყველა სახელმწიფოებმა ძველიდანვე გამოიმუშავეს ერთნაირი კანონები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს ყოველმა მოქალაქემ ურთიერთ შორის და მთავრობასთან დამოკიდულებაში. ეს კანონები რომ მუდამ ხელშეუხებლათ შესრულებულ იყვნენ, ყველა ქვეყნების კანონმდებლებს მათი დამრღვევლების წინააღმდეგ ნაირნაირი სასჯელეპიც აქვთ შემოღებული და ამით აფთხილებენ მოქალაქეთ უკანონო მოქმედებისაგან. ამნაირათ გაჩნდა ცნება დანაშაულობისა, როგორც კანონით სავალდებულო წესების დარღვევის მოქმედება და დანაშაუვისა, რომელიც არღვევს ამ სავალდებულო წესებს.

ახლა ვიკითხოთ: რა არის თავის თავათ დანაშაულობა? არის თუ არა იგი საერთოთ უზნეო საქციელი, ისეთი მოქმედება, რომელსაც ჰკიცხავს, როგორც საზოგადოებრივი ზნეობა, ისე სახელმწიფო კანონი? ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნამდვილათ კი ასე როდია. უეჭველია, ბევრია ისეთისა-

ქციელი, რომელთაც სისხლის სამართალი არ სდევნის, პირიქით, არის რამდენიმე სახე დანაშაულობისა (ანუ საქციელის), რომელნიც დანაშაულობად ითვლებიან საზოგადოების ზოგიერთ ნაწილში, ანუ მხოლოდ ზოგიერთ ქვეყნებში, სხვაგან კი ამგვარ მოქმედებებს სრულიათ სასჯელი არა აქვს. სისხლის სამართალი და ზნეობა საზოგადოთ არ ეთანხმებიან ერთმანეთს, თუმცა, რასაკვირველია, ერთი მეორესაც არ ეწინააღმდეგებიან (უმეტეს შემთხვევებში მაინც). ეს რომ ასე არ ყოფილიყო სისხლის სამართლის უფლება არავისათვის საქიროც აღარ ბქნებოდა.

უწინარეს ყოვლისა სახეში უნდა ვიქონიოთ სისხლის სამართლის კანონის დარღვევა (ე. ი. ყოფაქცივის სავალდებულო წესებისა) ყველა ერთნაირათ დიდ-მნიშვნელოვანნი როდი არიან და იმათი მნიშვნელობა აზიის და აფრიკის მონარქიებს რომ თავი გავანებოთ, ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებშიაც სხვა და სხვა ნაირათ ესმისთ. ჩვეულებრივათ სისხლის სამართლის მოქმედებანი იყოფიან: **დანაშაულობა** (ეს ყველაზე უსასტიკესი ფორმაა დანაშაულობისა), **საქციელი და დაზღვევა**. ეს უკანასკნელნი ეხებიან პოლიციის წესიერებას, კეთილგანწყობილებას, კეთილ-გამგებლობას, უშიშრობას და სხ. მისთ. წესიერების ამგვარი დარღვევანი, რა თქმა უნდა, საკუთრივ დანაშაულებად არავის მიაჩნია, რადგან პოლიციის კანონები ქუჩებში მოძრაობის შესახებ და მისთანააა. ყველა სახელმწიფოებში სრულიათ სხვა და სხვა ნაირნი არიან, ხშირათ იკვლებიან და მკვიდრის ზნეობასთან თითქმის არავითარი დამოკიდებულება აქვთ.

მაგრამ თვით დანაშაულებანი ანუ საქციელნი (რომელთა შორის ყოველგან ერთნაირ განსხვავებას არ ხედვენ) თავის თავათ იყოფიან რამდენიმე უმთავრეს სახეებად, რომელთაც ზნეობის მხრით ერთნაირი მნიშვნელობა როდი აქვსა. ჩვეულებრივათ დანაშაულებანი სამგვარი სახისანი არიან: 1, **დანაშაულებანი ჰიროფნების წინააღმდეგ** (მკვლელობა, სხეულის

დასაზიარებელია; შეურაცყოფა, ნამუსის ახდა ანუ გაუპატიურება და სხ. მისთ.); 2, დასაშუალებანი საკუთრების წინააღმდეგ (ქურდობა, ე. ი. მოპარვა და ცარცვა-გლეჯა, სიყალბე-გაიძვერობა და სხ. მისთ.) და 3, დასაშუალებას საზოგადოებრივ წესიერების ანუ მართვა-გამგეობის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს ეკუთვნიან დანაშაულებანი პოლიტიკური, სარწმუნოებრივი, მართვა-გამგეობის შესახებ, ხაზრის ინტერესების წინააღმდეგ და სხ. მისთ. პირველი ორნაირი სახე დანაშაულობისა დღეს თითქმის მთელ ევროპაში დაახლოებით ერთნაირათ ესმისთ და განმარტებულიც არის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ზოგიერთი იურისტები წინადადებას იძლევიან ვუწოდოთ იმათ „ბუნებრივი“ დანაშაულებანი, რადგან ისინი არღვევენ ძირითად გრძნობებს ადამიანის ზნეობისას: გულშემატკივრობას და მართლიერებას (პატიოსნება). მაგრამ სულ სხვა საქმეა მესამე-ნაირი ჯგუფი: დანაშაულობანი საზოგადოებრივ წესწყობილების წინააღმდეგ. რადგან ეს წესწყობილება ევროპის სახელმწიფოებში (აზიისაზე რა აღარა ვთქვათ) სულ სხვა და სხვა ნაირია, — ამიტომ ცნება და დანაშაულების დევნაც; რომელიც საზოგადოებრივ წესწყობილებისადმი არის მიმართული და არა პიროვნების ანუ საკუთრების წინააღმდეგ, გაცილებით ერთნაირი ზოლია თვით ევროპის სახელმწიფოებშიდაც კი. ასე, მაგ., შესვლა რომელსამე სარწმუნოებრივ სექტაში გარეშე ეკლესიის მიერ საერთოთ მიღებულისა; ანუ ქრისტეს სარწმუნოების სხვაზე შეცვლა საფრანგეთში დანაშაულებად ანუ ცუდ საქციელად არ ითვლება, ეს იქ კანონით ნება დართული საქმეა. რუსეთში კი მართლმადიდებელ სარწმუნოებისაგან გაცლა ან განრინება სასტიკი დანაშაულობაა, რასაც სასტიკი სასჯელი მოჰყვება. აგრევეა მუშების შეთქმულებაც, ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობის შეწყვეტა სამუშაო ქირის მომატების მიზნით. ეს დანაშაულება რუსეთში სისხლის სამართლით ისჯება, ინგლისსა, საფრანგეთს და ევროპის სხვა სა-

ხელმწიფოებში კი ამას კანონი სრულიად არ სდევნის, თუ ამ დროს არ მოხდა შფოთი, ჩხუბი და პაროვნების ვნება.

კიდევ უფრო მომეტებულათ სდევნიან და სჯიან საზოგადოათ მიღებულ ჩვეულებების, აზრების, სარწმუნოებრივ რწმენების და სხ. მაგვარების დარღვევისათვის უკულტურო ქვეყნებში, როგორცაა ჩინეთი, სათათრეთი და სხ. მათი მსგავსნი. ამასთან ზნეობრივ მხარეს ყურადღებას არ აქცევენ. ძველი ჩვეულებების დარღვევა შეიძლება მოხდეს ზნეობის უდავო მოთხოვნილებათა გამოც, — ეს არავის საკითხავი არ არის: პატივსადება ძველიდანვე მიღებულ წესების დარღვევა, თუნდაც მისი ზნეობრივი მნიშვნელობა ცხოვრების შეცვლილ პირობების ზეგავლენით სრულიათ უმნიშვნელო შეიქმნა, ასე, მაგ., ჩინეთში სამშობლოდან გადასახლება მთავრობის ნებადაურთველად სასტიკ დანაშაულებად ითვლება, რასაც კანონით სიკვდილით დასჯა მოჰყვება; თუმცა ამავე დროს ევროპიდან ასი ათასობით დაუკითხავათ სახლდება მკვიდრი სამშობლოდან სხვა სახელმწიფოებში, მაგრამ ამისათვის მათ არაფინ სდევნის. თვით ჩინეთშიაც გადასახლება მეტის-მეტათ მატულობს და ძველი მრისხანე კანონიც დახლეწილ დაბეს წარმოადგენს, რომელიც ველარავის აჩერებს. ვარდა ამისა ჩინეთში სქესებრივი შეერთება თუნდაც შორეულ ნათესაფთა შორის სიკვდილით ისჯება, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ შეერთებას არავისათვის ვნება არ მოაქვს.

ევროპაშიაც წინა ხანებში დანაშაულობანი საზოგადოებრივ წესწყობილების, რწმენების და ჩვეულებების შესახებ, იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ისინი თავის თავათ ზნეობის მოთხოვნილებას არ ეწინააღმდეგებოდენ, მეტათ მკაცრათ და უსამართლოთ იდევნებოდენ და ისჯებოდენ. საკმაოა მოვიგონოთ დევნა სარწმუნოებრივ სექტანტებისა საკათოლიკო ეკლესიის ძლიერ-მოსილ ბატონობის დროს. რამდენი მართლაც უუკეთილშობილესი ადამიანები, სარწმუნოების მქადაგებელნი, მეცნიერნი და მოაზრენი დაილუპნენ კოცონზე, რკინის გახურებუ-

ლი შოლტებით და სატუსალოებში—მხოლოდ იმიტომ, რომ მათი რწმენები და შეხედულებანი არ ეთანხმებოდენ საშუალო საუკუნეების კათოლიკების წესებს და დოღმატებს. ყველა ისინი სასტიკ „სარწმუნოებრივ“ დამნაშავეებად ითვლებოდენ მიუხედავად იმისა, რომ ერთადერთი მათი მიზანი იყო: გაეფანტათ ის წყვილი უგუნურებისა, ცრუმორწმუნოების და მონურ მუხლმოდრეკის წინაშე პაპის ავტორიტეტისა, რომელსაც ასე მაგრათ ჩაეჭიდა კლანჭები მაშინდელ ევროპისათვის. საკმარისია დავასახლოთ მთელი ევროპისათვის ცნობილი სახელები, როგორიცაა მაგ., იოანე გუსი, ჯიორდანო ბრუნო, ლიუტერი, გალილე და სხ. მისთ: წამებულნი ანუ დევნილნი საერო და სასულიერო მთავრობათა მიერ, — რომ შევიგნოთ, თუ რაგვარ უსამართლოებასა და სიმკაცრემდე მიღწევს კაცი სარწმუნოებრივ, წოდებრივ ანუ სხვაგვარ ცრუმორწმუნოებათა ზეგავლენით...

ასე ამრიგათ, დანაშაულობა თვისი ისტორიული განვითარებით და სხვა და სხვა ხალხთა შორის თანამედროვე მდგომარეობით—უსათუოთ უზნეო საქციელი როდია, — ეს მხოლოდ დარღვევაა ამა თუ იმ მხარეში არსებულ სისხლის სამართლის კანონებისა. მაგრამ უმთავრესი ფორმები დანაშაულობისა -- პიროვნებასა და სხვის საკუთრებაზე დაცემა -- წინათაც და ახლაც ეწინააღმდეგებოდა ზნეობის მოთხოვნებს და განიკიცებიან როგორც მთავრობის სამართლის მხრით, ისე საზოგადოებრივ ზნეობის მხრითაც. ისეთი საქციელი, როგორიცაა იკუმლათ ან ცხადათ მოტაცება სხვისი საკუთრებისა, გაიძვერაობა, მოტყუება ანუ ცარცვა-გლეჯა, მკვლელობა, მრუშება—არაფითარ საზოგადოებაში მოსათმენი არ არის. ამგვარი საქციელის ჩამდენ კაცებს არ შეუძლიათ ისარგებლონ იმგვარივე უფლებებით, როგორითაც სარგებლობენ დანარჩენი მშვიდობიანი მოქალაქენი. სახელმწიფო ძველის დროიდან სდევნიდა მათ და ყოველნაირათ სჯიდა. დიად შემ-

თხვევებში არ ერიდებოდა არც სიკვდილს, არც საოკუნოთ კატორღაში გაგზავნას.

ასე თუ არის, მაშ რატომ და ჩადის კაცი დანაშაულობას, რომლისათვისაც მას სასტიკი სასჯელი მოეღოს? როგორ არ აჩერებს მათ თავიანთ საქმისათვის კანონის წინაშე პასუხისმგებლობა? რა კაცებია ისინი საერთოთ? წინეთ ამგვარი საკითხები არავის აფიქრებდა და დამსჯელ მთავრობას ხომ საზოგადოების სხვა წევრებზე უფრო ნაკლებ. ჩაიდინა ვინმემ კანონის ამა და ამ მუხლში მოხსენებული დანაშაულობა, — მაშ „ბედოვლათი“ კაცი ყოფილა, დამნაშავეა, „ბოროტმა“ სულმა დასძლია „კეთილს“; — ამ შემთხვევაში ერთი და საშუალება დაგვრჩენია, მოვძებნოთ კანონის მუხლებში, რა სასჯელი ეკუთვნის მას, ციხეში ჩაჯდომა, თუ გასაშოლტვათ გაგზავნა და საქმეს ბოლო მოელება, დანაშაულობა მოისპობაო. ამასთან ყურადღებას როდი აქცევდენ არც მიზეზებს დანაშაულობისას, არც გონებრივ და ზნეობრივ მდგომარეობას დამნაშავისას დანაშაულობის ჩადენის დროს, არც მის ცხოვრების პირობებს და ხშირათ უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობას. ასამართლებდენ, სასჯელს უწყვეტდენ და სჯიდენ მკირე წლოვან ბავშვებსაც კი, რომელთაც თავიანთი საქციელის ჯერ კიდე არა ესმოდათ რა. ასამართლებდენ შემულით და საზოგადოთ სულით ავადმყოფთ, რომლებსაც ვერ არჩევდენ, თუ არ არჩევდენ მრთელი კაცებისაგან. ეს კიდევ რაა: ასამართლებდენ დანაშაულობისათვის ცხოველებს, ღორებს ბავშვების შექმისათვის და დიდის ამბით სჯიდენ მათ ქალაქის მოედნებზე. იმ დროში ისე ნაკლებათ შეგნებულნი იყვნენ მსაჯულები, რომ არ ესმოდათ, რომ სისხლის სამართლით პასუხისმგებლობა ბოროტ მოქმედების ჩადენისათვის მხოლოთ მაშინ შეიძლება, როცა დამნაშავე სულიერათ და გონებრივათ ჯანსაღია. თუ კი იგი დანაშაულობის ჩადენის დროს ჭკვას მოკლებული, არეული იყო, მის მიერ ჩადენილ დანაშაულობას სისხლის სამართალს ვეღარ დაუქვებდებარებთ, ყო:

ველ შემთხვევაში შეუძლებელია გონების დახშობისათვის მისი დასჯა. როგორც ვიცით მრავალი დანაშაულობანი ხდებდა ისეთ კაცების მიერ, რომლებიც ან ბუნებით ქვეა თხელნი არიან და არა აქვთ განვითარებული მსჯელობის უნარი, ანუ ისეთები, რომლებიც ჩვეულებრივ დროს სულიერათ დაზიანებულნი როდი არიან, მაგრამ განსაკუთრებულ მძიმე და აუტანელ მდგომარეობას ჩაუგდია იგი განსაცდელში და დანაშაულობა ჩაუდენინებოა...

დამშვიდებულ მდგომარეობაში ჩვენი დროის საშუალო ადამიანს უნარი აქვს იხელმძღვანელოს თვისს მოქმედებებში ქვეა-გონებით, შეუძლია ერთნაირის ზომით დაუმორჩილოს თვისი ბუნების ცუდი, არა საზოგადოებრივი მიდრეკილებანი ფულშემატკივრობის გრძობებს, სხვისი პიროვნების პატივისცემას და თვისი ქვეყნის კანონებს. მაგრამ ამის უნარი აქვს სახელდობ, საშუალო ადამიანს და უთუოთ დამშვიდებულ და დაწყნარებულ სულიერ მდგომარეობის დროს, როცა მას საშიშროება არ მოელის და თითონაც დარწმუნებულია, რომ თვისი კარგი ყოფაქცევა მისთვისაც უფრო გამოსადეგია, ვინემ ცუდი, მაინც კიდე არიან ისეთი კაცები, რომელთაც არავითარი გამაბლესებელი და ამაღლევებელი გარემოებანი ააწუხებენ, მაგრამ არ შეუძლიათ დამშვიდებით განსაჯონ თრვიანთი მოქმედებანი, უღონონი არიან თავიანთ ფნებებს ებრძოლონ, თუმცა თავის თავათ ისინი, შეიძლება, ცუდი კაცები არ იყვნენ, სრულიათ ბოროტ-მოქმედნი და ვერაგები, განსაკუთრებით სანამ იგინი ციხეში ჩაჯდომით გაირყვნებოდნენ. ამ გვარ კაცებს ჩვეულებრივათ „ჩურჩუტ“, „საოცარ“ „ფხუკიანებს ანუ ალტვინებულებს“ ეძახიან. ისინი არიან ნერვებით ავამყოფნი, არა ნორმალურნი, ფსიხოპატები (სულიერათ დაზიანებულნი). იმათ სულელებს ვერ დაუძახებთ; იმათ შეუძლიათ სრულიათ ფონივრულათ იმოქმედონ, მაგრამ მაინც უიდე ისინი ფონებრივ ბნობრივათ სრულიათ ჯანსაღნი როდი არიან; მათი ნება და ფანსჯის უნარი დასუსტებულია

და მათი ვნებების (იმპულსების) მიდრეკილებანი მეტათ ძლიერნი და თავ-დაუქერელი.

ამნაირ ადამიანთა ტიპების არსებობის მიზეზები მრავალგვარია, მაგრამ უმთავრესად უნდა აღვიაროთ საზოგადოებრივი მიზეზები: სიღარიბე, დადღილობა ფიზიკური და გონებრივი შრომისაგან, სანახევროთ მშაერ-მწუურვადი ცხოვრება ტაჯახიან და არა სსაიშრთელა სდგომქში (განსაკუთრებით ქაჯაქებში); ყოველივე ესენი აუძღურებენ ადამიანის სხეულს, უკარგავენ მხნეობას არსებობისათვის ცხოვრებაში, და ამავე დროს ტანჯვენ და ქსაქსავენ ადამიანის შინაგან ბუნებასაც. ძველათ რომაელები ამბობდენ: მრთელი სული — მრთელ სხეულშიაჲ. და ან კი რა „მრთელი“ სული უნდა შერჩეს ნოტიო და დამპალ ჰაერის მყნოსავ სახურავ ქვეშ და სარდაფებში მცხოვრებლებს, რომლებიც ეწვეიან მავნე და მძიმე მუშაობას სრულიად უგიგიენო და უსუფთაო პირობებში?! განსაკუთრებით მშობლების სისუსტეს და ნაკლებ საზრდობას ცუდი გავლენა აქვს შთამოებაზე: შვილები გამოდიან სუსტები, ფერ-მიხდილნი, უსისხლონი და ავათმყოფნი. სიღარიბესა და ნაკლულევიანებაში აღზრდილთ, იმათ აღარა აქვთ უნარი შეუპოვარი, მუდმივი შრომისადმი, რასაც იმათგან სასტიკი ცხოვრების პირობები მოითხოვენ. მათ არა აქვთ არც ძალა, აღარც მხნეობა, — ეძახიან კი მათ „ზარმაცებს“, „მუქთახორებს“, დანაშაულობად უთვლიან იმათ თავიანთ ორგანიულ სისუსტეს და ღონემიხდილობას, ადგილებზე უარს ეუბნებიან, სდევნიან. მათთვის თავ-შესაფარი აღარ სუფევს, ქუჩებში მოწანწალენი ხდებიან. რა უნდა ქმნან იმათ? ზოგიერთები თავის თავათ კვდებიან, ზოგნი თავს იკლავენ, უმეტესი ნაწილი კი — ვინ მათხოვრობს, მოწანწალეობს, და ვინ ქურდ-ბაცაცობით შოულობს ლუკმა პურს.

რა თქმა უნდა, ყველა დამნაშავენი უთუოთ სულიერათ ავათმყოფნი, გათახსირებულნი, ორგანიულათ დაქსაქსულნი კაცები როდი არიან. იმათში მრთელი კაცებიც ურევია, რომლებსაც დანაშაულება ჩაადენინა თვისი ცხოვრების უბედულ-

რმა გარემოებებმა, ანუ თვისმა ალტყინებულმა, თავ-შეუკავებელმა ბუნებას. ამგვარ კაცებს ჩვეულებრივ დაწყნარებულ ცხოვრებაში შეეძლოა ყოფილიყენ ძლიერ კარგი და სასარგებლო წევრნი საზოგადოებისა. მაგრამ იათი ხასიათის ზოგიერთმა თავისებურობამ, სახელდობ, ჩქარმა და თავ-შეუკავებელმა აღელვებამ, რამაც მას დროებით გონება დაუხშო და ვნებებს გზა გაუხსნა, — ჩაადენინეს მას დანაშაულობა. ასეთები არიან ისინი, ვინც მკვლევლობას ჩადის მრუშების, შურისძიების ვნებებით, ჩხუბში და სხ. მისთ. დროს.

ამ უკანასკნელ 15—20 წლის განმავლობაში მეცნიერება ბევრს ცდილობს გამოარკვიოს საკითხი დანაშაულის ბუნებისა, მისი განსაკუთრებული ხასიათის, გარეგანი და შინაგანი ნიშნები და სხ. მისთ, პირველი ნაბიჯი ამ სამეცნიერო მოძრაობაში გადადგა იტალიელ მეცნიერმა ლომბროზომ, რომელიც თავისი მიმდევრებით ცდილობდა დაედგინა განსაკუთრებული „ტიპი“ დანაშაულისა, უფრო კი ეგრედ წოდებულ „თანდაყოფილ“ დანაშაულისა, ე. ი. ისეთი კაცის, რომელიც თავისი ფიზიკური (და სულიერი) ბუნებით მიისწრაფის დანაშაულობისაკენ ყოველნაირ გარემოებებში და თავის ცხოვრებაში უსათუოთ ჩაიდენს დანაშაულობას. მაგრამ მრავალი მეცნიერების (უმეტესათ საფრანგეთის) შემდგემა გამოკვლევებმა უარჰყვეს ლომბროზოს ის აზრი, რომ ვითომც თითქოს არსებობდეს განსაკუთრებული დანაშაულის „ტიპი“, რომელიც სხეულის ერთნაირნი ნიშნებით გამოიცილობიან. მრავალი ის განსაკუთრებული ნიშნები სხეულისა, რომლებსაც ლომბროზო და მისი მიმდევრები პოულობენ დანაშაულებში, ხშირათ გვხვდება „პათიოსან“ (ე. ი. სასამართლოში რომ არ ყოფილან) კაცებში, და საზოგადოთ შეუძლებელია განვმარტოთ რა გარეგანი ნიშნები უნდა ჰქონდეს „დანაშაულებ“ ტიპს. მეცნიერება, რა თქმა უნდა, აღიარებს, რომ სხეულით დასახიჩრებულ (უფრო კი ნერვებით) კაცებს ნაკლებათ აქვთ უნარი ზომიერი შრომისა და ამიტომ აღვილათ ჩაიდენს დანაშაულობას. მაგრამ ამის ჩასადენათ სა-

ქირაა განსაკუთრებული, მისი ნებისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გარემოებანი. ამგვარი უშრომლობის მოყვარულთ, ფიზიკურათ და ზნეობრივათ არა საიმედო კაცი რომ თავისს დროზე სადმე შეეფარებინათ, მოეგვარათ მისთვის ძალღონე, აღეზარდათ და ესწავლებინათ, — იგი როდი შეიქმნებოდა დამნაშავედ.

ბოლოს, შესაძლებელია ცხოვრებაში ისეთი მდგომარეობაც, როცა სრულიათ ნორმალური, ჯანსაღი ადამიანი ჩაიდენს დანაშაულობას. ამგვარ შემთხვევაზე გვითითებს პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი მის მიერ დალაშქრებულ მიწერილ წერილში (3 აპრილი 1770 წელი): „ესთქვათ, ამბობს მეფე, რომ ვისიმე ოჯახი უკიდურეს გაჭირებასა და სიღარიბეში ჩავარდა, არსაიდან არც დახმარება აქვს და ვერც სამუშაოს შოულობს; ამისთანა შემთხვევაში სრულიათ უყოყმანოთ ნებას დავრთამდი ამ ოჯახს ქურდობისას, ერთი იმიტომ, რომ ამ ადამიანებს ყოველნაირი დახმარება და შემწეობა მოუსპვს, მკორეთ კი იმიტომ, რომ გაცილებით უმეტესი დანაშაულობაა თავისის თავის და ცალ-შვილის შიმშილით დახოცვა, ვინემ მოპარვა რაიმე ნივთისა, რაც ამ მშივრებს გამოაკვებავს... საზოგადოებრივი ზნე-ჩვეულებანი ერთიმეორის დახმარებაზე არიან დამყარებულნი; თუ რომ საზოგადოება შესდგება გულქვა და უსულ-გულო კაცებისაგან, ამისთანა საზოგადოების მიმართ ყოველგვარი მიმართულებანი ქარწყლდებიან, და დგება ხანა პირველყოფილ უუფლებობის და ძალმომრეობისა“...

ასე ფიქრობდა და სწერდა თვითმპყრობელი მეფე 130 წლის წინეთ, და, რა თქმა უნდა, როგორც მისს დროს, ისე შემდეგაც, უფრო კი ბატონყმობის დროს, ცოტა შემთხვევები როდი იყო, როცა სრულიათ ნორმალური და პატიოსანი კაცები გაბრაზებული მემამულეების, მათი მმართველების და სხ. მისთ. უსამართლობით და პირდაპირის სისასტიკობით, დანაშაულობას ჩადიოდენ. ბატონყმობასაც, რომ თავი გავანებოთ, ცოტა შემთხვევები არ ყოფილა და არის დღევანდელ ჩვენ

ცხოვრებაშიდაც, როცა გაიძვერა და გულ-ღებზიანი კაცები თავიანთი მოქმედებით აიძულებენ კარგ, მაგრამ „ცხარე ხასიათის მექონ ადამიანებს ჩაიდინონ დანაშაულება. ამის მაგალითს წარმოადგენს ცნობილი მოთხრობა რუსების მწერლის ტურგენიევისა „ПОСТОЯЛЫЙ ДВОРЪ“. ცბიერი და გულქვა ნაუმი ანადგურებს გულ-უბრყვილო აკიმს, ვამოაგდებს მას სასტუმრო სახლიდან და თითონ აპატრონდება მას, გამოსტყუარა წინდაწინ აკიმს ფული მისი ცოლის ავღოტიას (რომელიც მან ნაუმმა შეიყვარა) შემწეობით გალატაკებული და იმედგაცრუებული აკიმი სცდილობს ღამე ცეცხლი წაუკიდოს სასტუმროს, რომელიც დაიფლო მისმა მოხერხებულმა მოქიშვემ. აი ამგვარი ხარჩული უღვეს ბევრს, ძალიან ბევრ დანაშაულობებს ქვეყნიერობაზე. ანგარების მოყვარე და ანგარიშიანი კაცები ჩვეულებრივად თავს შორს იჭერენ, თუმცა იმათი გაიძვერაობა-მელაკუდაობით სხვები ძალზე იტანჯებიან. ბოლოს, როცა მათ მ.ერ გალატაკებული, დაჩაგრული და შეურაცყოფილი ადამიანები, გულგატეხილობით და უსასობით აღელვებულნი, ჩაიდენენ რაიმე უგუნურ საქციელს, პირველათ ისინი (დამლუბველები) აყვირდებიან: „არიქა, ყარაული! დაიჭირეთ დამნაშავენიო“!

ამნაირათ „დამნაშავე“ ჯერ კიდევ სრულიათ არნიშნავს უზნეო ადამიანს, რომელსაც არ ძალუძს კარგი და პატიოსანი ცხოვრება. ეს ისეთი ტემპერამენტის (ხასიათის) კაცია, რომელიც ცუდი მემკვიდრეობით, ან სხვა მიზეზების გამო დასუსტდა და ნერვები აეშალა, ანუ კიდევ ჯანმრთელი ადამიანია, მაგრამ ჩავარდა თუ არა აუტანელ პირობებში, ჩაიდინა დანაშაულობა. ორთავე შემთხვევაში იგი უწინარეს ყოვლისა „უბედური“ ადამიანია, რაც ასე ღრმად შეგნებული და ნაგრძნობი აქვს უბრალო ხალხს, რომელიც დამნაშავეს ისეთავ-მომწონეთ და სიძულვილით არ უყურებს, როგორც ვგრედ წოდებული „განათლებული“ საზოგადოების წევრნი. ესენი აქ მხოლოდ იმას ივიწყებენ, რომ დიდი სიბრძნე როდია და-

ნაშაულობის ჩაუდენლობა, როცა სრულიათ კმაყოფილი და უზრუნველ-ყოფილი ხარ ცხოვრების მეჯლისში. ამიტომ ვერ მოვთხოვთ ზნეობრივ გმირობას იმათ, ვისაც დღიური ლუკმა პური არ გააჩნია, ან იმათ, ვისაც ცხოვრების სასტიკი პირობანი და გაჭირება-ტანჯისაგან დაუძლურებული ორგანიზმი უკანონო საქმეებში ხლართავს. ყოველივე ჩვენგანი ცუდ და აუტანელ პირობებში თავის თავს ვერ უთავდებებს, რომ იგი სისხლის სამართლის კანონებს არ დაარღვევს. ადამიანის ამ გვარი ვითარება რუსის ხალხმა შემდგენაირათ გამოხატა ანდაზებში: „Грѣхъ да бѣда на комъ не живетъ?“ „Кто Богу не грѣшенъ, царю не виновать?“ „Отъ тюрьмы и отъ сумы не отказывайся?“

რასაკვირველია, დამნაშავეთა შორის არის ზნეობით სრულიათ დაცემული კაცებიც, რომელნიც მოკლებულნი არიან მოყვასისადმი სიყვარულის და სიბრალულის ყოველგვარ გრძობებს, მაგრამ ამისთანები ან მთლათ სულიერათ ავათმყოფნი არიან (და მათი ავათმყოფობა იმდენათ რთული და დაფარულია, რომ უბრალო ადამიანები, არა ექიმ-ფსიხიატრები, ვერც კი გამოიცნობენ), ან ეს კაცები გარყვნილნი და გაბოროტებულნი არიან დანაშაულობის ჩადენამდე კი არა, მის შემდეგ. საზოგადოებისაგან განდევნილნი, ციხეში ჯდომით დარცხვენილნი, ისინი ვერსად პოულობენ თავ-შესაფარს და მყუდროებას. ამნაირათ, უნებლიეთ ხვდებიან რა ყოველგან თვისდამი უნდობლობას, ზიზღს და მტრობას, იმათშიდაც ესევე გრძობები ვითარდება სხვების მიმართ. აქედან იბადება სურვილი დანაშაულობის განმეორებისა, რაც უმეტესათ საუკუნო დაღუპვით ბოლოვდება.

ამნაირათ, ბოლოს და ბოლოს დანაშაულობანი მომდინარეობენ საქრთოთ, უმეტეს ნაწილათ საზოგადოების მოუწყობ-

ლაბისაგან, რომ მასში არ არსებობს კეთილი, გულწრფელი და თანაგრძნობითი დამოკიდულებანი ცალცალკე ადამიანთა შორის. სადაც ცალცალკე კლასებს, წოდებებს, თემებს და ბოლოს მებობლებს შორისაც მუდამ იღუმალი, თუ ცხადი წვრილნანი ბრძოლა, დავა და საჩივრებია, სადაც არსებობს უკეთური სურვილები ან გულგრილობა სხვისი მწუხარებისადმი და ყველა გაიძახის: ჯერ თავო და თავო, — იქ დანაშაულობებიც ხშირია და ყოველ წლიურათ მატულობს. განსაკუთრებით მატულობს ქურდობის და ცარცვა-გლეჯის რიცხვი შიმშილობის და მოუსავლიანობის წლებში, როგორც, მაგ., რუსეთში ვოლგის განაპირა გუბერნიებში 1891 — 92 წლებში...

მაშ, რა უნდა უყუთ დამნაშავეებს? შეუძლებელია მათი მუდამ გამართლება და თავისუფლათ გაშვება? რა ზომებით შეუძლია საზოგადოებას თავი დაიცვას დანაშაულობის ჩადენისაგან? ეს საკითხები გვიწვევენ ჩვენ. განვიხილოთ ზომები დანაშაულობათა წინააღმდეგ საბრძოლველად და აქ კი უპირველეს ყოვლისა უნდა შევხვით სასჯელს, როგორც დანაშაულობის მომსპობ საშუალებას. მაგრამ ამაზე ჩვენ ცალკე ვისაუბრებთ.

## სასჯელის წარმომადგენლობა და მისი განვითარება.

(წერილი მეორე)

დანაშაულობას, თუ კი იგი მთავრობის მიერ აღმოჩენილი იქნა, მოყვება სასჯელი. დამნაშავეს იჭერენ, ციხეში აჯენენ, ასამართლებენ, მიუსჯიან, ციხიერში გაგზავნიან, ანუ რამდენიმე წელიწადს ციხეში ჩააჯენენ და სხ. მისთ. ეს წესრიგი ჩვეულებრივია ჩვენშიაც და ევროპაშიდაც. სუყველგან სასჯელი მიუცილებელ საზღვაურად ითვლება დანაშაულობისა იგი მიუცილებელი საშუალებაა საზოგადოების დამნაშავეთაგან დასაცველად.

მაგრამ რა არის სასჯელი? როგორ იცვლება იგი დროთა ვითარების ჟამში? რა საბოლოო მიზანი უნდა ჰქონდეს მას თანახმად საზოგადოებრივ ზნეობისა და თანამედროვე მეცნიერებისა?

ყოველ ხალხში და განათლებულ ქვეყნებში, მით უფრო ველოურ ხალხებსა და უძველეს ისტორიულ ხანებში, ყოველნაირი შეურაცყოფა, თავდასხმა, ანუ ქონების წართმევა იწვევს ბრახისა და შურისძიების გრძნობას დამნაშავისადმი. შეურაცყოფილი მიისწრაფის გადაუხადოს სამაგიერო შეურაცყოფელს, მიუზღოს მას ცემით ცემისათვის, ბოროტებით ბოროტებისათვის, — ერთი სიტყვით, შეურაცყოფილში და მის ნათესავსა ანუ მეგობრებში იბადება გრძნობა შურისძიებისა \*)

სწორეთ ეს გრძნობა შურიანობისა შეურაცყოფის და ძალადობის მიყენებისათვის გახდა წყაროდ სასჯელისა, როგორც საზღაური დამნაშავისა დანაშაულობის ჩადენისათვის. ძველის ძველათ, როცა ადამიანები ჯერ კიდევ გვარეულობად ცხოვრობდნენ, და სამეფო მთავრობას დღევანდელი ფორმა არ ჰქონდა, — კერძოთ შურის ძიება შეურაცყოფილისა და მისი შთამოგების მხრით დამნაშავის ერთათ ერთი სახეიყო დასჯისა. იმ დროში გამეფებული იყო თვითგასამართლება (самосудъ) ანუ შტოათ შურის ძიება, რაც დღეს ევროპის ყველა სახელმწიფოებში აღკრძალულია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ დაცულია ზოგიერთ ველოურ ხალხებში. აქა-იქ ევროპაშიაცაა ნაჩვენები ძველებური შტოით შურის ძიებისა, მაგ., კორსიკაში კავკასიის მთიულეებში და სხ.

\*) ველოურ ხალხებში შურის ძიება მიაჩნდათ და დღესაც მიაჩნიათ კეთილ-შობილურ გრძნობად. ვინც შურს არ იძიებს თვისი ან წინაპრის შეურაცხყოფისათვის, მას ეგულა შეიძულებს. შურს იძიებენ ხშირათ არა პირდაპირ შეურაცხმყოფელზე, არამედ მისს ნათესავებსა და შთამოგებაზედაც კი, რადგან იძიონ კი შური.

როცა აღამიანები გვარეულობითი ცხოვრებიდან ტომე-ბრივზე გადავიდნენ, და შემდეგ წვრილმანი სახელმწიფოების, რასაკვირველია, უმეტესად მონარქიულის, დაარსებაც შემოი-ღეს, ამ ტომების ანუ პატარ-პატარა სახელმწიფოების უზენა-ესი მთავრობა (მეფე იყო იგი, თუ რჩევა უხუცესთა) ჩაერთა გვარეულობათა შორის ამტყდარ დაეხსა და ომებში, დაიწყო გასამართლება, დაიწყო განსჯა დანაშაულობისა და რამდენა-თაც შესაძლებელი იყო ფრთები შეაკვეცა გვარეულობათა შუ-რის ძიებას. მაგრამ ამგვართ ფრთების შეკვეცა კუს ნაბიჯით მიდიოდა, განსაკუთრებით მოკვლის შესახებ. წვრილმანი ხალხებში და ტომების მთავრობა უწინააღეს ყოვლისა თავიან-თი უფლების და ავტორიტეტის დაცვაზე ზრუნავდა. ამიტომ უმეტესათ წვრილმანი მეფეები დარჩევები (სენატები) სდევნი-დნენ მთავრობის წინააღმდეგ დანაშაულობებს: ხალხის აჯან-ყებებს, მთავრობის კაცების წინააღმდეგობის გაწევას და სხ. მისთ. კაცის მკვლელობა, რომლისაგანაც მთავრობას არავი-თარი შიში არ მოელოდა, დიდხანს კერძო საქმედ ითვ-ლებოდა, რისთვისაც შური უნდა ეძიათ მკვლელის ნა-თესავებს. თვით კანონი ამგვარ შურისძიებას არა თუ ნებას რთავდა, აკანონებდა კიდევ. „რუსკაია პრავდაში“ (კრებუ-ლია რუსების ძველი—XI საუკ. დროის კანონებისა) ნათქვა-მია: „თუ ვანმე ვისმე მოჰკლავს, იგი შურს იძიებს მოკლული-სათვის ძმაზე, მამაზე, შვილზე ანუ ძმისწულზე“.

დროსა და უამის განმავლობაში, როცა მთავრობის ძა-ლამ ფესვები გაიღვა, მან დაუწყო დევნა არა მარტო საზო-გადოებრივ წესწყობილების (პოლიტიკურ და სარწმუნოებრი-ვის) წინააღმდეგ დანაშაულობებს, არამედ, კერძო პირთადმი მიმართულთაც. თავდაპირველათ ყოველი ქვეყნისა და ხალხის მთავრობამ დევნა დაუწყო, საჩივრების ძალით, საკუთრების შესახებ დანაშაულობებს: ქურდობას, ცარცვა-გლეჯას და მი-სთანებს. რადგან ამგვარი დანაშაულობანი მიმართული იყო მდიდარი კლასის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვეულებრივ

თვით მთავრობაც ეკუთნოდა, ამისაივის ქურდობა და ცარცვა გლეჯა დიდი ხნის განმავლობაში სიკვდილზე უსასტიკეს დანაშაულობად ითვლებოდა და გამტყუნებული დამნაშავე სასტიკის სასჯელით ისჯებოდა. ასე, მაგ., ძველ ინდოეთში ძროხის მოპარვისათვის (საღეთო ცხოველია ინდოელებისა) დამნაშავეს წყალში ჩახრჩობით სჯიდნენ, ღამე ქურდობისა და კარების შეგლეჯით თავდასხმისათვის — დამნაშავეს სარზე აცობდნენ და სხ. მისთ.

დროს-მიმაკლობაში მთავრობამ კერძო კაცის მოკვლა დანაშაულობად აღიარა, რაც კერძო შურისძიების მიუხედავათ უნდა დევნილიყო. თავდაპირველათ მარტო იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ მოკლულის ნათესავები, სანამ მკვლელზე შურს იძიებდნენ, უნდა განეცხადებიათ ამაზე მეფის ანუ მისს მსაჯულთათვის, შემდეგ მეფე, ან მსაჯული მოითხოვდა მკვლელს და საქმე ამნაირათ წარმოებდა, მაგრამ მოკლულის ნათესავების გვარეულობითი შურის ძიების უფლების ძალით, სასამართლოს განაჩენი მაინც თითონ მოჰყავდათ სისრულეში ჩვეულებრივ იქვე ადგილზე. დღესაც ასე სჯიან აბსინიაში დამნაშავეს მოკლულის ნათესავები. როცა ნეგუსი (მეფე), ანუ რასი (მთავარი) წარმოასთქვამს დასჯის გადაწყვეტილებას, მსხვერპლის ერთი მონათესავეთაგანი აიღებს იარაღს (უსათუოთ იმისთანას, როგორითაც მოხდა მკვლელობა) და ჰკლავს დამნაშავეს.

ძირითადი საფუძველი, როგორც გვარეულობითი შურისძიებისა, ისე გვიანრულე მთავრობის სამსაჯულოსი თვისი პირვანდელი ფორმით, იყო ბოროტებისათვის ბოროტებით, ტანჯვისათვის ტანჯვით გადახდა, პასუხისგება. „ცხოვრებისათვის ცხოვრება, თვალი თვალთა და კბილი კბილთა ზედაო“, ამბობს მოსეს სჯული. ეს იყო საერთო კანონი ყველა ურიებისა თავიანთ განვითარების უპირველეს ხანებში, ეგრედ წოდებული კანონი ტალიონისა (სამაგიეროს გადახდისა). ტალიონის სასტიკი შედეგების თავიდან ასაცლებლად შემ-

ძლე კაცები ურიგდებოდნენ სიკვდილით და ტანჯულთ, ან იმათ ნათესავებს და გამოისყიდდნენ თავს მოსალოდნელ შურისძიებისა ანუ სასჯელისაგან. კერძოთ აშნაირათ თავის გამოისყიდვა შემდეგ ბევრმა ქვეყნებმა შეიტანეს კანონმდებლობაში, როგორც ჩვეულებრივი საშუალება მშვიდობიანათ საქმის გათავებისათვის. ცხადია, რომ ამგვარი თავ-გამოყიდვა, თუმცა ხელს უწყობს მკვლელობის შემცირებას, მაგრამ იგი შეადგენდა მდიდრების უმართებულ უადრესობას. ვისაც დადგენილი თავის დასახსნელის ანუ პენის გარდახდა არ შეეძლო, იმას არ ასცდებოდა გვარეულობითი შურისძიება, ანუ მთავრობის სასჯელი.

საერთოთ მართლიერება დასჯის საქმეში ძალიან უხეშათ დბ ბუნდეთ ესმოდათ მონობის და ბატონყმობის ეპოქაში. ერთ და იმავე დანაშაულობისათვის მონას სიციოცხლეს ასაღმებდენ, თავისუფალ კაცს კი შეეძლო ცოტაოდენი გამოსაყიდით თავი დაეხსნა. ამასთან ბატონს უფლება ჰქონდა მონის სიციოცხლესა და სიკვდილზე, შეეძლო იგი უსასტიკესად დაესაჯა სულ უბრალო დანაშაულობისათვის. ეს არავისათვის უმართებულობა არ იყო. ეს კიდე ცოტაა, დაბადებით თავისუფალ ოჯახშიდაც ოჯახის თავი, სახლის უფროსი სარგებლობდა თითქმის განუსაზღვრელი უფლებებით ცოლის, შვილების და ოჯახის დანარჩენ უმცროსი წევრების შესახებ. ძველ რომში, მაგ., ოჯახის თავს, მამას უფლება ჰქონდა თვის მოზდილ შვილების სიკვდილ-სიციოცხლესზე, ამგვარივე ოჯახური დამოკიდებულება არსებობდა სხვა ხალხთა შორისაც, მაგ., რუსეთში. იმათ ამის საკმაოთ დამახასიათებელი ანდაზა აქვთ: „Хозяинъ въ дому, что ханъ въ Крыму“.

ადვილი გასაგებია, რომ იმ საზოგადოებაში, რომელიც აშენებული იყო მონობასა და ბატონყმობაზე და განმტკიცებული იყო ოჯახურ და საზოგადოებრივ ძალადობით, ფეხს ვერ მოიკიდებდა და განვითარდებოდა გრძნობა მართლიერებისა, ადამიანთადმი გულშემატკივრობისა და ტანჯულთა მდგო-

მარეობაში მონაწილეობის მიღებისა. დამნაშავეთა შესახებ ლაპარაკიც მეტია. ისინი საზოგადოების მტრები იყვნენ, მტრებს კი იმ ხანებში როდი ზოგავდნენ. თუმცა სახელმწიფომ ცოტათი ალაგმა კერძო შურის ძიება, მაგრამ თითონ იგი, მსგავსათ კერძო პირებისა, გაუღწეველი იყო დამნაშავეთა თვის სამაგიეროს გადახდის გრძობებით. ეს კიდევ რაა: სახელმწიფოს სახეში ჰქონდა სამაგიეროს გადახდა მარტო ერთი პირისათვის კი არა, მას სხვების დაშინებაც ჰსურდა, უნდოდა შეეკავებინა ისინი მსგავსი საქციელის ჩადენისაგან და ამ მიზნის მისაღწევად ცდილობდა დასჯის სურათს საგულისხმოდ და მრისხანე ხასიათი მიეღო. მეფის აღექვი მიხეილის ძის დებულება ასე გვიხატავს რუსეთის მის დროინდელ მთავრობის აზრს: „რათა სხვებმა მის, ქურდის, წვალებას უყურონ და გულს შამოეყაროთ“. იმდროინდელი ზნე-ჩვეულებების საერთო სიმკაცრის და ადამიანთა შორის დაძალებულ, უნებაყოფლო დამოკიდებულობის დროს, დამნაშავეთა სასჯელიც გულშემზარავი, არა ადამიანური სახისა იყვენ: სიკვდილით დასჯა საოცრებას წარმოადგენდა; მოედნებზე გალახვით დასჯა თითქმის ყოველ ცისმარა დღეს ხდებოდა, განურჩევლად სქესისა და ხნოვანებისა. მხოლოდ **„Бити его батоги (или кнутомъ) пощадно“**-ლა ისმოდა, მაგ., წარსული დროის მოსკოვის უჭასებში.

ამასთან სახეში ისიც უნდა ვიქონიოთ, რომ თვით იმდროინდელი მართლმსაჯულება და ზოგადი წარმოდგენა დანაშაულობის სიმძიმის და მნიშვნელობის შესახებ ძირიან-ფესვიანათ განირჩევიან დღევანდელისაგან. მსაჯულები ნაკლებათ ზრუნავდნენ იმაზე, თუ, რა მდგომარეობაში იყო დამნაშავე; ე. ი. ცნობიერათ, შეგნებულათ ჩაიდინა დანაშაულობა? უმთავრესათ ისინი ზრუნავდნენ, რომ დანაშაულობა დაუსჯელი არ დარჩენილიყო. დამნაშავეს გამოსატებად, „როგორც მთელ ქვეყნიერობაზე საუკეთესო საშუალებას“, მიმართავდნენ წვალებას (пытка) და ამნაირათ სტეხდნენ ხანდისხან სრულიათ უდანაშაულო კაცებს. ხშირათ სიკვდილით სჯიდნენ მცირე-

წლოვანებს, შეშლილებს და პირუტყვებსაც კი. ასე ძლიერი იყო სურვილი უსათუოთ ვნებისათვის სამაგიეროს გადახდისა; თუნდაც ვნების ჩამდენი ვერც კი გრძნობდა იმის მნიშვნელობას. ამასთან ბრმათ დარწმუნებულნი ერთხელ მიღებულ ზნე-ჩვეულებებსა, დადგენილებებსა და რწმენებში, მსაჯულნი ყოველივე ამაების წინააღმდეგ გადახვევ-გადმოხვევისათვის ასამართლებდნენ და სჯიდნენ ყველა თავისუფალ არა მათებრ მოაზრეს, ან კიდე სასჯელს აყენებდნენ, თუ ვისმე მთავრობის ანუ სარწმუნოების წინააღმდეგ უნებლიეთ სიტყვა წარმოსცემდებოდა. საერთო ცრუმორწმუნეობის და უმეცრების დროს სასტიკათ სდევნიდნენ ყოველგვარ მკითხავეებს და არაწმინდასულებთან კავშირის მქონე კაცებს. საოცარი-სასჯელი ცრუ „მკითხავეებისა“, ჭინკების, ერეტიკოსების და სარწმუნოების უარისმყოფლებისა, შეადგენენ ბნელით მოცულ; სამწუხარო სურათს ევროპის ყველა ქვეყნების ისტორიაში.

ბუმცა ნელის ნაბიჯით, მაგრამ კაცობრიობა მაინც წინ მიდრიოდა, ვითარდებოდა გონებრივად და ზნეობრივად, დაძალებასე დაფუძნებული, უნებაყოფლო უხეში საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი ნელნელა დავიწყებას ეძლეოდნენ და შეიცვალდნენ უფრო სამართლიან და ადამიანურ ცხოვრების ფორმებსე. მონობა და ბატონყმობაც თანდათან-მოისპო მთელს ევროპაში. ამასთან ერთად დამყარდა საერთო სარწმუნოებრივი და პოლიტიკურ დამოკიდებულებათა თავისუფლება, რაც პიროვნებას ნაკლებად ავიწროებს.

საზოგადოებრივ წესწყობილებაში ამ არსებებთ ცვლილებების და მასთან ადამიანთა შორის საერთო სიმშატიურ და კეთილ-ქოსურნეობის გრძნობების ზრდას, შეუძლებელი იყო გავლენა არ მოეხდინა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზედაც. დასჯას, როგორც დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველ ზომას, ახლა უფრო სიტყვით დაუწყეს მოპყრობა და მისი ფორმებიც უფრო შეამსუბუქეს. შემდეგ იმისა, რაც გუშინდელ მონებს და ყმებს სამოქალაქო უფლებები მი-

ანიქეს, შეუძლებელი იყო არ ეცნათ დასჯილშიაც ადამიანი, შეუძლებელი იყო უტიფრათ ადამიანის ღირსებების გაქვლედა დამნაშავეებშიაც.

ამასთან ადამიანებმა პირველათ იწყეს შეგნება იმისა, რომ ძველი დროის მცნება „თვალი თვალისა და კბილი კბილისა ზედა“, როგორღაც არ შეესაბამებოდა თანამედროვე ცნებებს და ზნე-ჩვეულებებს. ადამიანმა თავის თავათ შეიგნო, რომ შურის ძიება უზნეო გრძნობაა და ყოველ შემთხვევაში არ ეთანხმებოდა ქრისტეს მცნებას — „ნუ ეწინააღმდეგები ბოროტებას ბოროტებით“ და „შეურაცხყოფის მიტევებას“. პირველყოფილი ადამიანი თუ თავისი და თავისიანების დასაცველად იძულებული იყო ძალაუვნებურად განევითარებინა შურის ძიების გრძნობა, მაშ რა საფუძველი უნდა ჰქონდეს მას იმ ხალხში, რომელიც კეთილგანწყობილების, განათლების, ქრისტეს მცნებით და ადამიანთა უხვ-მოყვარულობის კზას ადგია?! მართლიერება იქნება ამნაირ სახელმწიფოს მხრით გულგრილათ, „წინასწარ მოფიქრებულ განზრახვით“ საწვალეებელ სასჯელს მისცეს უღონო, დაჩაგრული, ფიზიკურათ და ზნეობრივათ დაუძლურებული დამნაშავე, რომელიც, როგორც ჩვენ უკვე ვსთქვით, ხშირათ დანაშაულობას ჩადის გაურკვეველი ვნებების და უბედურ შემთხვევების ზეგავლენით?! რა ს უძველი გვაქვს საერთოთ დასჯილს ბოროტებაზე ბოროტებიოვე მივუზღათ? თუ სახელმწიფო უკრძალავს კერძო შურისძიებას, „თვალთ თვალთა ზედას“, მაშ თითონ იგი რათ მოქმედობს შურისძიების გრძნობებით?

ასე ფიქრობდენ და გრძნობდენ დამნაშავეთადმი ადამიანურად, ჰუმანურათ, თანაგრძნობით მოპყრობის მქადაგებელნი; მაგრამ ამას ერთბაშათ როდი დამორჩილდენ მრისხანე, დაუზოგველი სამაგიეროს მიმგებლობის მფარველნი. იმათ საბუთი საბუთზე მოპყავდათ ძველებური ნამემკვიდრევის — სიკვდილით და სხეულით დასჯის, მძიმე საკატორლო შრომის და სხ. მისთ. სისტემის დასაცველად. ამასთან, ვარდა სამაგიეროს

მიზღვევის საჭიროებისა (რის დაცვაც ძნელი იყო განათლებულ საქრისტიანო მოძღვრების საბუთებისა), ჩვეულებრივით მთარველები უჩვენებდნ და დღეს გვითითებენ, რომ დამნაშავენი საზოგადოებისაგან მოშორებული იყვნენ, რათა „სხვები საცდურს ასცილდნენ“-ო. საზოგადოებას დამნაშავენი უნდა ავაცდინოთო, გაიძახიან მკაცრი სისხლის სამართლით დასჯის მთარველნი, და რითი ავაცდნთ, თუ სასტიკათ არ დავსჯით კანონის დამრღვეველებსო? დამნაშავეებს თუ თავაზიანობა დაუწყეთ, იმათგან მოსვენება აღარ გვექნება, ყველას გაგვქურდავენ და დაგვხანჯლამენო, დაჟინებით გვიჩიჩინებენ დამცველები...

საბუთები დამნაშავეთა დაშინების შესახებ დიდხანს მიანდაბ ურყევლად. მაგრამ კატომოყვარეობის თანასთან მოზარდმა ტალღებმა, მისი გზის გამწმენდ მეცნიერების დახმარებით, გადარეცხა ეს სიმაგრენიც ძველი, უსულგულო მართლმსაჯულებისა. მარტო მხილებით და დასჯით როდი იკაევებს ადამიანი თავს დანაშაულობისაგან? საქრისტიანო განათლებული საზოგადოება შიშის გრძობასა, უფროსების ბრძანებლობის და შეუგნებელ დამორჩილებაზე როდია დაფუძნებული, არამედ კეთილმსურველობის და ურთიერთის დახმარების გრძობებზე! აქ ასოდეს სასტიკი სასჯელნი დანაშაულობათა რიცხვს არ ამცირებდნ, ისინი მხოლოდ ძირიან-ფესვიანათ რყენიდნ და აფუჭებდნ ხალხს. მკაცრი სასჯელნი მართლაც აფთხოვდა, აფუთებდა მშვიდობიან მოქალაქეებს, უმისოთაც დანაშაულობის არამოყვარულთ, და ქმნიდნ მათ მივიწყებულ-მიყრუებულ და უპასუხისმგებლო მონების ჯოგად. ავკაცებშიაც სიმკაცრე, რასაც მა ავრობია და კანონის სახელით ქუჩებსა და მოედნებზე სჩადიოდნ წესიერების დამცველნი, — მხოლოდ იცავდა და ანვითორებდა ბოროტსა და ცუდს გრძობებს. რაც შეეხება თვითონ დამნაშავეებს, მათ მეგობრებსა და ამხანაგებს, არა ადამიანური სასჯელნი და წვალებანი აცხოველებდნ მათში შურიანობას და იწვევდა მომეტებულ

სურვილს შური ეძიებინათ თავიანთ მწვალებლებსადმი. სამაგიეროს გადახდამ გამოიწვია შურისძიება, როგორც ეს ხდებოდა წინეთ გვარეულობით ცხოვრების დროს. „ვინც ქარს სთესავს, ის ქარიშხალს მოიძიოს“, ამბობს ფრანგული ანდაზა და ჩვენებური—«რასაც დასთეს, იმას მომკიო»...

პირიქით, როცა მოისპო საქვეყნოთ დამნაშავეთა ტანჯვა-წვალება და სიკვდილით დასჯასაც აღარ ხმარობდენ, იკლო კიდევ სასტიკ დანაშაულობათა რიცხვმაც. თვით უმთავრესი დანაშაულობანი—მკვლელობა, ყაჩაღობა, ცარცვა-გლეჯა—დღეს-დღეობით მთელს ევროპაში (განსაკუთრებით ინგლისში) კლებულობს, თუმცა ახლანდელი სასჯელნი თვისი სისასტიკით ვერ შეედრებიან მე-18-ე და თუნდაც მე-19-ე საუკუნის დასაწყისში ხმარებულ სასჯელებს, როდესაც სწორეთ მძვინვარებდა ყოველგან მკვლელობა და ცარცვა-გლეჯანი.

მაშასადამე, ცხადია, რომ სასჯელის სიმკაცრე ვერ იხსნის საზოგადოებას დამნაშავეთაგან, ამისათვის რაღაც სხვა რამეა საჭირო. საზოგადოების დაცვა დანაშაულობისაგან, უეჭველათ, საჭიროა, მაგრამ ამისათვის სრულიათ საჭირო არ არის დამნაშავეზე შურის ძიება, მისი ფიზიკურათ და ზნეობრივით დატანჯვა. საზოგადოების დასაცველად საკმაოა განშორება მისგან მანე კაცისა, დანაშაულების თავიდან ასაცდენათ საჭიროა მოვაშოროთ იგი თავისს მსგავსთ. ამ მოსაზრებათა გამო წინეთ ხელგაშლიათ სახმარებელი საშუალება—სიკვდილით დასჯა და სხეულით ტანჯვა—ნელნელა მოისპო და შეიცვალა დამნაშავის დატუსაღებით და შორეულ ქვეყნებში გაგზავნით.

მაინც კიდე ადამიანის გრძნობა-გონება ვერ დამშვიდდა სასჯელის საკითხის ამგვარი გადაწყვეტით. მართალია, დღეს ჩვენ სასჯელი დამნაშავის შურის საძიებელ და მისს მსგავსთა შესაშინებელ საშუალებად არ მიგვაჩნია, არამედ იგი არის ზომა მშვიდობიან მოქალაქეთა, მათი საკუთრების და პიროვნებაზე დაცემისაგან დაცვისა. მაგრამ საკმაოა დამნაშავის საზოგადოებისაგან ასე თუ ისე „განშორება“, სატუსაღოში მი-

სი მიმალვა, ან ცხრა მთას იქით მისი გადამალვა და მივიწყება? ნუ თუ დასჯილი საზოგადოების წევრი არ არის? ან, ნუ თუ არ უნდა ვზრუნავდეთ, ეცდილობდეთ მის გასწორებას, რათა მივსცეთ მას შეძლება დაუბრუნდეს წინანდელ პატიოსნურ ცხოვრებას, განსაკუთრებით თუ კი დამნაშავე მკორწეწლოვანია?! იმავე ფრიდრიხ II პრუსიის მეფემ, რომელზედაც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, სთქვა: «სახელმწიფოს არ შეუძლია მხოლოდ დამძალეველი მანქანა იყოს, არამედ იგი ცოცხალი სხეულივით მოძრაობდეს, სულდგმულობდეს იმავე სარწმუნოებრივ და ზნეობრივ ძალებით, რომელნიც ხალხის ცხოვრებას უდევს საფუძვლად. სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ძალები ხ მ მოცემული გვაქვს ჩვენ თვით უზენაესნი და მას აქეთ კაი ხანისა! შურისძიებასა და მოყვასისადმი გულგრილობაზე, ვიგინდარაც რომ იყოს იგი, სახარებაში არაფერია ნათქვამი. პირიქით იქ ვკითხულობთ: ზიკვარდეთ მტრნი თქვენნი და აკურთხევდეთ მაწყევართა თქვენთა და კეთილსა უყოფდეთ მოძულეთა თქვენთა... უკეთუ გიყვარდენ მოყვარენი ხოლო თქვენნი, — რა სასყიდელი გაქვს? . და უკეთუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქვენთა — რასა უმეტეს იქმთ? ანუ არა მეზვერეთაცა ეგრეთა ჰყვიან?» (ახ. მათესი, V, მუხ. 44, 46 და 47).

ამნაირათ, თუნდაც დამნაშავენი საზოგადოების მტრები იყვნენ, საზოგადოებას მაინც არა აქვს ზნეობრივი უფლება მიუზღოს ბოროტებაზე ბოროტებით. იგი, ასეა, თუ ისე, უნდა ცდილობდეს წინდაწინვე იმოქმედოს თვისს მტრებზე კეთილით. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ეს მისი «მტრები» საცოდავი, ავადმყოფი, ანუ გონებით განუვითარებელი კაცია, რომელსაც დანაშაულობა ჩაუდენია სასტიკ გარეშე გარემოებათა ზეგავლენით, ანუ თვისი არა ნორმალური, უკვე ბავშობაში დაზიანებული ბუნების წყალობითა. მკაცრი სასჯელი მას მხოლოდ გააბრაზებს, საუკუნოთ წაახდენს, გაუქარწყლებს ყოველსავე ნიშანწყალს ზნეობისას, გაამხეცებს. განსაკუთრებით უქკუობა და

პირდაპირი დანაშაულობა იქნება სისხლის სამართალში მიეცეთ დიდებთან ერთათ, მცირე და არა სრულ-წლოვანებიც, რომელთაც ჯერ კიდევ არაქვთ ცხადი წარმოდგენა სიკეთესა და ბოროტებაზე და რომლების გარყვნილებაში უფრო თვით მშობლები არიან დამნაშავენი. უმრავლეს ამგვარ შემთხვევებში მოზარდ-დამნაშავეთათვის საჭიროა თავშესაფარი, შოფლა კატმოფუარე და კანიერ დამინებისაგან, გასწორება და არა დასჯა, საბოლოოთ უკვე გარყვნილ დამნაშავეებთან ერთათ მათი სატუსაღოებში ჩაკეტვა.

ამგვარ მოსაზრებათა გავლენით აღმოცენდა ამ უკანასკნელს ხანებში სწავლა სასჯელზე, როგორც დამნაშავის გამასწორებელ საშუალებაზე. დღეს სამაგიეროს გადახდა, დაშინება და თვით საზოგადოების დაცვა როდია მიზანი სასჯელისა, არამედ გაუმჯობესება დამნაშავის ზნეობრივი ბუნებისა, ხელახალი აღზდა მისი, დაშენა მასკედ ნატიოსნუხათ მშრომელადამინის თვისებებისა. ცხადია, რომ ამგვარი აღზდა შესაძლებელია ყველაზე უფრო მცირე და უწლოვან დამნაშავეებისა. და აი დასაველეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებში, განსაკუთრებით ინგლისსა და შვეიცარიაში გამართეს მთელი რიგი აღმზადე-კამასწორებელ დაწესებულებათა მცირეწლოვანებისათვის (16 წლამდე). აქ ზრდიან როგორც სასამართლოს მიერ დასჯილებს, ისე მშობლებისაგან ღვთის ანაბართ მიტოვებულ ბავშვებს. აქ ისინი ისე იზრდებიან და სწავლობენ, როგორც ჩვეულებრივ სკოლებში. ამასთან იმათ ასწავლიან სხვა და სხვა ხელობებს და ხელოსნობას და თავშესაფარიდან გამოსკლის შემდეგ ცდილობენ მათ აღგილი, სამუშეოარი მოუბოვონ. ამგვარი გამასწორებელი სკოლების გავლენამეტათ დიდია; იმათის წყალობით ინგლისში ბავშვების დანაშაულობამ შესამჩნევათ იკლო ამ უკანასკნელ ხანებში და მასთან ერთათ იკლო საერთოთ დამნაშავეთა რიცხვმაც. ამ ბოლო დროს ზოგიერთი სატუსაღოები დაკეტეს კიდევ, რადგან იქდაპატიმრებული აღარავინ ჰყავდათ. ასე როდია საქმე იმ ქვეყნებში, სადაც მცირე წლოვან

დამნაშავეების გასწორებაზე არავინ ზრუნავს. იქ დანაშაულობის რიცხვი სულ მატულობს და სულ ახალ-ახალი სატუსალოების აშენებასჭირდებათ, რა თქმა უნდა, ძველებთან ერთათ.

რაც შეეხება დიდებს, იმათი ზნეობრივი გასწორება, რასაკვირველია, უფრო ძნელია: ისინი საკმაოდ გარყვნილნი არიან თავიანთ ცხოვრების ცუდი პირობებისაგან, და მათში ცუდი მხარეები უფრო დამკვიდრებული და განვითარებულია. მაგრამ დიდებისათვისაც ზნეობრივი ზედგავლენის სისტემა, მათდამი ადამიანურათ მოქცევა და შრომისადმი მიდრეკილების განვითარება, უსათუოთ უკეთეს შედეგებს იძლევა, ვინემ სასტიკი, მძულვარე და კახარმული მოპყრობა, რომლებიც სპობენ ადამიანში ყოველგვარ ადამიანურ პიროვნებას და ხელს უშლიან მას ისევ დაუბრუნდეს საზოგადოებას. სრულიათ სხვანაირათ, ვინემ წინეთ, ეპყრობიან დღეს დასჯილებს ახალი ტიპის სატუსალოებში, მაგ., ნევშატელისში (შვეიცარიაში). იქ დასჯილს განდეგილსავით როდი უყურებენ, არამედ ცდილობენ მასში საუკეთესო მომავლის იმედი არ დახშონ, განავითარონ. მათს წინაშე გაჯავრებას და მძულვარებას არ გამოიჩინენ; მას გარეწარსავით როდი უყურებენ, რომელიც უნდა იტანჯებოდეს თვისი ბოროტების ჩადენისათვის, არამედ როგორც ავთმყოფს, გზა დაკარგულს კაცს, რომლის ქვეშარით გზაზე დაყენებაა საჭირო. დასჯილს ასწავლიან წერა-კითხვას, ხელობას, აჩვენენ მუყაითათ შრომას, თანდათან გადაჰყავთ სამარტოხელა დატუსადებიდან (одиночное заключение) ზირაბითი განჯავისუფლებაზე, კეთილ მეთვალყურეობის თავდებობის ქვეშ. ერთი სიტყვით, დამნაშავისაგან ქმნიან ადამიანს. მაგრამ ამ საქმისათვის საჭიროა განათლებული და გულკეთილი ადამიანები. უბრალო უფიცების, ჯალათების გამოხახვა, როგორც ეს იციან მონარქიულ სახელმწიფოების სატუსალოებისათვის, რა თქმა უნდა, ძნელი საქმე არაა!

საზოგადოათ სისხლ ს სამართლის მართლმსაჯულება დღეს-დღეობით გარდამავლობის გზას ადგია, კრიზისშია. ძველისა-

შუალების: სამაგიეროს მიზღვევის და შეშინების, ხმარება ახლა შეუძლებელია, საზოგადოებაში ზნეობრივი გრძნობების ამღვლეის, განვითარების გამო. დამნაშავეებზე ახალი საშუალებები—გასწორება და მზრუნველობა—ჯერ კიდევ ყველგან არ უცდიათ, და როგორც ყოველ ახალ საქმეში, აქაც შეგხვდებიან უნდოთ და ექცია თვალთ მაცურებელი სიძველას მიმდევრები მაგრამ საერთოთ შეგნება თანამედროვე სასჯელის ნაკლებფიქსირებისა თანდათან იზრდება. ბოლოს ასეთმა შეგნება? უნდა მოახდინოს სრული რეფორმა სასჯელის ყოველნაირი სახეებისა და აგრეთვე გამოარკვიოს ზომები დანაშაულობის გაფხილვებისა. მოსამართლეები წინანდებურათ ავსებენ სატუსაღოებს დასჯილებით, მაგრამ ახლა უკვე ყველანი გრძნობენ, რომ დღევანდელი სატუსაღო არ აშინებს წინანდელსავე და ისე არავის ასწორებ, როგორც ეს უნდა მოახდინონ მომავალში ცალკე გამასწორებელ სახლებმა. დატუსაღება, თუ სატუსაღოში არ არის სავალდებულო სამუშევრები, შემამსუბუქებელი წესები და დასჯილის შრომის მოყვარობასა და კარგ ყოფა-ქცევაზე დამოკიდებული ვადამდე პირობით განთავისუფლება, — ისე იქ ყოფნა მხოლოდ შრომას გადააჩვევს დასჯილს და შეაჩვევს უდარდელ, სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრებას და დაუხშობს გზას დაუბრუნდეს პატიოსნურ ცხოვრებას. ამიტომ რეციდივისტების (ხელმეორეთ დანაშაულობისათვის დასჯილნი) რიგები თანდათან მატულობს.

ამდენათვე უვარგისია დასჯილთა შორეულ ადგილებში გზავნა, რაც დიდი ხანია აჩსებობს, როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაში (განსაკუთრებით საფრანგეთში). გაგზავნაც ასევე სრულიათ არ ასწორებს დასჯილთ; ის მხოლოდ ხელს უწყობს მაწანწალოების განვითარებას და მატებს დამნაშავეთა რიცხვს იმ მხარეში, სადაც დასჯილნი იგზავნიან (მაგ., ციმბირი სავსეა მაწანწალებით და გაქცეულებით). იქ გაგზავნილთა დაადგილობრივ მკვიდრთა შორის სწორდება

მუდმივი შეუწყნარებელი მტრობა, რასაც სასტიკი შედეგები მოჰყვება ხოლმე ერთავეს მხრით, მართალია რუსეთში დღეს ციხიბირში გზავნა მოისპო, მაგრამ ეს არა ყოველგვარ დამნაშავეთათვის. ამგვარათ რუსეთმა ერთი პატარა ნაბიჯი მაინც წარდგა წინ დამნაშავეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ხევით ჩვენ დავინახეთ, რომ ციხეში დატუსაღებასაც იმ სახით, როგორც დღეს იგი არსებობს, არ მოაქვს სარგებლობა არც დასჯილისა და არც საზოგადოებისათვის. ამისათვის მრავალი სახელმწიფოების, ჩრდილო ამერიკის ზოგიერთი შტატების, ინგლისის და ბელგიის მიბაძვით შემოიღეს დასჯის პარობათი გადაწყვეტა: პირველათ დანაშაულობის ჩამდენს არ აპატიმრებენ ციხეში, მას სტოვებენ თავისუფლათ იმ პირობით, რომ თუ დანიშნულ ვადაში (მაგალითათ 5 წელიწადს) დასჯილი ხელახლა ჩაიდენს რაიმე დანაშაულობას, იმას მაშინ დააპატიმრებენ ციხეში ერთავე საქციელისათვის: პირველისა და მეორესათვის. ამგვარმა პირობითი სასჯელმა მეტათ სასარგებლო შედეგი გამოიღო ინგლისსა და სხვა ქვეყნებშიაც. მრავალნი დანაშაულობას ჩაიდენენ ხოლმე ვნების, გასაჭირის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, შემდეგ მოინანიებენ და მზათ არიან გასწორდნენ. მაგრამ როცა იმათ დააპატიმრებენ დალდასმულ, «ტუსაღის» სახელით მონათლულ, უკვე გარყვნილ დამნაშავეებთან, ისინი გზას ჰკარგვენ და რეციდივისტებად ხდებიან. პირობითი სასჯელის დროს ეს როდი მოხდება და შემთხვევით დამნაშავენი ხელახლა სინიდისიერ და წესიერ კაცების სახელს ატარებენ. მომავალში, ალბათ, რუსეთშიაც შემოიღებენ პირობითი სასჯელს; ამასთან ერთათ უნდა გამოიცივალოს ციხეებიც, ყოველი იქ არსებული წესები და ჩვეულებანი; უნდა შემოიღონ შიგ სავალდებულო სამუშაოები, გასასწორებლად დამწყვდეულთა სისტემის შემსუბუქება, ვადამდე პირობით განთავისუფლება და სხვა საჭირო ზომები.

მაგრამ არსებითათ თვით უმთავრესი დასკვნა, რომელიც

გამოიმუშავა ადამიანმა დანაშაულობის და დასჯის თვისებების შესწავლის შემდეგ, ის იყო, რომ დასჯა და განსაკუთრებით—დასჯა შემაშინებელი, არ არის უმთავრესი საშუალება დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად. სისხლის სამართლის უფლებაში, როგორც მედიცინაში, მრავალნი მეცნიერნი იმ უბრალო, მაგრამ შიუწყნარებელ დასკვნამდე მივიდნენ, რომ წინასწარ მიღებული ზოქები უმჯობესია, ვინემ თვით უძვირფასესი და ხელოვნურახ დამზადებული წამლები. როგორც ადამიანისათვის საჭიროა შეძლებისა დაგვარად ზოქმიერი ცხოვრება ატაროს, რათა არ დაუძღუროს სხეული და არ მოუქზადოს მასში ნიადაგი ყოველგვარ სენებს, ისე სახელმწიფოსათვისაა საჭირო შეუწონ-შეუზომოს თვისი მოთხოვნილებანი საზოგადოებრივ სარგებლობის და მართლიერების მოთხოვნილებებს. საჭიროა მასში, რაც შეიძლება, ნაკლებათ იყოს ბოგანო ხალხი, რომელთაც არა აქვთ არც ქონება, არც სამუშევი და არ იციან სად შეათარონ თავი. მეორეს მხრით საჭიროა, რომ ცოტა იყოს მუქთახორები, რომლებისათვისაც უსაქმურობა და სხვის ხარჯზე ცხოვრება ნეჭარებაა. როგორც ღონე-მიხდილ, სხეულით დაუძღურებულ ადამიანისათვის ძნელი და შეუძლებელიცაა თავი დააღწიოს უკვე მორეულ ავთმყოფობას;—ასევე სახელმწიფოსათვის, რომელიცა შენებულია უსამართლოებასა და ხალხის ინტერესების უყურადღებობაზე, ძნელი და შეუძლებელიცაა ებრძოლოს თანდათან მოზარდ დანაშაულობათა მორევს. დასჯა, ციხეები და კატორღა როღია საჭირო,—საჭიროა რაც შეიძლება მეტი უზრუნველყოფა ხალხისა. ნივთიერთ, სამუშევის მოპოება, საჭიროა ურთიერთ დამხმარებელ გრძნობების განვითარება, გავრცელება სწავლა-ცოდნისა და მტკიცე ზნეობრივ რწმენებისა ოჯახში, სკოლასა და საზოგადოებაში. საჭიროა საზოგადოების ყველა კლასსებში გამოუკლებლივ შრომის პატივისცემის აღზრდა, რაც უმთავრესი საფუძველია ჯანსაღ საზოგადოებრივ ცხოვრებისა.

ასე, საერთოთ რომ ვთქვათ სასჯელის განვითარების ისტორია მხოლოდ რამდენიმეთ შეეფერება მართლიერების და გულშემატკივრობის გრძნობების განვითარების ისტორიას. ზნეობის განვითარებას თან მოჰყვა შემსუბუქება და შეცვლა სასჯელის ფორმებისა. წინეთ, როცა ალტკინებულ ველურ შურისძიებას ვეღარ აზომიერებდა და ამშვიდებდა ვერავითარი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მოსაზრება-დარიგებანი, ვინც უნდა ყოფილიყო პიროვნების ანუ საზოგადოების შეგნებულად თუ შეუგნებლად ვნების მომტანი, — სულ ერთი იყო, სასტიკ სამაგიეროს მაინც მიიღებდა, ე. ი. სიკვდილით დაისჯებოდა, ან კიდე სხეულით წვალებას მიეცემოდა. დროს მიმავლობაში დაიწყეს გარჩევა შეგნებულათ, თუ შეუგნებლად ჩადენილის დანაშაულობისა; გამოაკლეს ისინი, ვინც შეუგნებელ მდგომარეობაში იპყოფებიან (ბავშვები და გადარეულნი) და ამათ არ სჯიდენ. მერე, შემდეგ ხანებში მართლმსაჯულებამ დაიწყო გარჩევა განზრახ, ან განუზრახველათ და უცაბედათ ჩადენილ დანაშაულებათა, რომლებსათვისაც უფრო ადვილ სასჯელს ნიშნავდა. ამნაირათ შემუშავდა ცნება სამოქალაქო უფლებათა დარღვევაზე, ე. ი., როცა დამნაშავე პასუხს უგებს კერძო პირს მხოლოდ ზარალზე, მაგრამ სისხლის სამართლით როდი ისჯება. ამავე დროს იზრდება დასჯილისადმი გულშემატკივრობის გძნობა. სიკვდილით ისჯება მხოლოდ თვით უსასტიკესი დანაშაულობა და გალახვით სამარცხვინო დასჯა თანდათან ისპობა. დასჯის უმთავრეს ფორმად შეიქმნა ციხეში ჩასმა (ანუ გაგზავნა), რასაც მოჰყვება უფრო მძიმე დანაშაულობისათვის უფლებების ჩამორთმევა ანუ შეზღუდვა.

სამომავლოთ დასჯის ფორმები კიდე უფრო შეიცვლება, განვითარდება. იგი აღარ იქნება შემარცხვენელი, პატიოსნების ჩამომრთმევა ზომა, რაც დასჯილს სულიერათ დასტანჯავს. სამაგიეროს გადახდა და დაშინება სრულიათ განიღვებება სასჯელისაგან და გარდიქმნება დამნაშავის გამასწორებელ აღმზრდელ და მზრუნველობის ზომებად. დასჯილს აღარ გაარჩე-

ვენ ზიზლის და მძუღოვარების თვალთა ხედვის ისრით, არამედ მას შეხედვენ როგორც სუსჲი ზუნების მექონ აღამიანს, რომელიც მოკლებულია საქმათ განვითარებულ გონებას (რაც ნამდვილია). მას დაუნიშვნენ მზრუნველს ისე, როგორც უნიშვნენ მკლანგველს და სუსტი ჭკუის პატრონს, რომელსაც არ შეუძლია თავისი კერძო საქმეების წარმოება. ასეთი მზრუნველობა დამნაშავეს განსაკუთრებულ საშიშროების დროს, იქნებ ციხეში დამწყვდევეთაც გამოიხატოს, მაგრამ მას შემარცხენელი სასჯელის მნიშვნელობა როდი ექნება; ამით საზოგადოებას მოარიდებენ ზნეობით დაცემულ აღამიანს. აქ მის გასწორებას ეცდებიან ზნეობრივი ზომებით და მიაჩვენენ მას ზომიერ საზოგადოებრივ ცხოვრების შეთვისებას. ნამდვილათ გასწორების შემდეგ დამნაშავეს გაანთავისუფლებენ უფლებების ჩამოუერთმეველად, რათა იგი ხელახლა შეუდგეს პატიოსნურ ცხოვრებას და არ გახდეს „ტუსალის“, „გაგზავნილის“ სახელით ჩირქმოცხებული. სხეულით დასჯა ანუ მკაცრი, დამამდაბლებელი მოპყრობის ხსენებაც აღარ იქნება. თვით დამნაშავეთა რიცხვა, როცა საერთო განათლება გავრცელდება, ხალხის ეკონომიური კეთილდღეობა იმატებს, საერთოთ აღსარებული და მიღებული ზომიერი შრომით ცხოვრების პირობები, დამყარდება კაცთა შორის აღამიანური დამოკიდულება, განვითარდება გრძნობა ურთიერთის დახმარებისა და დაზღვევა უბედურ შემთხვევათა, სიბერისა და ავთამყოფობისაგან, — უექველათ, სამომავლოთ შესამჩნევათ იკლებს სასტიკი დანაშაულობები — მკვლელობა, ყაჩაღობა, ცარცვა-გლეჯა, ყველა ესენი — უექველია სრულიათ მოისპობა ან ძალიან იშვიათი მოვლენა იქნება.

მაგრამ ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სამომავლო იდეალია, რომელსაც დღეს ქადაგებენ მეცნიერების მხოლოთ ზოგიერთი გამხნევებული წარმომადგენელნი (სხვათა შორის ავსტრიის პროფესორი ი. ვარგა). დღეს კი ჩვენ ძალიან დაშორებულნი ვართ ამ იდეალს. ჩუმათ, გულში, ჩვენ ისევ მოსეს

სჯულს: „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ“. ვამჯობინებთ: ქრისტეს მცნებას: „ნუ აღუდგები ბოროტებას“. გარეგნულათ ჩვენ ქრისტიანები ვართ, შინაგნურათ კი—ჯერ კიდევ წარმართები, შურის მძიებელნი და თვითმოყვარენი, ან კიდევ კეთილისა და ბოროტისა სასირცხლოთ გულგრილათ მაყურებელნი. ცხადია, რისგანაც ჩვენ ვნებას მოველით, ისინი გვძულს, სრულიათ უგრძობელნი დამნაშავისადმი დაუფიქრებლათ მოვითხოვთ იმის „სამაგალითოთ“ დასჯას და ერთხელაც არ ვეკითხებით ჩვენს თავს: ნუ თუ არ შეიძლება მოვიგონოთ სხვა რამე, გარდა ტანჯვის მიყენებისა (რაც უმეტესათ უსარგებლოა) დამნაშავისადმი და ბოროტებაზე ბოროტებით გადახდისა?! ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს თავის თავის გასაკეთილშობილებლად და გასაადამიანებლად, რათა დამყარდეს ურთიერთ შორის საერთო გაუმჯობესებული დამოკიდულებანი. მხოლოთ მაშინ შევიგნებთ, რომ სამაგიეროს გადახდა და დაშინება ცუდი და უნიადაგო საშუალებაა დამნაშავეთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ გონიერ, კეთილი გულით და თანაგრძობით მოპყრობას საზოგადოებისაგან განდევნილ კაცებისას შეუძლია უმჯობესი ნაყოფი გამოიღოს...

ის. კვიციანიძე

# მრი „ხურმა“

(ხალხური გადმოცემა).

ღამე იყო, ვარსკვლავები  
ანათებდნენ უფველს მზარეს,  
ცაში მთვარე მიმტყურვით  
შუქსა ჭყენდა არე-ძარეს.

დედა-მინა დათოვლილი  
შავს ფიქრებსა აღვიძრავდა  
და „ზაზის“ ვიწრო ღელე  
ჯოჯოხეთის აჩრდილს ჭგავდა.

ღიახ, ღელე „ზაზისი“  
საკვირველი რამე იყო,  
მეგობარმა მეგობრისა,  
ძმამ ძმის სისხლი აქ აიღო.

შარშან ზამთარს საცოდავი,  
ოჯახისა ბურჯი, გელა,  
მშვენიერი, გამრჯე-ბიჭი,  
რაც არ უარს სოფლად უველა, —  
ვიღაც ბორბოტ-გამზრახველმა  
ზედ „ზაზის“ დელესთანა.

მაიხელთა და საბრალთს  
დაადგერა გულში დანა.

ოჯახს, ცოლ-შვილს, ქვეყანას,  
გამოაკლო უკუნურმა,  
ჯიბეები გაუჩხრიკა  
და რა ჭკვავა?!. ორი ხურმა.

ბ. ახოსპირელი.

## ჰიგიენა-მკურნალობა.

### ჩისგან სნაულდებიან და იხოცებთან უდ- როვოდ ჩვენი გავფხვანი?

(დ-რი ს. ფიფარისა).

#### I.

რამდენი ბავშვი იხოცება სიცოცხლის პირველს წლებში?

„მეზობელს ბალდი მოუკვდაო!“ „მეზობლის ბალდი უკანასკნელს დღეშიაო!“ «მის ოჯახს უბედურება სწევია: ბალები სულ ავათა ჰყავსო!» — ხშირად გაიგონებთ ასეთს სიტყვებს და ჩვენც ისე ვართ ამას მიჩვეულნი, რომ სრულიად ყურადღებასაც არ ვაქცევთ, თითქოს ეს ასეც უნდა იყოსო.

გამოანგარიშებულია, რომ ყოველი ათა ბავშვიდამ, სიცოცხლის პირველს წელში, სამა უთუოდ კვდება, ე. ი. ასი-დამ — ოც-და-ათი და ათასიდამ — სამასი. თუ სადამდის დიდი უბედურებაა ეს, იქილამ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რომ მოზრდილ ადამიანებშიაც ამდენი იხოცებოდეს, მთელის დედა-მამის ზურგზედ სულ სამს წელიწადში ამოსწყდებოდა კაცობრიობა...

ადვილი წარმოსადგენია, რამდენი ცრემლი და მწუხარება მოსდევს ამოდენა სიკვდილს, როგორ თავს იკლავენ საწ-

ყალი დედები! განა იმისთვის იწვალეს, იშრომეს, ულოლოეს თავისს ხორცთა-ხორცს, რომ ასე უდროვოდ დაეკარგათ იგი? ვის შეუძლიან გაზომოს მთელი ის მწუხარება, რომელიც თავს ატყდება უდროვოდ გარდაცვალებულის ბაღლის კუბოს წინაშე მდგომს დედას!! დედის ასეთს მწუხარებასთან, მამისა და სხვათა მწუხარება მართალია ნაკლებათა სჩანს, მაგრამ ვინ არ ვიცით, რომ არც ამათი მწუხარებაა მცირე!..

რომ ყველა ეს სწორედ ასე უნდა ყოფილიყო, რომ ბავშვები მართლაც ასე უნდა იყოლებოდნენ, რომ ადამიანს აქ არაფრის შევლა არ შეეძლოს, მაშინ, რა თქმა უნდა, ამაზედ ლაპარაკიც სულ მეტი იქნებოდა. ვერაფერი ჰქვია ილაპარაკო იმ უბედურებაზედ, რომელთანაც ვერას გააწყობ: ამით ტყუილად ძველს დარდებსაც აჰშლით და სასოკვეთებასაც გაიახლებთ... მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ეს ასე არ უნდა იყოს, რომ ბავშვები ასე მრავლად არ უნდა იხოცებოდნენ, რომ ბევრი ბავშვი, რომელიც გარდაიცვალა, შეიძლება დღესაც ცოცხალი ყოფილიყო მშობლებისა და სხვათა სანუგეშო-სასიხარულოდ... მე ვიცნობდი არა ერთსა და ორს დედებსა, რომლებსაც თოთხმეტ-ხუთმეტი შვილი ჰყოლიათ და ამოდენა შვილებიდან მხოლოდ თითოღა შერჩენიათ ცოცხალი: დანარჩენი სულ უდროვოდ დაჰხოცია. თურმე ბევრი კი არაფერი ყოფილა დასასწავლი, რომ ბავშვები ასე უდროვოდ არ გვეცლებოდნენ ხელიდამ!

ჩვენ ვსთქვით, რომ ჩვენში მთელი ნასამედი ბავშვობისა უდროვოდ ესაღმება სიცოცხლეს. ასე არ არის სხვა, უფრო განათლებულს და უფრო შეძლებულს, ხალხებში. მათში ათი-დამ რომ ერთი მოკვდეს, ამასაც დიდ უბედურებად სთვლიან და მაშინვე მთელი იმათი მწერლობა ბუკსა სცემს, აქიმობა და საზოგადო მოღვაწეები ფეხზე დგებიან, თუ რით და როგორ აიცილონ თავიდან ამისთანა უბედურება, მწუხარება. გემს რომ ძირში ნახვრეტი გამოაჩნდეს და წყალი შედიოდეს, მეგემენი მაშინვე მოსძებნიან იმ ნახვრეტს და დაუცობენ, რომ

წყალი აღარ შემოვიდეს და გემი არ დაიღუპოს. ასევე უნდა ვიქცეოდეთ ჩვენ სხვა ყოველგვარ უბედურებაშიაც: ჩვენ ბეჯითად უნდა გამოვიკვლიოთ ხოლმე მიზეზები ჩვენის უბედურებისა და მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ჩვენი თავის შევლა. უამისოთ კი ყოველი ჩვენი ცდა ამაო იქნება.

როცა ვხედავთ, რომ ჩვენი ბავშვები ბუზებსავე იხოცებიან და სხვა ხალხებში კი ასე არ არის, ჩვენ უნდა მივხედეთ, რომ აქ რაღაც ამბავია, რომ ჩვენს შვილებს რაღაცას ვაკლებთ, რომ ჩვენ არ ვიცით, საიღამ და როგორ ვებრძობოთ უბედურებას. მაშ რისგან სწეულდებიან და იხოცებიან ჩვენი შვილები? როცა გვეცოდინება ამისი მიზეზები, შევლაც გავგვიადვილდება. საჭიროა დავიხსოვოთ:

როცა ბავშვი ავად გაკიხლეთ, სასო-კვეთებას ნუ მიეცემით, რადგანაც, რაც უნდა მძიმე სენით გახდეს ბავშვი ავად, მაინც ადვილათ შესაძლებელია მორჩეს იგი. ეს თუმცა ასეა, მაგრამ ხშირად ჩვენი ყოველი მეცადინეობა ფუჭათ ჩაივლის ხოლმე, ვერც მშობლების თავდადებული მივლა და ვერც აქიმების მკურნალობა ვერა შევლიან ავადმყოფს ბავშვს და იგი მაინც გვიკვდება. ამიტომ არის საჭირო, რომ ჩვენს შვილებს ავად გახდომამდის გავუფრთხილდეთ, თორემ მერე გვიანლა იქნება თითზე კბენანი, რადგანაც, სანამ ავადმყოფობას ბავშვი ჯერ კიდევ არ ჩაუგდია თავის კლანჭებში, სანამ ბავშვი ჯერ კიდევ ჯან-საღად არის, უფრო ადვილია იმისი დაცვა ყოველგვარ სენისაგან, ვიდრე მერე, როდესაც ხშირად სუკეთესო წამლები და აქიმობაც ვერას აწყობენ...

## II.

როგორ მოქმედობენ ბავშვსე დედის ავადმყოფობანი და სისუსტე მის ორსულობის დროს?

რომ ბავშვი მუდამ ჯან-მრთელად იყოს და კარგად იზრდებოდეს, ბავშვს უთუოდ უნდა ჰქონდეს: 1) შესაფერი სა-

ზრდო, 2) ტანსაცმელი და 3) მუდამ სუფთა და ახალი ჰაერი; უნდა ბეჯითად უგდოთ ყური ბავშვს, რომ არ წაიქცეს, ფეხი, ხელი არ მოიტეხოს, თავი არ გაიტეხოს, თვალი არ გამოითხაროს, ურმის თუ ეტლის ქვეშ არ მოჰყვეს, რამე მანებელი არ შეჭამოს, არ დალიოს. პირველ შეხედვაზე გეგონებათ, რომ ყოველი ბავშვი ჯან-მრთელი უნდა ჩნდებოდეს, რადგანაც მხოლოდ დაბადების შემდეგ ეძლევათ მათ სხვა-დასხვა-ნაირი მოვლა. მაგრამ ეს ასე არ არის: ყველამ ვიცით, რომ ყოველი ბავშვი ერთნაირად ჯან-მრთელი და მაგარი არ ჩნდება. მოგეხსენებათ, რომ დედის მუცელში ყოფნის დროს, ბავშვი საზრდოვობს დედის სისხლიდამ. რამდენათაც ჯანმრთელი და მაგარია დედა, იმდენად, თქმა არ უნდა, ბავშვიც უკეთესად ისაზრდოვებს დედის მუცელში და ამიტომაც უფრო ჯანმრთელი და მაგარი დაიბადება იგი. ჯანმრთელია თუ არა ახლად დაბადებული ბავშვი, ეს ყველაზედ უკეთესად მისი აწმყნით შეგიძლიანთ შეიტყოთ. ჯანმრთელი ბავშვი, რომელიც თავისს დროზედ დაიბადა, ე. ი. ცხრა თვის ყოფნის შემდეგ დედის მუცელში, იწონს რვა გირვანქამდის. თუ ბავშვი ნახევარი ანუ ერთი გირვანქით ამაზედ ნაკლებს იწონს, ეს კიდევ არაფერი, მაგრამ თუ ამაზედ მეტი აკლია მოხსენებულს წონას, მაშინ კი ექვს გარეშეა, რომ ბავშვი ძალა სუსტია და ამიტომ ასეთს ბავშვს საგანგებო სიტუთხილე და მოვლა ეჭირება.

რაგინდ სუსტი დაიბადოს ბავშვი, თუ ის ცხრა თვის შემდეგ დაიბადა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი ჯან-მრთელი და მაგარი გაიზრდება, თუ, რასაკვირველია, ბავშვს წესიერად მოვუვლით. მაგრამ სულ სხვაა, როცა ბავშვი უდროვოდ, ე. ი. ცხრა თვეზე ადრე დაიბადება. ასეთი ბავშვები მომეტებულ შემთხვევაში იხოცებიან რამდენიმე დღის თუ საათის სიცოცხლის შემდეგ. ხოლო, რომლებიც გადარჩებიან სიკვდილს, მათ სულ მცირე მიზეზი უნდა, რომ ავით გახდნენ და დაიხოცნენ. გამოდის, რომ უდროვოდ დაბადება ბავშვისა უპირვე-

ლესი მიზეზი ყოფილა მათის უდროვოდ სიკვდილისა; ცხადია, რომ ჩვენც ამ მიზეზს უნდა დავაწვეთ და ყოველი საშუალებით ვეცადოთ მის აცილებას თავიდან. მაშ რისგან ხდება უდროვოდ დაბადება ბავშვებისა?—დედაკაცი შობს უდროვოდ ან იმისგან, რომ ავით არის, ან იმისგან, რომ ორსულობის დროს ის ისე არ იქცევა, როგორც საჭიროა.

ყველაზედ მეტად ის დედები შობენ უდროვოდ; რომლებიც ავით არიან ათაშანგით (სიფილისით.) ეს სენი აჩნდება მამაკაცს საშვილოსნო ასოზე და მისგან გადაედება დედაკაცს. აქ საჭირო არ არის ავწეროთ ის წვალება, რომელსაც იტანს ამ სენით შეპყრობილი; ვიტყვით მხოლოდ, რომ ათაშანგის დედ-მამანი მომეტებულ შემთხვევაში შობენ მკვდარს შვილებსა, ხოლო, რომლებიც ცოცხლები იბადებიან, — უდროვოდ ჩნდებიან. ასეთი ბავშვები სუსტები არიან არა მარტო იმიტომ; რომ უდროვოდ ჩნდებიან, არამედ იმიტომაც, რომ ამათაც გამჯდარი აქვთ ძვალსა და რბილში ეს ჭირი. ასეთი ბავშვები იბადებიან მაშინაც, როცა დედა სრულიად ჯან-მრთელია და მხოლოდ მამა ჰყავთ ამ სენით შეპყრობილი. იმიტომ, ვინც ავით არის ამ სენით, ჯერ უთუოდ თავი უნდა მოიწინას და მერე ისე შეირთოს ცოლი, მით უმეტეს, რომ ათაშანგი სრულიად მოსარჩენი სენია და თუ ავითყოფი კარგად იწამლებს დოქტორთან, სრულიად განთავისუფლდება ამ ჭირისაგან და მაშინ შეუძლიან შეირთოს ცოლი და ჯან-მრთელი შვილებიც ეყოლოს. მიუტევებელს ცოდვას სჩადის ათაშანგისი, თუ ჯერ კარგად არ იწამლა თავი, არ განთავისუფლდა ამ ჭირისაგან და ცოლს ისე ირთავს. ხდება ისეც, რომ კაცს სრულიად ჯანმრთელი ჰგონია თავისი თავი, ცოლს ირთავს და რამდენიმე თვის შემდეგ კი ჰხედავს, რომ ცოლსაც შეპყრობა ეს ჭირი; საქმეს კიდევ ეშველება და ბავშვებიც გადარჩებიან უდროვოდ შობას და სიკვდილს, თუ მშობლები დაუყოვნებლივ იწამლებენ და სამუდამოდ განთავისუფლებენ თავს ამ ჭირისაგან.

უდროვოდ შობა ხდება მაშინაც, როცა ორსული მიიღებს მაგარს წამლებს. თქმა არ უნდა, რომ არც ერთი დოქტორი არ მისცემს ორსულს ქალს ასეთს წამალს. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენში მეტად გახშირებულია უბრალო დედაკაცებისგან წამლობა, რომლებიც ხშირად ისეთს წამალს აძლევენ ორსულ დედებს, რომ ესენი არა თუ უდროვოდ შობენ შვილებს, ხშირად თვითონაც უდროვოდ ესალმებიან ნათელს ქვეყანას.

ორსულ დედაკაცისთვის მაკნებელია ყოველკვარი მძიმე სამუშაო და საქმე. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ორსული გაუნძრევლად ტახტზედ უნდა ბრძანდებოდეს. არა. იგი უთუოდ უნდა მუშაობდეს, საქმეს აკეთებდეს, მაგრამ ერიდოს ყველა ისეთ საქმეს, სადაც ძალის ხმევა და ძარღვების დაჭიმვაა საჭირო, ე. ი. ორსულმა არ უნდა ასწიოს რამე მძიმე ნივთი, არ უნდა გადაიტანოს ზურგით მძიმე ტვირთი და სხვა. უნდა ერიდოს ისეთს საქმესაც, რომლის დროს დიდს ხანს უნდა იჯდეს ანუ იდგეს წელში დახრილი. მაკნებელია აგრეთვე წაქცევა, გადმოვარდნა: ორსულობის პირველს თვეებში ამ მიზეზებისგან მოხდება მუხლას მოწყვეტა, ხოლო უკანასკნელს თვეებში — უდროვოდ შობა. რომ კაცი ჯან-საღად იყოს, უთუოდ საჭიროა, რომ იგი კარგად სჭამდეს; ეს, თქმა არ უნდა, ერთი ორად სავალდებულოა ყოველი ორსული ქალისათვის; იგი უნდა კარგად საზრდოობდეს, რადგანაც მას თავისს გარდა, სუცელში შვილიცა ჰყავს გამოსაზრდელი. თუ ქალი ორსულობამდინაც კარგად სჭამდა და სვამდა, საჭირო არ არის, რომ ორსულმა საქმელ-სასმელი გამოიცვალოს, მას შეუძლიან წინანდებურადვე ჭამოს და სვას, მაგრამ თუ ორსულობამდის ცუდად და ნაკლებად იკვებებოდა, ორსულობაში უთუოდ უნდა ეცადოს და საქმელ-სასმელი გაიუკეთესოს და მიიმატოს, თორემ ბავშვი კარგად ვერ გაეზრდება.

## III.

## რისგან სწეულდებიან და იხოცებიან ბავშვები დაბადების პირველს კვირას?

ჩვენ ვნახეთ, რომ ვიდრე ბავშვი დაიბადებოდეს, სიცოცხლე მისი ხშირად დიდს განსაცდელშია. ასე თუ ისე გაივლის დედა, შესჭამს ამას თუ იმას, გონიერად თუ უგუნურად იწამლებს თავს – ყველა ამაზედ დამოკიდებულია ბავშვის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. სანამ ბალდი დედის მუცელშია, ის ყველაფრისაგან მშვენიერად არის დაცული: მას არც გახვევა უნდა და არც ჭამა-სმა; სულ სხვაა დაბადების შემდეგ: მას ყოველი მხრიდამ განსაცდელი მოელოს — სიცივისგან, უქმელ-უსმელობისგან, უსუფთაობისგან და სხვა. ეს არის მიზეზი, რომ დაბადების პირველს კვირას დიდძალი ბავშვობა იხოცება და ამისი უმთავრესი მიზეზი ორის სიტყვით გამოითქმება: ცუდის მოვლისგან. მაშ რა ვქნათ, რომ ასე მრავლად არ იხოცებოდეს ბავშვობა დაბადების პირველს კვირას? პასუხი ერთია: კარგად უნდა მოვუაროთ ბავშვებს. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ცუდად იმიტომ კი არ უვლიან, რომ, ვითომც, უკეთესად მოვლა არ სწადდეთ, არამედ იმიტომ, რომ კარგს მოვლას მეტი ხერხი და ცოდნა უნდა, მხოლოდ ჩვენში ყველამ რადი იცის, რატომ უხდა ახლად-დაბადებულებს მოვლა. აი რატომ არის საჭირო, რომ უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკოთ ამის შესახებ.

1) გირჩევთ, რომ მშობიარობაზედ უთუოდ ნასწავლი ბებია მიიწვიოთ. იგი ყველაზე წინ საჭიროა თითონ დედისთვის, რომ ყური უგდოს, თუ როგორ მიმდინარეობს ბავშვის შობა და უშველოს, როცა საჭირო იქნება ეს შველა, მაგრამ იგი საჭიროა თვით ბავშვისთვისაც, რომელსაც პირველად მან უნდა მოუაროს, რადგან დედა ამ დროს ავით არის და მოვლა არ შეუძლიან. მაგრამ, რადგან ურიგო არ არის, რომ

დედამაც და სხვებმაც იცოდნენ, რაში მდგომარეობს ეს პირველი მოვლა, მოგვყავს აქ იგი:

როდესაც ბავშვი იბადება, იგი ჯერ კიდევ შეერთებულია დედასთან გრძელი ნაწლევით. ეს ნაწლევი უნდა გადიქრას და აი როგორ: დაიბანეთ კარგად საპნით და ცხელი წყლით ხელები, ბოლოს გადივლეთ კარბოლის წყალი ანუ სპირტი ხელებზე და გაიწმინდეთ სუფთა პირსახოცით; გადაზომეთ ნაწლევზე ოთხი თითის დადება ბავშვის მუცლიდან და გადუქირეთ ნაწლევს წმინდა ლენტით ანუ სუფთა ტილოს ძონძის ჩანახევით; შემდეგ კიდევ გადაზომეთ შეკრული ადგილიდან ერთი ათითის დადება და კვლავ შეკარით ასეთივე ძონძით; აიღეთ სუფთა მაკრატელი და ამ ორს შეკრულს შორის ზედ შუაზედ გადასჭერიეთ ეს ნაწლევი. ოთხის თითის დადება ნაწლევი რომ რჩება ბალღზე, გაახვიეთ აფთიაქის სუფთა ბამბაში ანუ რბილ სუფთა ძონძში, გადააწვინეთ ზევითკენ და სუბუქათ შეუკარით მუცლისა და წელის გარშემორბილი არტახრით ანუ სხვა რითიშე. ეს ნაწლევი რამდენიმე დღის შემდეგ მოხმება და მოვარდება. თუ ასე არ მოიქცევით და უსუფთაო ხელებით ანუ მაკრატლით გააკეთებთ ამ საქმეს, ჭიპი არ კი შეახმება, დაღუბება, დაიარავედება და ეს მოჰკლავს კიდევ ბალღსა. ცხადია, რომ ამ უბრალო მიზეზით პირველსავე დღეებში შეიძლება დაღუპოთ ბალღი.

2) იშვიათი არ არის, რომ ახლად-დაბადებულები იმიტომ იხოცებიან, რომ ვინც მშობიარესთან არიან, ბალღი მკვდარი ჰგონიან. ეს ასე ხდება: მოგეხსენებათ, რომ დაიბადება ბავშვი თუ არა, ის რა წამსაც შეისუნთქავს ჰაერს, მაღლა ხმით დაიყვირებს. ეს პირველი ყვირილი უკეთესი ნიშანია, რომ ბალღი ცოცხალი დაიბადა. მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, რომ ახლად შობილი არ დაიყვირებს ხოლმე და მშობიარესთან მყოფთ ჰგონიან, რომ ბავშვი მკვდარია, მკვდარი დაიბადაო. ხოლო, რომ ახლად-შობილი მუდამ არ ყვირის, ამისი მიზეზი აი რა არის: მოხდება ხოლმე, რომ ბავშვი ჯერ კიდევ

დედის მუცელში ყოფნის დროს შეისუნთქავს ჰაერს და ამ დროს ჰაერთან ერთად დედის მუცლის ლორწოსა და სითხესაც შეისრუტავს ხოლმე, ასე რომ პირი და ცხვირი სრულიად ეცობა ბაღს. ასეთი ახლად-შობილი, რა თქმა უნდა, ვერ დაიყვირებს, ვერ სუნთქავს და ჰგონიათ, რომ მკვდარიაო. ამ შემთხვევაში საჭიროა დაუყოვნებლად კარგად გამოუსუფთავოთ ბავშვს ცხვირი და ზირი, თორემ იგი, ცოცხალი, მართლაც, მოკვდება. თუ მარტო პირისა და ცხვირის გამოსუფთავებამ არ უშველოს, მაშინ ღონივრად შეუბერეთ ხოლმე პირის-სახეზე, რამდენჯერმე სილა გაჰკარით სუბუქათ საჯდომ ადგილებზე, დაუზილეთ ზურგი, მკერდი და შეაშხაპუნეთ ანუ დაასხით ცივი წყალი. თუ ვერც ერთმა აქ მოყვანილმა საშუალებამ გამოაცოცხლა ბავშვი, სიმართლეს ხელოვნურ სუნთქვას, მაგრამ ამისათვის კი უმჯობესია დახელოვნებულს აქიშს, ნასწავლ ბეზიას ანუ ფელშალს მოუწოდოთ. მაგრამ საქმე აქამდის იშვიათად მივა ხოლმე. მომეტებულს შემთხვევაში მოხსენებული საშუალებანიც კმარა რომ ასეთი ბაღლები სიკვდილს გადაარჩინოთ!..

3) როდესაც ჭიბი შეუხვით ბავშვს, როდესაც ის კარგად სუნთქავს, კარგად გააბანეთ, მას ახლა უნდა პერანგი და კოვთა ჩააცოთ, უნდა გაახვიოთ იგი, მაგრამ ისე კი არა, როგორც ჩვენში იციან, რომ ძალზედ დასჭიმავენ და გააკრავენ. არა. ბაღლი ისე სუბუქათ უნდა გაახვიოთ, რომ ყოველი ნაწილი მისი სხეულისა თავისუფლად იყოს და არა ქვასავით უმოძრაოთ იდოს ლოგინში. ხოლო, რომ ბავშვი სახეს არ იფხაქნიდეს, ხშირად და კარგათ დააჭერით ხოლმე ხელსა და ფეხებზედ ფრჩილები. ასე ჩაცმულ-შეხვეული ბაღლი პირდაპირ ქვეშაგებში ჩააწვინეთ და არა აკვანში ანუ სხვა რამე სარწეველში, რადგანაც ყოველგვარი რწევა დიდად მავნებელია ბაღლისთვის და ხასიათებსაც ძალიან უფუჭებს მას. საჭიროა მხოლოდ მის სისუფთავეს უგდოთ ყური და რა წამსაც დასველდეს, მაშინვე უნდა გაასუფთავოთ და ძონძები გამოუცვა-

ლოთ, ხოლო, რომ ძონძებთან ერთად ლეიბიც არ სველდებოდეს, კლიონკა დაუგვეით. იცოდეთ, რამდენადაც მეტსიბეჯითეს გამოიჩინეთ სისუფთავის დაცვაში, იმდენად ჯანსაღად და კარგად გეყოლებათ ბალლი. ბალლი თუ ყვირის, ალბათ შიან, ან სტკივა რამე და ეს მიზეზი უნდა ააშორეთ და არა დარეტიანებამდე არწიოთ იგი.

4) იმაზედ, თუ რა უნდა აქამოთ ბალლს, ჩვენ ქვევით ვილაპარაკებთ, აქ კი ვიტყვით მხოლოდ, თუ როგორ უნდა ვაქმევდეთ ახლად-შობილ ბალლებს. პირველს დღეებში დედას მცირედ აქვს რძე, მაგრამ ეს არაფერი, რადგანაც ამ დროს თვით ბალლსაც ძალიან ცოტა უნდა, შეიძლება სულაც არაფერი აქამოთ ბალლს, ცოტაოდენი შაქრის წყალი მისცეთ მარტო.

5) პირველი დღიდანვე დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ ბალლის პირის სისუფთავეს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ბალლს პირში გაუჩნდება ერთგვარი ლორწო ანუ ობი და მუწუკები, რომლებსაც შემდეგში ადვილად ვეღარ მოაშორებთ. ამიტომ ყოველმა დედამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ყველაფერს, რაც შეეხება პირის სისუფთავეს. ყოველი ქამის შემდეგ პირი კარგად უნდა გამოუწმიდოთ სუფთა და რბილი ძონძით, მაჩვენებელ თითზე დახვეწით, რომელიც უნდა დაასველოთ ხოლმე ადუღებულს და გაციებულს წყალში. ძუძუს რომ აძლევდეთ ბავშვს, ჯერ ძუძუ უნდა კარგად გაიბანოთ ბორნას სიმჟავით (ერთი ჩაის კოვზი ბორნას სიმჟავისა (აფთიაქში იყიდეთ) ჩაყარეთ ერთს ჩაის ს. ჯაქან ადუღებულს წყალში და ამ წყლით გაიბანეთ ხოლმე ძუძუ). თუ ბალლს ფურის რძითა ზრდით, რეზინის საწოველა და სხვა ქურქელიც ძლიერ სუფთად უნდა შეინახოთ.

6) დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ აგრეთვე ახლად-შობილის თვალებს. ბევრია ქვეყანაზედ ისეთი ბრმა, რომ სხვებსავით თვალ-ხილული იქნებოდა, მათს მშობლებს რომ სკოდნოდათ ახლად შობილი ბალლების თვალების მოვლა. რო-

გორც მთელი ტანი, ისე თვალებიც, ყოველ დღე უნდა მოჰბანოთ ხოლმე სუფთა წყლით. მაგრამ ზოგჯერ მარტო ეს არა კმარა. დედაკაცებს ხშირად სჭირთ ერთნაირი ავთამყოფობა საშვილოსნოსი, საიდანაც მათ ჩირქი სდით. მშობიარობის დროს ეს ჩირქი შეიძლება მოხვდეს ახლად-შობილ ბაბლს შიგ თვალეში და ისე აატკივოს თვალეში, რომ ბაბლი უთუოდ დაბრმავდება, თუ დაუყოვნებლივ არ მივეშველეთ. ასეთს შემთხვევაში უთუოდ უნდა მიმართოთ ექიმსა და სანამ კი შეგიძლიანთ ბორნას წყლით მოჰბანოთ ხოლმე კარგათ თვალეში. აი. რამდენი განსაცდელი მოელის თურმე ახლად-შობილ ბავშვებსა!! მაგრამ ღვთით ყველა ეს განსაცდელი ისეთი ადვილი ასაშორებელია, რომ სულ რამდენსამე საათში ყველას შეუძლიან შეისწავლოს იგი და თავიდანაც ასაშოროს შვილებს...

#### IV.

რისგან არის, რომ ბავშვებს ხშირად ეშლებათ კუჭი და ნაწლავები?

რამდენადაც დიდია ბავშვი, იმდენად მეტადაც შეუძლიან გაუძლოს ყოველგვარ განსაცდელს, ავთამყოფობას. ეს იმიტომ, რომ რამდენადაც ბაბლი ასაკში შედის, იმდენადვე მეტად მაგრდება და მტკიცდება მისი სხეული. ხოლო, რომ ყმაწვილი წესიერად მაგრდება, საჭიროა კარგი საჭმელი, სუფთა ჰაერი და სისუფთავე. ყველა ეს კი სამწუხაროთ ყოველ ბავშვს არ მოეპოვება. ყველაზედ სამწუხარო აქ ის არის, რომ ყოველს ბაბლს არა აქვს ხეირიანი საჭმელი. უამისოთ კი არც დიდს და არც პატარას არ შეუძლიან წესიერად ზრდა და ღონის შემოკრება, რადგანაც მხოლოდ ხეირიანი საჭმელი აძლევს დიდსაც და პატარასაც ღონეს და ჯანმრთელობას. ცუდი საჭმელი კი, გარდა იმისა, რომ არავითარს ღონეს არ აძ-

ლევს ადამიანს, თან ასწავლებს კიდევ. განსაკუთრებით მანებელია ცუდი საქმელი პატარებისთვის, რადგანაც მათი კუჭი და ნაწლავები ჯერ ისეთი სუსტი და ნაზია, რომ ადვილად ვერ იტანენ ცუდს საქმელსა. საკმაოა ცოტა რამ ისეთი აქამოთ ბაღლს, რომელსაც აიტანს მისი კუჭი, რომ მას მაშინვე კუჭი და ნაწლავები მოეშალოს და ხშირად თანაც გადაჰყვეს, რადგანაც წამლობა ამ სენისა ძალიან ძნელია თვით აქიმებისათვისაც. ადვილი ასახსნელია ეს: დასწავლებულის სტომაქი ვეღარ ინელებს კარგს საქმელსაც და ამიტომ, რაღა თქმა უნდა, ბაღლი დღე-დღეზედ უარესად სუსტდება და კიდევ კვდება. უკეთესი საშუალება აქ ის არის, რომელიც ჩვენ ამ წიგნის თავში მოვიხსენიეთ, რომ ყოველი საშუალებით არიდოთ ბავშვს მუცლის მოშლა, თორემ რაკი მოეშლება, მერე ადვილი აღარ არის მისი გასწორება!..

ახლა, როგორ დავიცვათ ბავშვები კუჭისა და ნაწლავების ავთმყოფობისაგან? პასუხი ერთია: წესიერის კვებით, გონიერის ჭამა-სმით. უკეთესი საქმელი ბაღლისათვის არის დედის რძე. ბედნიერია ის ბავშვი, რომელიც იზრდება დედის ძუძუთი და ბედნიერია ის დედაც, რომელსაც შეუძლიან თვითონ აწოვოს ძუძუ, რადგანაც ენით გამოუთქმელია ის სიძნელე, რომელსაც წარმოადგენს ფურის რძით ბავშვის გამოზრდა. დედის ძუძუთი კვება სასარგებლოა ბავშვისთვისაც და დედისთვისაც. ძუძუს წოვებით დედა გაცილებით უფრო ადვილად მორჩება ხოლმე მშობიარობისაგან გამოწვეულს სისუსტეს, ვიდრე ის დედა, რომელსაც არა ჰსურს ან არ შეუძლიან ძუძუს წოვება.

საუბედუროთ ყოველს დედას არ შეუძლიან ძუძუს წოვება. აი ამისი მიზეზები: ბევრჯელ, განსაკუთრებით პირველს მშობიარობაზედ, ბევრს დედას სრულიად არა აქვს ხოლმე რძე, რძის მოსაგვრელად კი ძუძუებში ჯერ არაფერი წამალი არ არის გამოგონილი. ზოგს დედას რძე კი აქვს ხოლმე, მაგრამ ძუძუებზე თავები სრულიად არა აქვს, რომ ბავშვმა ძუ-

ძუ პირში ჩაიღოს და მოწოვოს. ასეთს შემთხვევაში კარგია თუ იდოთ აფთიაქში ძუძუს გამომწოვი პატარა მანქანა, ეს ნელ-ნელა გაუკეთებს ძუძუებს თავებსა. არის ისეთი რეზინის საწოველაც, რომ შეიძლება ძუძუებს გაუკეთოთ და ბალლი ამის შემწეობით მოსწოვს ძუძუსა. ან თავები თუმცა აქვს დედას ძუძუებზე, მაგრამ ისეთი ნაზი კანი აქვს, რომ წოვნიდან კანი უსქდება და დედა სპინელს ტკივილებსა გრძნობს. ასეთს შემთხვევაშიაც კარგს შემწეობას მისცემს დედას მოხსენებული რეზინის საწოველა. მაგრამ იმას არა სჯობია-რა, თუ ყოველი დედა წინათვე იზრუნებს თავისი ძუძუების გამართვისათვის. ამ მიზნით ორსულობის დასრულების ხანებში, ყოველ დღე მოისვ-მოისვით ხოლმე ძუძუებზე არაყში ამოვლებული მაგარი ძონძი; ძუძუს ნაზი კანი ამით ისე გამაგრდება, რომ შემდეგში წოვნა მას ვეღარასფერს დააკლებს და ძუძუს თავები აღარ დაუსქდება. თუ ძუძუს თავები პატარები აქვს ორსულს ქალს, მოხსენებული გამოსაწოვი მანქანა მშობიარობამდე ორი თვით წინ რომ იხმაროთ, ძუძუებს თავები გაუკეთდება და ახლად-შობილს მზათ-მზარეულად დაუხვდება მშობლის მადლიანი ძუძუ. მეტია ვსთქვათ, რომ თუ დედა ავით არის რომელიმე ავთამყოფობით, ძუძუ არ უნდა აწოვოს ბავშვსა, რადგანაც ავთამყოფის დედის ძუძუ მავნებელი იქნება თვით ბალლისათვისაც.

როცა დედა თითონ აწოვებს ძუძუს, რომ ბალლს მუცელი აღარ მოეშალოს, ორი რამ უნდა შეასრულოთ: ერთი, რომ მუდამ ერთ-და-იმავე დროს აწოვოთ ბავშვს ძუძუ და, მეორე, რომ თითონ ძუძუ მუდამ სუფთად შეინახოთ. ზოგი დედები აძლევენ ბალლს ძუძუს, რაწამსაც ბალლი ტირილს მოჰყვება. ეს ძლიერ ცუდია; ძუძუ მარტო იმისთვის უნდა მისცეთ ბავშვს, რომ გაძდოთ იგი და არა დაახულოთ. გახსოვდეთ ეს: ბალლი ხშირად მარტო იმიტომ კი არ სტირის, რომ მას ჰშიან, სტირის იმიტომაც, რომ დასველებულია, ან რამე სტიკვა, უხერხულად წევს და სხვა. ყველა ამისგან ბავშვი დასაც-

ველად, ძუძუს მიცემა რას უშველის, პირიქით, ამით საქმეს უფრო გააფუჭებთ, რომ ნამდვილს მიზეზს თავიდან არ იშორებთ. ბაღს საათობით უნდა აქამოთ: პირველს ორს თვეში ძუძუ დღისით ყოველს ორს საათში მიეცით ხოლმე, ხოლო ღამე—ყოველ სამ საათში. ამის მერე კი, დღისით—ყოველ სამ საათში, ხოლო ღამით ან სულ ნუ მისცემთ ძუძუს, ან მხოლოდ ერთხელ მოაწოვეთ ხოლმე. ბაღი ძალიან ადვილად ეჩვევა ამ წესს და თქვენც ისარგებლეთ მისი ასეთი თვისებით. პირველად იქნება იტიროს კიდევ ხოლმე, მაგრამ თქვენ ამას ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მალე მიეჩვევა. ყოველს დედას უნდა ახსოვდეს, რომ მხოლოდ ესე თავ-თავის დროზედ მიღებული საქმელი საესებით შეერგება ბაღს, უდროვოდ მიღებული კი უთუოთ სტომაქს მოუშლის მას.

რაც შეეხება ძუძუების სუფთად შენახვას, ეს საჭიროა როგორც ბაღის ჯანმრთელობისათვის, რომ უსუფთაო ძუძუსგან ბაღს რამე ჭირი არ გადაედოს პირში თუ მუცელში და მეორე, თვით დედისთვისაც, რომ ძუძუები არ ასტკივდეს, არ დაუჩირქდეს. ბევრი რამე კი საჭირო არ არის ამისათვის. ყოველი მოწოვების შემდეგ, ძუძუები ბორნას ანუ განელე-ბული ადუღებულის წყლით მოიბანეთ ხოლმე.

ყური უგდეთ იმასაც, რომ ჯერ-ჯერით აძლიოთ ხან ერთი ძუძუ და ხან მეორე და არა არეულად. ერთს ჯერზედ სრულიად საკმაოა ერთის ძუძუს მოწოვება; მეორედ კი უთუოდ მეორე ძუძუ უნდა მოაწოვოთ. ხოლო, თუ რძე ნაკლებათ აქვს დედას, მაშინ, რა თქმა უნდა, ორივე ძუძუ უნდა მოაწოვოთ ბაღს.

ხშირად დედას იმიტომ არა აქვს რძე, ანუ ნაკლებად აქვს, რომ ცუდად იკვებება, მომეტებულს იღლება მუშაობისგან. ამის წამალი ცხადია: საქმელი გაიმრავლეთ და ნაკლებ იმუშავეთ. მაწოვარს დედას თუ ძიძას არგებს ყოველი ჩვეულებრივი საქმელი; არ არგებს მხოლოდ მლაშე, მჟავე, მწარე, რომ სტომაქი არ მოეშალოს და ავით არ გახდეს.

როცა დედას რაიმე მიზეზით თითონ არ შეგიძლიანთ აწოვოთ ბაღს, მაშინ ყველაზედ უკეთესია მაწოვარი ძიძა უწოვოთ თქვენს შვილს. მაგრამ ეს ხშირად ბევრს არ ეხერხება, რადგანაც ძვირად ჯდება ძიძის დაქერა. რჩება ფურის რძით კვება. აი როგორ უნდა ეს:

ფურის რძე უფრო სქელია, ვიდრე დედა-კაცისა. ამიტომ ის უნდა შეაზავოთ წყლით, ბაღლის დაბადებიდამ დაწყობილი ორ თვემდის, ყოველ სტაქან ფურის რძეს უნდა დაუმატოთ ორი სტაქანი წყალი და ისე ასვათ ბაღს; ორი თვიდამ ოთხ თვემდის, სტაქან რძეზე სტაქანი წყალი უნდა მიუმატოთ, ოთხი თვიდამ ექვს თვემდის — ორ სტაქან რძეზე ერთი სტაქანი წყალი უნდა მიუმატოთ, ექვსი თვიდამ კი შეიძლება სადა რძეც ასვათ.

ქალის რძეც და ფურისაც რეკობლია; ეს იმიტომ, რომ ამათში შაქარი ურევია, მაგრამ ფურის რძეში ნაკლებია ეს შაქარი, ამიტომ როცა ფურის რძით კვებავთ თქვენს შვილს, აუთუოდ შაქარი უნდა მიუმატოთ ხოლმე. ერთ სტაქან წყლით განზავებულ რძეზე საკმაოა აიღოთ ერთი ჩაის კოვზი ჩვეულებრივი შაქრის ფხვნილისა და ან ორი ჩაის კოვზი რძის შაქრისა, რომელიც შეგიძლიანთ აფთიაქში იყიდოთ.

თუ რძეში ცუდი რამე ურევია, ეს შეიძლება აღუღებით სრულიად მოსპოთ მასში. აუღუღარი რძე თავის დღეში არ უნდა მისცეთ ხოლმე ბაღს, რადგანაც იგი არა მარტო სტომაქს მოუშლის, შეიძლება სიჭლექეც შეჰყაროს, თუ რძე, ვინიცობაა, ქლექიანი საქონლისაგან ეძლევა ბაღს. რაც შეეხება ღროს, ფურის რძეც იმდენჯერ უნდა აძლიოთ ბაღს და იმავე ხანებში, როგორც უკვე ვსთქვით ზემოთ.

ახლა, რამდენი რძე უნდა ვაძლიოთ ბაღს თითო ჯერზე. როცა დედა თითონ აწოვებს, ამისი გამოცნობა ადვილია: ბაღლი იმ დრომდინა სწოვს ძუძუს, სანამ კარგათ არ გამოძლება, დაახლოვებით 15 წამსა სწოვს და მერე თანვს ანებებს ძუძუს. ფურის რძით კვების დროსაც შეიძლება იხელმძღვანე-

ლოთ ამავე საზომით, ე. ი. სანამ თიჯონ ბალდი არ დაანუბებს თავს რძის სმას. მაგრამ მაინც მოგვყავს აქ ეს ცნობა, რომ იცოდეთ, როდის რამდენი რძე უნდა დაამზადოთ: პირველ კვირებში საკმაოა ჯერზედ დაამზადოთ სამი დიდი კოვზი განზავებული რძე; მეორე თვის ბოლოში შეიძლება აძლიოთ ნახევარი სტაქანი, ხოლო წლის ბოლოს—მთელი სტაქანი ჯერზედ.

ფურის რძეს ასმევენ ბალღს განგებ ამისათვის გამოგონილ საწოველათი, რომელიც ყველა აფთიაქში ისყიდება. ამაში ასხამენ რძეს და აძლევენ ბალღს პირში, რომელიც ისევე სწოვს, როგორც ძუძუს. როგორც ეს საწოველა, ისე სხვა ყოველი ჭურჭელი, რომელშიაც ინახება და მზადდება საბავშვო რძე, საგანგებო სისუფთავით უნდა შეინახოთ. საწოველას აქვს ორი პირი: ერთი რძის ჩასასხმელად; იგი დაცობილია ნემსით გახვრეტილი პრობკით, რომ საწოველაში შედიოდეს ჰაერი; მეორეზე ჩამოაცმენ რეზინის ძუძუს; ამასაც უნდა გაუკეთოთ ნახვრეტი, რომ წოვის დროს, ბავშვს რძე პირში შესდიოდეს. ნახვრეტი ასე გაუკეთეთ: გაახურეთ ძალიან ცეცხლზედ ქინძისთავი, რომ სულ გაწითლდეს და საჩქაროთ გაუყარეთ ძუძუს წვერი. ყოველი ჭამის შემდეგ, ეს ძუძუ უნდა გადმოაბრუნოთ, კარგად გარეცხოთ და შეინახოთ. ყლიან სტაქანში ჩადებული, რომელსაც სუფთა ქაღალდი უნდა დააფაროთ ვიდრე მეორე მოხმარებამდის.

ვსთქვათ რიგზედ, თუ როგორ უნდა მოვიხმაროთ ფურის რძე ბალღისათვის: მიიღოთ დილით რძე თუ არა, იგი მაშინვე ჩაასხით ჟესტის სუფთა ჭურჭელში და კარგათ აადუღეთ, ხუთმეტე წამი მაინც უნდა იდუღოს. შემდეგ დადგით გრილ ადგილას დაფარებულთ. ხმარების წინ აიღეთ იმდენი რძე, რამდენიც გინდათ ერთი ჯერისთვის. შეაზავეთ წყლით, როგორც ზემოთ დავწერეთ, მიუმატეთ შაქარი და კვლავ აადუღეთ კარგად. შემდეგ ჩაასხით საწოველაში და როცა თბილი გახდეს, აჭამეთ. გახსოვდეთ, რომ უსუფთავოთ შენახული რძე

და ქურჭელი ათასობით და ათიათასობით ხოცავს ბაღლებსა და ამიტომ დიდი ყურადღება მიაქციეთ სისუფთავესა.

თუ ბაღლს პირის-ღებინება ანუ ფაღარათობა დაემართა, წინანდელზედ უფრო მეტი წყლიანი რძე აძლიეთ, ხოლო თუ ფაღარათობა ძალიან აქვს, ნახევარი ანუ ერთი ღღე შეიძლება სულაც არ მისცეთ რძე და მარტო განეღებულა ადუღებული წყალი აძლიოთ. ასეთს შემთხვევაში უკეთესია აქიმი მიმართოთ. მაგრამ ვინც ყოველს ნათქვამს ბეჯითად შესრულებს, საქმე აქამდის თავის ღღეში არ მიუვა. პირის-ღებინება და ფაღარათობა ბაღლებს განსაკუთრებით ზაფხულობით ემართებათ. აი ამ დროს იხორცებთან უფრო ის ბაღლები, რომლებსაც ბედმა არ არგუნა ტკბილი დედის ძუძუთი გაზრდა და ფურის რძით იზრდებიან. მაგრამ აქ დამნაშავეა არა ფურის რძე, არამედ თვით ბაღლის დედა, რომელიც წესიერათ არ უმზადებს ბაღლს რძესა, ყურადღებას არ აქცევს ქურჭლის სისუფთავეს და სხვა. ასევე დიდი ყურადღებით უნდა აძლიოთ ბაღლს რძე კბილის ამოსვლის დროსა. ძუძუ ბაღლმა უნდა წოვოს ათ თვემდის, მის მერე კი შეიძლება ნელ-ნელა გადააჩვიოთ იგი ძუძუს. ამისათვის ბაღლს ღღეში მარტო ერთხელ აძლევენ დედის ძუძუს და დანარჩენ დროს მხოლოდ კარგად ადუღებულს ფურის რძეს. უნდა ეცადოთ, რომ ნელ-ნელა შეაჩვიოთ ბაღლი ფურის რძეს და არა ერთბაშათ. რამდენიმე ხნის შემდეგ შეიძლება აძლიოთ კვერცხის გული, ხორცის წვენი და სუხარი, მაგრამ დიდის სიფრთხილით და ცოტ-ცოტა. ერთდგე ძუძუს მოშორებას ზაფხულის ცხელს თვეებში და კბილის ამოსვლის დროს; ამ დროს ძუძუს მოშორება რამდენიმე თვით უნდა შეაგვიანოთ.

მეორე წელსაც უმთავრესი საქმელი ბაღლისა უნდა იყოს ფურის რძე. მაგრამ რძის გარდა შეიძლება აძლიოთ კიდევ კარაქი, რძის წვენი, ხორცის წვენი, რძის ფლავი, კვერცხი, სუხარი და კარგად გამოძცხვარი ცოტ-ცოტა პური. ამ დროს ბაღლს აწებებს: ცუდათ გამოძცხვარი პური, კარტოფილი, სო-

კო, მწვანილი, მოუწევარი ხილი და ტკბილეული. ვისაც გიყვართ შეილები, ყველა ეს ახლოც არ უნდა მიაკაროთ მათ: უნდა ყური უგდოთ, რომ მოზრდილმა შეილებმაც მხოლოდ თავ-თავის დროზედ ჭამონ პური და ცოტ-ცოტა.

V.

როგორ დავიფაროთ ბაღლები გადასადებ ავანტიურობისაგან?

სიცოცხლის პირველს წელიწადს ბავშვები მომეტებულად სნეულდებიან კუჭითა და ნაწლევებითა: ამ ავანტიურობისგან შეიძლება დავიფაროთ ბავშვები, თუ ისე ვაჭმევთ და ვასმევთ მათ, როგორც ზემო წერილში ვსთქვით ჩვენ, რადგანაც გარკვევა და წმინდა ჭაერი იფარავს მათ არა მარტო კუჭისა და ნაწლევთა დასნეულებისაგან, სხვა მრავალ სენისაგანაც; მაგალითად, ხორცისა და ძვლის სატკბურას სენისაგან (ЗОЛОТУХА И АНГЛІЙСКАЯ БОЛѢЗНЬ) სნეულდებიან მომეტებულად ის ბავშვები, რომლებსაც ცუდად აჭმევენ-ასმევენ, უსუფთაოდ ინახვენ და დახშულს უწმინდურს ჰაერში ჰყავთ მომწყვდევული. სოფელში წმინდა ჰაერი ბევრია, საჭიროა მხოლოდ ვიწრო ქოხებში არ გყავდეთ ბავშვები დამწყვდევული და ერთი წლის ჰასაკიდამ დაწყობილი ხშირად ატაროთ ისინი კარსა და მინდორ-ტყეში არა მხოლოდ ზაფხულობით, ზამთარშიაც კი, რისთვისაც საჭიროა მხოლოდ კარგად თბილად ჩააცვათ ხოლმე მათ. სიცივე ისე არ აწყენს ბავშვებს, როგორც დახშული ჰაერი ვიწრო ქოხისა. შემდეგ უთუოდ საჭიროა, ზაფხულობითაც და ზამთრობითაც ყოველ დღე კარგად გაანიავოთ ხოლმე სახლი, რისთვისაც ზაფხულობით მთელი დღით ფანჯარა-კარები ღია უნდა იქონიოთ ყველა ოთახებში და ზამთარში ცოტა ხნით მაინც. ქალაქში ბავშვები ყოველ დღე

უნდო გადყვანათ ხოლმე მახლობელს ბაღში ანუ მინდორ-  
მთაში.

ბავშვები, რომლებსაც კარგად აქმევენ-ასმევენ და სუფ-  
თათ ინახვენ შინ და გარეთ წმინდა ჰაერზე, არა თუ იშვი-  
ათად სნეულდებიან კუჭითა და ნაწლავებითა, არამედ სხვა  
სნეულებსაც ძალიან ადვილად იტანენ, თუ, ვინიცობაა, რო-  
გორმე ავით გახდნენ. ერთს წელზე უფროსი ბავშვები უფრო  
ხშირად ხდებიან ავად ვერც-წოდებული გადასადები ავით-  
მყოფობით. გადასადებ სნეულებებზე ჩვენ მალე დავბეჭდავთ  
ცალკე წერილს, ახლა კი ვიტყვით, რომ მათ შორის განსა-  
კუთრებით საშიშოა ყვავილი, ქუნთრუშა და დიფტერიტი.

**ყვავილი**—უსაშინელები გადამდები სენია. მისგან მრავა-  
ლი ბავშვი უდროვით ესალმება სიცოცხლეს და ვინც გადა-  
რჩება ხოლმე, პირისახე სრულიად უმახინჯდებათ. მაგრამ  
ჩვენ დასაბედნიეროთ არც ერთი სნეულებისგან ისე ადვილი  
არ არის ბავშვების დაფარვა, როგორც ყვავილისაგან. საჭი-  
როა მხოლოდ პირველსავე წელს აუცრათ ბავშვს ეს საშინე-  
ლი სენი და მაშინ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს  
ბავშვს ათ წლამდის ველარსაიდამ შეეყრება ეს სენი. ყვავილს  
უცროან აქიბები, ფელშრები და საგანგებო ამცრელები, რო-  
მლებსაც ნაბრძანები აქვთ მთავრობისაგან. სოფლიდამსოფელს  
იარონ და ყველას აუცრან ყვავილი. ყოველი გონიერის დე-  
დის ვალია უთუოთ აუცრას შვილს ყვავილი. ყვავილის აცრას  
უწოდებენ დამცველ აცრას, რადგან იცავს ბავშვებს ამ გადასა-  
დებ სენისაგან. სხვა გადამდებ ავთმყოფობათა შორის განსა-  
კუთრებით საშიშოა ყვანა-ხველა, დიფტერიტი\*) და ქუნთრუ-  
შა. რადგანაც ყველა აქ ჩამოთვლილი სნეულება გადამდებია,  
ე. ი. ერთის ავთმყოფისგან სხვა ჯან-საღებსაც გადაედება,  
ამიტომ, გაგიხდებათ თუ არა ვინმე სახლში ამ სნეულებით

\*) დიფტერიტის შესახებ იხ. წერილი „მოგზაურის“ IX და  
X ნომრებში, ანუ ცალკედ გამოცემული წიგნა, ფასი 5 კაპ.

ავათ, მაშინვე უნდა მოაშოროთ დანარჩენები ავათმყოფს და სადმე სხვაგან აცხოვროთ, სანამ სნეული სრულიად მორჩებოდეს. არა თუ ბავშვები აღარ უნდა ეკარებოდნენ ასეთს სახლებს (ყველაზე კარგი ის იქნება, რომ უშვილო ნათესავთან გაგზავნათ ყველანი), სადაც წევს გადასადები ავათმყოფობით სნეული, თვით მშობლებიც დიდად უნდა უფროთხილდნენ ასეთს სახლებს. თუ სულ მარტო ერთი ოთახი გაქვთ, სნეული უმჯობესია საქურნალოში გაგზავნოთ, ხოლო სახლი ისე გაასუფთაოთ, როგორც დიტეტერიტის შესახებ წიგნში დავიწვრია. ზოგიერთი სნეულებანი ბავშვებს შეიძლება შეეყაროთ დიდებისაგანაც, მაგალითად, ათაშანგი და სიქლექე. ამ სენებისგან უფრო ბეჯითად უნდა დაიცვათ ბავშვები, ავიდრე თვით მოზრდილები.

ყველაზე კარგი ის იქნება, რომ სრულიად არ მიაკაროთ ბავშვები ასეთს ავათმყოფებს, არ დააძინოთ მათთან, არ აკოცინოთ, არ აჭამოთ და არ დაალევინოთ მათი ქურჭლიდამ და სხვ. თუ სახლში გქვათ ქლექით ავათმყოფი, ნება არ უნდა მისცეთ, რომ ყველგან აფურთხებდეს, არამედ მარტო ამისათვის დანიშნულს ქურჭელში უნდა აფურთხოს, რომელშიაც კარბოლის სიმყავე უნდა იყოს ჩასხმული. თუ ასე ბეჯითად დარცავთ ბავშვებს და მომეტებულს დროს წმინდა ჰაერზე ამყოფებთ, დარწმუნებული იყავით, რომ მათ ადვილათ არ შეეყრება რამე გადასადები სენი.

იგ. რუსტომაშვილი.



## ქუძუს წოვაგა და გავშვთა ჯან-მრთა- ლოგა.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სიკვდილი ძუძუთა ბავშთა შორის ფრიად დიდს პროცენტს შეადგენს. ერთის მეცნიერის გაპოკვლევიდგან სჩანს, რომ ძუძუთა ბავშვთა გარდაცვალებულთა რიცხვი ყოველ წლივ შეადგენს ნახევარს ნაწილს გარდაცვალებულთა მთელის რიცხვისას დედა-მიწაზედ. ბერნის პროფესორის რაუ-ს სიტყვით საუკეთესო საშუალება ძუძუთა ბავშვთა სიკვდილის შემცირებისა ისაა, რომ იგინი პირველს თავებში მაინც აღიზარდნენ დედის ძუძუთი.

უმთავრესი მიზეზი ძუძუთა ბავშვთა სიკვდილისა არის კუჭისა და ნაწყლეების ანთება, რაიცა წარმოსდგება შეუფერებელი საჭმელისაგან. როდესაც შვეციაში წარსული საუკუნის დამლევს გამოვიდა კანონი იმ დედების წინააღმდეგ, რომლებიც უმიზეზოდ არ აწოვებდნენ ძუძუს თავიანთ ბავშვებს, ძლიერ შემცირდა სიკვდილი უკანასკნელთა შორის.

გამოჩენილნი მყენიერნი ერისმანი და უფელმანიც აღნიშნავენ, რომ მოხსენებული კანონის შემდეგ შვეციაში მართლა ძლიერ შემცირდა რიცხვი გარდაცვალებულთა ძუძუთა ბავშვთა.

ჩვენს დროში ფრიად გახშირდა ძუძუთა ბავშვთა ძროხის რძით გამოზრდა, დედები თან და თან იშვიათად აწოვებენ ძუძუს ღვიძლს შვილებს და აი ეს არის სწორედ მიზეზი ძუძუთა ბავშვთა ამ წუთი-სოფლის უდროოდ გამოსალმებისა.

ქალაქ მიუნხენში, როგორც Dr Nordheim-ი გარდმოგვცემს, ათასს დედებში, რომლებსაც ამ ექიმისთვის მიუმარ-

თავთ, და ჰყთლიათ ძუძუთა ბავშვი, 642-ს დედას სრულებით არ უწოვებია ძუძუ თავის ბავშვისათვის, 358 დედას კი უწოვებია ძუძუ, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე თვე, მერმე კი ძროხის რძისთვის მიუმართავს ბავშვის გამოსაზრდელად, თუმცა ათასიდან 510 დედას თამამად შეეძლო ეწოვებია ძუძუ ბავშვისთვის, რადგან ჯან-მრთელობა ნებას აძლევდა და რძეც საკმარისად ჰქონდა, დანარჩენებს კი მართლა არ შესძლებიათ ძუძუთი გამოზრდა ბავშვისა.

ბევრი დედა არ აწოვებს ძუძუს იმიტომ, რომ არ უნდა თავი შეიწუხოს, არ უნდა მოსცდეს ნადიმ-სალამოებს და თუ-ატრებს. ამით თქმა არ უნდა უფრო ნაკლები შრომა და ზრუნვა აქვს დედას, რადგანაც მაშინ, ბავშვს ან ძიძა ზრდის ან და მოსამსახურე დედა-კაცი ძროხის რძეს აძლევს.

ზოგ დედას კი არა-მკითავე მრჩეველები ჩააგონებენ, რომ მას რძე ბავშვისთვის სამყოფი არა აქვს და დაუწყებენ რჩევას, რომ ბავშვს ძროხის რძის ძლევა დაუწყოს.

ბევრიც იმიტომ არ აწოვებს ძუძუს ბავშვს, რომ ფიზიკურად სუსტნი არიან და მართლა ნაკლებად ან სულ არა აქვთ რძე ძუძუში. ამ გვარი უძლურება დედისა გადაგვარების ნიშანია.

პროფესორ Bunge-ს აზრით ვაჟმა არ უნდა შეირთოს ის ქალი, რომელიც დედის ძუძუთი არ ყოფილა გამოზრდილი; არც იმ ქალს ექნება რძე, რომელიც ქლექიან გვარიდან არის, ან და სულით-ავათ-მყოფნი და ლოთი ნათესავები ჰყავსთ. იმ ქალსაც გადაგვარების ნიშანი აზის, რომელსაც ახალგაზღვრაშივე კბილები აქვს დაქმული.

გამოუცდელს დედას ჰგონია, რომ ბავშვი იმიტომ სტირის, რომ ჰშია მაგრამ როცა დააკვირდებით, ნახავთ, რომ ბავშვი წონაში მატულობს თან და თან, შარღზედ რიგონად გადის, მაშასადამე, სტირის იმიტომ კი არა, რომ რძე აკლია, არამედ იმიტომ, რომ მუცლის ტკივილი აქვს, რაიცა შეიძლება მოხდეს რძის გარდამეტებულის ძლევით.

ყოფელ ამ გვარ შემთხვევაში საჭიროა ბავშვის აწონვა, თუ დედა ჰხედავს, რომ ძუძუთა ბავშვი თანდათან კლებულობს წონაში, სჩანს, მართლა, რომ მას საკმარისი რძე არა აქვს.

რაც უნდა საკმარისი რძე ჰქონდეს დედას, უსათუოდ დააკლდება თან და თან იმ შემთხვევაში, თუ რომ ბავშვს დაუწყუო ძროხის რძის ძლიევა. რამდენადაც უფრო იშვიათად და უღონოდ მოსწოვს ბავშვი ძუძუს, იმდენად უფრო მალე და ძლიერ დააკლდება რძე დედას. ხოლო, თუ ბავშვი დანიშნულს დროზედ და ღონივრად გამოსწოვს ძუძუს, რძეც უფრო ემატება დედას; რასაკვირველია, ძროხის რძეს მიჩვეული ბავშვი უგულოდ გამოსწოვს დედის ძუძუს და ამ გვარი გამოზრდა ბავშვსაც აწყენს და დედასაც.

ბუნებრივი კანონი იმ გვარია, რომ ძუძუებს იმდენი რძე გამოაქვს, რომ ბავშვი დააკმაყოფილოს.

თვით დედებიც ატყობენ, რომ ის ბავშვი, რომელსაც ძროხის რძეს აძლევენ, უფრო უგულოდ სწოვს ძუძუს და მასთან მალეც ათავეებს წოვას. ბავშვი, რომელიც იკვებება ძროხის რძით საწოვ უშეიღვან, ეჩვევა სიზარმაცეს და ამიტომ ძუძუს, რომლის გამოწოვას ძალა უნდა, უგულოდ იღებს პირში. დაკვირვება გვასწავლის, რომ უნდა გავარჩიოთ დროებითი რძის ნაკლებობა მუდმივისაგან. დროებითი რძის ნაკლებობა წარმოსდგება დაღლილობისაგან, მღელვარებისაგან, მწუხარებისაგან და სხვა; როცა ცუდი გარემოებანი გავივლიან, რძე ხელ-ახლავ იმატებს დედის ძუძუებში.

დიდი გავლენა აქვს შთაგონებას; როდესაც ახალგაზდა დედებს, ვითომ და, გამოცდილი დედა-კაცები დაარწმუნებენ, რომ მათ არა აქვთ ბავშვისთვის სამყოფი რძე, მათ, მართლაც, აკლდებათ რძე ამ შთაგონებებს გავლენით, ხოლო როდესაც ექიმი დაარწმუნებს, რომ რძე სრულეებით საკმარისია ბავშვისთვის, ძუძუს კვლავ რძე ემატება. ძლიერ ზშირად მოხდება ხოლმე, რომ პირველს დღეებში დედას რძე არა აქვს,

ასე რომ იძულებულნი შეიქმნებიან ხოლმე ბავშვი ძროხის რძით ასაზრდოვონ. მაგრამ გაღის ხუთი-ექვსი ღლე და დედას ძუძუებში რძე ჩაუდგება; ამიტომ, ამ გვარ შემთხვევებში, ექიმები ურჩევენ დედებს ყოველთვის, სინამ ძროხის რძეს მისცემდნენ, ძუძუ მოადეჭვინონ, რომ ამით ძუძუებს შესაფერი გაღიზიანება ჰქონდესთ.

ზოგიერთ დედას ძუძუებში თუმცა საკმარისი რძე უდგია, მაგრამ ძუძუს თავები იმ გვარი აქვს, რომ ბავშვი ვერ ავლებს პირს და თუ შესაფერი ღონის-ძიება არ იქმნა მიღებული, დედას რძე გაუშრება.

როგორც ბავშვისთვის არის სასარგებლო, რომ იგი დედის ძუძუთი გამოიზარდოს, ეგრეთვე სასარგებლოა თვით დედისთვის და მისი სხეულის ჯანმრთელობისთვის ძუძუს წოვება. მედიცინაში დიდი ხანია საყოველთაოდ არის მიღებული, რომ ძუძუს წოვება ფრიად სასარგებლოდ მოქმედობს დედის საშვილოსნოზე, ძლიერ იშვიათად, რომ ამ გვარი დედა-კაცი საშვილოსნოს ავთამყოფობით გახდეს ავად. გარდა ამისა ყოველ მის სხეულის უჯრედებს სიცოცხლის ძალა ემატება. მართლაც, ასე უნდა იყოს, რადგან ბავშვის ძუძუთი გამოზრდა აუცილებელი ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

ჩვენს დროში ძლიერ შემცირდა რიცხვი იმ მავნე გარემოებათა, რომლებიც წყალობით დედას აეკრძალებოდა ბავშვის თავისი ძუძუთი გამოზრდა. ამ მავნე გარემოებებად უნდა ვიგულისხმოთ დედის სხვა და სხვა გვარი ავთამყოფობა, წინად თითქმის ყოველი ავთამყოფობა დედისა მაჩვენებელი იყო იმისა, რომ მას ძუძუ არ ეძლია ბავშვისთვის; ეხლა კი ძლიერ შემცირდა რიცხვი სხვა და სხვა ავთამყოფობათა, რომლებიც ხელს უშლიან ძუძუს წოვებას.

ასე, მაგალითათ, Heuner-ი ერთათ-ერთ ამ გვარ შიზენად სთვლის, როდესაც დედა ჭლექითაა ავად ან და მიდრეკილება აქვს ამ სენისადმი.

გულის სიმანკე და თირკმელების ანთება სრულებით არ აბრკოლებს დედას, რომ მან ქუძუ აწოვოს ბავშვს.

შეუძლიან ორსულ დედას განაგრძოს ქუძუს წოგება თუ არა? ამის შესახებ უმეტესი ნაწილი ფრანგთა ექიმთა იმ აზრისაა, რომ ეს გარემოება სრულებითაც არ უშლის დედას ბავშვის ქუძუთი გამოზრდას.

მართლაც, ძლიერ ხშირია, რომ ორსულ დედას რძე შე-  
რჩეს.

Marfan-ის აზრით, თუ ორსული დედა კარგად გრძნობს თავის თავს და ბავშვიც ექვს თვეზედ ნაკლებია, უმჯობესია აწოვოს ბავშვს ქუძუ; ხოლო თუ ბავშვმა იკლო წონაში და კუჭი და ნაწლევები აეშალა, უმჯობესია, რომ დედამ ქუძუ აღარ მისცეს ბავშვს.

რუსის ექიმები კი, მათ შორის გამოჩენილი პროფესორი ფილატოვი, წინააღმდეგნი არიან იმ აზრის, რომ ორსულმა დედა-კაცმა ქუძუ აწოვოს ბავშვს.

როდესაც დედას რძე არა აქვს ბავშვისთვის სამყოფი, იგი, რასაკვირველია, იძულებულია მიმართოს პირუტყვის რძეს და მით გამოკვებოს ბავშვი.

საუკეთესო რძედ ამ შემთხვევაში ითვლება ვირის რძე, რადგან ეს უკანასკნელი ძლიერ წააგავს დედა-კაცის რძეს თავისი ქიმიურის თვისებით, მაგრამ უფრო თხელია პირველზედ; უმჯობესია აძლიოთ ბავშვს ახლად მოწველილი თბილ-თბილი, აუღუღებელი ვირის რძე, თუ პირუტყვი, რასაკვირველია, სრულებით ჯან-სალია.

რადგან ყველგან არ იშოვება ვირი, ნამეტურ ცივს ქვეყნებში, უფრო მიღებულია ძროხის რძე. ხოლო ძროხის რძეს დიდი ხნის დუღილი უნდა და საჭიროა, რომ მას მიემატოს აღუღებელი წყალი. ახალ-დაბადებულისთვის ერთ ნაწილ რძეზედ უნდა აიღოთ სამი ნაწილი წყალი და ცოტაოდენი შაქარიც მიუმატოთ; ბავშვისთვის ერთი თვიდგან — სამ თვემდინ ერთ ნაწილზედ ორი ნაწილი წყალია საჭირო; 3—4

თვის ბავშვისთვის—ნახევარი რძე და ნახევარიც წყალი; 4—6 თვისას—ორი ნაწილი რძე და ერთი ნაწილი წყალი; ნახევარი წლის შემდეგ კი ბავშვს უნდა ეძლიოს უწყლოთ რძე.

უმთავრესი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული, რომ ბავშვს არ მისცენ წამხდარი რძე; განსაკუთრებით მალე ფუქტდება რძე ზაფხულში, ამიტომ ყოველ მიცემის წინად საჭიროა რძე ადულდეს ხელ-ახლად, რომ დუღილით გასწყდნენ რძეში მყოფი მიკრობები, რომლების წყალობითაც ბავშვი ადვილად შეიძლება დასნეულდეს.

ყველას, ვინც კი იძულებულია თავისი ბავშვი გამოზარდოს ძროხის რძით, ვურჩევთ იქონიოს სოქსლეს აპარატი (Soxlet); ეს ისეთი აპარატია, რომ შეგიძლიანთ 6—12 შუშა რძე ერთათ მოუმზადოთ ბავშვს, მთელი დღე და ღამე გექნებათ და სრულებით არ წახდება, რადგან ყოველს შუშას ისე მაგრა უკეთდება თავი საგანგებოდ მომზადებული გუტაპერჩის თავით, რომ ვერც ერთი მიკრობი ვერ ჩააღწევს შიგ. ამით, ჯერ ეს ერთი, რომ ბავშვს უვნებელი რძე ეძლევა და მეორე ის, რომ დედასაც დიდი შელავათი აქვს, რადგან მას შეუძლიან მთელი დღის და ღამის რძე ერთხელ მოამზადოს.

ეს აპარატი ძლიერ იაფია, სულ 3—5 მანეთი ღირს და ყოველ აფთიაქის მაღაზიაში ისყიდება; აპარატშივე არის დაბეჭდილი დარიგება.

ექიმი პადრიქე.



# ისტორია-არქეოლოგია.



## ქართული გვარის გრიგორიანები

(ისტორიული მიმოხილვა)

(კათოლიკოსის შურნალ „მურჯის“ და გაზეთ  
„მშაკის“ კასუხად დაწერილი).

### I.

ჩვენს დროში, გვაროვნობის შესახებ საუბარი ერთის მხრით მე<sup>რ</sup> ბარგთ უნდა ჩაითვალოს, რა დროს გვაროვნობაზე ლაპარაკი საჭიროა, როცა ამის მაზანდა დიდი ხანია დაგარდა და სადაც კი დარჩა ეს რაიმე განსაკუთრებით პირობებით, იქ ესეც დაეცემა, მომავლისთვის ცხადლივ დაიღუწება. ევროპის განათლებულ ერთა შორის ბევრს მწერალთაგან გვაროვნობის შესახებ საუბარი თითქმის უარყოფილია, იქ საქმე კაცია, მისი ადამიანური ღირსება და არა გვაროვნება, ანუ ამის მეოხებით ერთის პირის მეორისაგან განცალკევება, დაშორება, ბოლოს სამუდამო მტრობის ჩამოგდება და ურთი-ერთ შორის გვაროვნობის გამაგრების ზიზღის გავრცელება. ასე იყო ძველად, ასე იყო ასეარის საშუალო საუკუნოებში და თვით ჩვენს დროსაც, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ ასეთის მიდრეკილებით ვერც ერთი ერი ვერ წავიდა წინ და ყველას მომავალში მხოლოდ დედამიწის პირიდან აღგვა მოველინა და დაღეწვა, ამაზედ ჩვენ სჯას არ დავიწყებთ, რადგანაც ეს ისტორიული ქეშმარიტება განვითარებულს მკით-

ხველს უჩვენოთაც ეცოდინება. მაშასადამე, კაცობრიობის უმთავრეს გონებრივ სახსარს და მის პროგრესიულს უკუბრუნებელ მალამოს უნდა შეადგენდეს მხოლოდ ერის გონებით აღორძინება — მასში ნათელ მოქალაქობის დამკვიდრება, მეცნიერულის სოციალიზმით აღორძინებული მოქალაქური დემოკრატია, მერმისისათვის ქემშარიტ კომუნისტური წეს-წყობილების გავრცელება, კაცთა შორის ურთიერთ პიროვნების პატივისცემის დაფარვა, პირად უფლებების შემოფარგვლა, რენანის სიტყვისამებრ, მაცხოვრის ქადაგების მსგავსად უმაღლესი ძმური სიყვარული, ანუ ლუი ბლანის მსგავსად ნამდვილი იდეალური ძმობა, სიყვარული, თანასწორება და თავისუფლების დარსება, ეს როგორც მან გამოხატა და ახსნა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის პირველს ტომში.

მხოლოდ აი მაშინ შეეძლება კაცობრიობას, რომ თავის მოქმედებით და ინერციით ცხოვრების უმაღლეს წერტილს მიადწიოს, მის მერმისისთვის ნათელი პროგრესიული გეგმა შეიმუშავოს და შეიდგინოს. უამისოდ კი, კაცობრიობამ რაც გინდ ბევრი იმეცადინოს და იღუაწოს თვის ძლიერების აღსაფრთოვანებლად და ერთის ტომის მეორეს ტომის წინაშე დაწინაურებას, წინ გასწრობას და გაძლიერებას, ეს იქნება მხოლოდ დროებითი ლტოლვა ნატერისა, ხოლო მომავლისთვის კი მას მტკიცე ნიადაგი არ მოჰყვება და მშრალად მონარუქებელი ქადილი მშრალადვე დაშთება, პატარა ოცნებათ, ქარის წისქვილათ, რადგანაც ბოლოს სამხედრო პატრიოტობას ყველგან საძირკვლები გამოეცლება და იგი ისე უნაყოფოთ დაეცემა, როგორც დაეცნენ მრავალ ტომთა სამეფოთ გვარნი. ასეთ ოცნებას ევროპის ერთა შორის რამდენმამე სახელმწიფოთ გვართა დაადწიეს თავი და მათ ამის დადწივით დროითვე მიადწიეს უმაღლეს ცივლიზაციას, დიდს კულტურას. ამიტომ ჩვენც, როგორც მორჩილნი ევროპის განვითარების და ცხოვრებათა მხარეების ბაძვის, უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენს ცხოვრებაშიაც შემოვიტანოთ და დავამკვიდროთ ის წე-

სები და მიდრეკილებანი, რაც იქ ძველადგანვე იყო აღორძინებული და წინ წასული. უამისოდ კი ვიტყვი, რომ ჩვენ წინ ვერ წავალთ და ყოველთვის და ყოველგან მშრალ მეოცნებეთ დავწებით და მის მეოხებით ბევრს სულის ასამაღლებელს და ცხოვრების გასამტკიცებელს წარმატებასაც მოვაკლდებით. მშრალის სამხედროს პატრიოტობით, სასწაულეზობის მხარეებით და ეკლესიურის საქმეთა გვაროვნულის ტრადიციებით წინ ვერ წავალთ, ერთს საფეხურზედ გავჩერდებით და ბოლოს როგორც ბრბო ისე ავიგვებით ამ დედამიწის პირიდგანა. ყველა ეს მოხდება იმ ერში აღვილათ, სადაც რეალურს განათლებას მტკიცე საძირკველი არა აქვს დამკვიდრებული და ან სხვა და სხვა გვარის ტომთა წინაშე მკაცრათ არის აღორძინებული ერთმანერთის გვაროვნობის დამცირება, ერთმანერთის შექმა და მით სამუდამოთ მოსპობა ცხოვრების ასპარეზის კეგმაზედ. ყველა ეს ჩვენ გაგვახსენა შემდეგმა გარემოებამ, რომელ საგანზედ სჯა და კამათი ჩვენთვის საკმარისად საინტერესო უნდა იყოს.

1891 წ. სომხურ თვიურ ჟურნალ «მურჯში» წერილი დაიბეჭდა ქართველთ შესახებ, სადაც დამწერი სხვათა შორის, ერთ ალაგას ასე საუბრობდა: „ქართველებს ძრიელ უყვარსთ სხვა და სხვა სარწმუნოების მექონ ხალხში ქართველ გვარის ერის გაჩენა. მაგალითებრ, ქართულ მწერლობაში კარგა ხანია რაც ავრცელებენ ქართველ მაჰმადიანთ არსებობას, ქართველ ებრაელთა, ქართველ კათოლიკეთა და ეხლა მათ ქართველი გრიგორიანებიც გააჩინეს, ამის საქმეც გაათავეს, მას მტკიცე ბეჭედი დააკრეს, დღეის შემდეგ ქართველებში, უეჭველია ქართველი სომხები, ანუ გრიგორიანებიც გაჩნდებიან, ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც ქართველებმა ამ საკანს თავიანთ ჭეშმარიტების ბეჭედი უკვე დაარტყეს-დაპლომბეს“. ამ წერილმა, სომხურს ჟურნალს „მურჯში“ გამოიწვია ბ. პ. მირიანაშვილის წერილმა, რომელიც იმავე წლის გაზეთ „ივერიის“ ნომერში იყო დაბეჭდილი და რომელ წერილშიაც ბ. პ. მირი-

ანაშვილი სამართლიანად სჯიდა ქუთათურ ქართველ გრიგორიანთა შესახებ. „მურჯის“ წერილი პირდაპირ ამწერილის და ჩემის ნაწერების წინააღმდეგ არის მიმართული და ნამეტურ ჩემი წერილის სამხრეთ საქართველოზე, რომელიც „მოგზაურში“ დაიბეჭდა და რომელ წიგნაკმაც სჯა და კამათიც გამოიწვია. აქ ამაზედ არავინ იფიქროს, რომ მე ვითომც ამ წერილს ხსენებულის სჯა და კამათის მეოხებით ვწერდე, არა, ამ საგანზედ წერა მე აღრიდგანვე მქონდა გაღვიძებული და მის შესრულებას ყოველთვის ნატვრით ვეჭრფოდი, ხოლო მრავალ საქმეთა მიმდევრობამ არ მომცეს დროზედ ნატვრის შესრულება. შეუსრულებლობა კი ჩემგან შეუძლებელი იყო, რადგანაც რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი ჩვენის საქმობლო ქვეყნის ასპარეზზედ, ჩვენს მემამულეთ შორის, დიდი განმასხვავებელი გვაროვნული კამათიც იბადებოდა. ერთის ტომის და მოდგმის შვილები, ერთის ენის და ქვეყნის მეზობელნი ურთიერთ შორის განსხვავებას და გაცალკევებას ქადაგებდნენ. ამის სრულს მაგალითს წარმოადგენს ქართლ-კახეთის სოფლებში მცხოვრებ ქართველთ ისეთ ჯგუფთ მცხოვრებთ, რომელთა რიცხვიც სარწმუნოებით, ანუ ეკლესიით გრაგორიანობას ეკუთვნიან და შთამომავლობით კი ქართველს, საქართველოს, მათი დედა ენაც ქართული ენა არის, ძველადგანვე მათ ქართული ენა ჰქონიათ მიღებული და დამკვიდრებული.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენის ისტორიის თანახმად, ქრისტიანობის პირველ საუკუნოებში ქართველნი და ჰაოსიანნი ერთ სარწმუნოებას ვაღიარებდით, ერთი კათალიკოზი გვეყვანდა, რომელიც ეჩმიაძინში იჯდა, დანარჩენი ეპისკოპოზნი კი, რომელნიც ქართველთათვის იყო საჭირო, ისინი ქართლის ქვეყნის კუთხეებში განაგებდნენ და მათი რიცხვიც ყოველთვის ქართველ გვარისაგან შესდგებოდა, ხოლო კათალიკოზნი კი ყოველთვის ჰაოსიანის გვარის იყო. ორს საგვარეულო ერთ სამღვდლოთ შორის დროის განმავლობის მე-

ოხებით მცირე უთანხმოება ჩამოვარდა ეკლესიურ წეს-წყობილების და ცხოვრების შესახებ. ჰაოსიონთ სასულიერო წოდება თავისებურს გზას ადგა, ისევე ქართველნი. ბოლოს საქმე ისემოეწყო, რომ ოდესაც ბიზანტიაში უკანასკნელი მსოფლიო კრება მოხდა, იქ ჰაოსიონთ სამღვდელოებამ მონაწილეობა არ მიიღეს, ეპისკოპოსთაგანი არაფერ დაესწრენ, ქართველთაგან კი თორმეტი ეპისკოპოზი დაესწრა. კრების გარდაწყვეტილებას ქართველ ეპისკოპოსნი დიდს თანხმობას უცხადებდნენ, რაც კი კრებამ დაადგინა და გარდასწყვიტა ეკლესიური ცხოვრების და წეს-წყობილების შესახებ, ყოველივე ქართველთა ერთ ხმად მიიღეს, რაც სხვებმა უარი ჰყვეს, ის ქართველთაც არ მიიღეს, რაც სხვებმა მიიღეს, ის ქართველთაც შეიწყნარეს, ასე და ამ გვარად, ქართველნი, ახალ მსოფლიო კრების ძალით ბერძენთ მოთანხმენი გამოჩნდნენ, მათი სარწმუნოების თანა-მორწმუნენი და ჰაოსიანები კი დაშთნენ ცალკე, მათ უკანასკნელ მსოფლიო კრებაში მონაწილეობა არ მიიღეს, მათ სამჯობინროთ დაიწყეს ბერძენებისაგან შორს განდგომა, მათის ეკლესიის წესებთან არაფერი ერთობის ქონვა. ეს კარგიც იყო მათთვის და საქმებიც. ჰაოსიანთ ეკლესია განცალკევებულად გამოჩნდა, ეს მოხერხება და განცალკევება მათის გვარისთვის დიდ განძათ ჩაითვალა, მის შემდეგ ჰაოსიანთ ეკლესია დღემდე დაშთა თავისუფლად და დამოუკიდებლად სხვათა და ნამეტურ ბერძენთ ეკლესიის წინაშე. ამის სამზადისი მათ წინათვე ჰქონდათ გარკვეული, საბერძენეთიდან საქართველოში დაბრუნებულ ქართველთ ეპისკოპოსებმა ქართველი ერთ ბერძენების ეკლესიის წესების მოთანხმედ განაცხადეს, ერთ თანამორწმუნეთ ჰაოსიანთაგან კი განყოფილს. ქართველთ ეპისკოპოსთ განცხადება საქართველოში ქართველთ თითქმის ყველგან მიიღეს სიტყვის უთქმელად, უკანასკნელ მსოფლიო კრებას სიამოვნებით დაემორჩილნენ, ბერძენების კავშირი და ნათესაობა დიდ სანუკარ საქმეთაღიარეს. ქართველ მღვდელთ-მთავართ განცხადება და ქაღილი

ქართველთ შორის არ იქმნა შეწყნარებული მხოლოდ ბერდუჯის კუთხისკენ, ანუ სამხრეთ საქართველოს მცხოვრებ ქართველთაგან, რომელნიც თავიანთ მოსამზღვრეობით ჰაოსიანთ კუთხეებს ესამზღვრებოდნენ, ანუ დიდის და მცირე ნაწილის არმენიას. მხოლოდ ამათში ვერ მოიკიდა ახალმა სარწმუნოებრივმა განკარგულებამ საძირკველი. ჰაოსიონებთან ახლოს მცხოვრებთ ქართველთ ასეთ ჰაოსიანთ ეკლესიის დამის მალიარებელთ რიცხვის ცხოვრებაც იწვევდა, ნამეტურ ნათესავური კავშირი, რაც ამ ორ გვარ შორის აღრიდგანვე დაინერგა სარწმუნოების მხრით.

ბერდუჯელნი ქართველნი იტყოდნენ: ჩვენ ასე აღვიღათ ვერ გადავალთ მამაპაპის სჯულიდამ და ვერ ვიწამებთ ახალს მოძღვრებას, ჩვენ დავშთებით ისევ ისე, როგორც ვყოფილვართ აქამდე, ერთის სჯულიდამ მეორეზედ გადასვლა სამძიმო იქმნებაო. ასე და ამ გვარად, ძირეულ ქართველ გვარის კარგადიდი რიცხვი დაშთა იმ ეკლესიის კერძ, რომელ ეკლესიაც ჰაოსიანთ საკუთრებას შეადგენდა, ე. ი. ქართველ გვარის ერს სულიერი დაკავშირება უნდა მიეღო. ჰაოსიანებთან ერთად. მართლაც ეს ასეც მოხდა და ნელნელა დროის განმავლობის მეოხებით ქართველნი სასტიკათ დაეჭვემდებარნენ ჰაოსიანთ ეკლესიის წესებს, ქართველნი განდრკენ ახალ მერჯელს ქართველთაგან, განიჩნენ მათგან სასტიკათ, მის ნაცვლათ იწყეს ჰაოსიანთ ეკლესიის წესებზედ მკვიდრათ აღმოცენება. მალე ისე მოიმართა საქმე, რომ მთელ სამხრეთ საქართველოს ერს რბილსა და ძვალში ჰაოსიანთ ეკლესიის წესები და მალიარებლობა ქვა კუთხედათ ხარდაექცათ, ქართველთ საეკლესიო ენათ ჰაოსიანთ ენა შეიქმნა და მათს ენაზედ ეკლესიაში საეკლესიო წიგნების ხმარება და ჰაოსიონთ ლოცვა. ერთის სიტყვით, ქართველ გვარის ქართველი უკანასკნელ ქართველობისას ყოველივეს უნდა გამოსთხოვებოდა და პირდაპირ მის მაგიერ ჰაოსიანთ წესები, ენა და მიღრეკილებანი უნდა ჩაენერგა, რასაც თვით ჰაოსიანთ ეკლესიაც ამტკიცებდა

და ნერგავდა მათში, იგი ისეო საეკლესიო ძალათ გარდიქცა და იმისთანა საკუთრებათ ჰაოსიანთ ერის, რაც სხვა ტომის კაცთა რიცხვს უადვილესათ ჰყლაპავდა, მათ გვარტომობას ისლამივით სძაგდა. როგორც სამხრეთ საქართველო აღიარებდა ჰაოსიანთ ეკლესიის წესებს, ისევე აღიარებდა მთელი კახეთის ერიც კახელნიც ასევე იტყოდნენ: «ძველ მამაპაპათა სჯულიდან გარდამავლობას ვერ ვიტვირთებთ. როგორც სამხრეთ საქართველოს ქართველნი, კახელნიც ისევე დაშთნენ ჰაოსიანთ ეკლესიის კერძ, ვითარცა სამხრეთ ქართველნი. ამიტომ ესეთი გარემოება დანარჩენ ქართველთ დიდათ აფიქრებდა. ასე, ქართლის ცხოვრების სიტყვით კახეთის ქართველობა მხოლოდ X საუკუნის დამდეგს იქმნა მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული, ისიც ძალით და ძალაობით ქართველთ დინარ დედოფლის წყალობით და შრომით \*). უნდა ითქვას, რომ კახეთში ჰაოსიანთ ეკლესიას მარტოდ ერი ემორჩილებოდა, მთავარნი და მეფენი კი მართლ-მადიდებლობას აღიარებდნენ.

ასე და ამ გვარად, ჩვენ რომ გავშინჯოთ პირველ დროს ქართველთ ერის ეკლესიური ისტორია, გავიცნათ მისი გარემოება და ქართველთ პირობები, მაშინ ჩვენ ცხადათ დავრწმუნდებით, რომ ქართველთ თავიანთ გვარიდამ გარდამავლობა და გადასხვაფერება, გადაგვარება თვით ქრისტიანობის განმტკიცების შემდეგიდამვე მოჰვლენიათ კარს და მის მეოხებით საქართველოს კიდევებისაკენ, ძრიელ ბევრს აღაგას ქართველნი თავის გვაროვნობით სამუდამოთ მოსცილებიან საქართველოს, ქართველობას, ქართულს ენას და მისნაცვლად ჩაუნერგავთ ის ენა და წეს-ჩვეულებანი, რომელ ერის ენის სასულიერო წიგნებიც მათს ეკლესიაში ყოფილა გამეფებული. ასე, რომ ქართველთავანნი ძველადგანვე განერიცხნენ ქარ-

\*) ქართ. ცხოვრება ტ. I.

თველთა გვაროვნობას მრავლად და მათ პირდაპირ ჰაოსიანობა იწყეს, სამერმისოდ ნამდვილ ჰაოსიანად აღმოცენება. საქართველოში ქართველთ რიცხვი ძველადგანვე შესამჩნევი ყოფილბ და მასთან მრავალ ალაგასაც. ასე იყო ეს და მის მოდავეთ არც ქართველები ხდებოდნენ, ძველად ქრისტიანობის ასპარეზი, ქართველთათვის ერთი იყო; მასზედ ქართველთა გინდ კათოლიკის სჯულის ყოფილიყოს, გინდ გრიგორიანის და გინდ მართლმადიდებელი, ეს ორზე ერთი იყო მათთვის. ამ გარემოებას ქართველთ ცხოვრების საკმარისი მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რადგანაც მან თავისებური მახვილი მოინარუქა და ქართველ ერს ბევრნაირი ზარალიც მოუვიდა, დღეს, ქართველთ ძველი ინდიფერენტული შეხედულების ნაყოფი ცხადი არის. და ქართველი ყველგან სარწმუნოების მეოხებით ჰკარგავს თავის გვარს, ენას და მამაპაპათა ხსოვნას და მის სიყვარულს.

ბევრჯერ გვითქვამს და აქაც ვიტყვი, რომ ქართველ კაცს არა აქვს თავის საგვაროვნო ეკლესია, სარწმუნოება, თავის საკუთარს აგებულებაზედ დამკვიდრებული ძალა. ქართველი ერი ხან ერთის ერის უცხოების საკუთრებას ითვისებდა და ხან მეორესას, ყოველს შემთხვევაში კი მისთვის არც ერთი შთებოდა ფარსაგათ და არც მეორე, ერთიც ხელს ავლებდა და მეორეც. ქართველმა მიიღო მართლმადიდებლობა და მის მეოხებით იგი ძველადგანვე გვაროვნობითაც დაუკავშირდა მათ და უკანასკნელ ასეთის დაკავშირების საშუალებით გადაგვარდნენ კიდევ. გარდა ამისა ქართველმა მიიღო მუსულმანობა, დაუკავშირდა თათრის ტომის სარწმუნოებას და მის საშუალებით და ზეგავლენით მან დაკარგა თავისი ყოველივე გვაროვნების და ენის და მის მაგიერ შეიკავშირა თათრის წესი, ზნე, ჩვეულება, ენა და თვისებაც კი. თავის მამაპაპათ მტრათ აღმოუჩნდა და მით ოთხი წილი ქართველობის დღეს გათათრებულია ყველაფრით. ესეთია ქართველი კაცის თვისება, ასეთი დუნია მისი ბუნება.

და იგი დაკარგვის გარეშე სხვაგან ვერსად იჩენს ძალას. ქართველმა მიიღო კათოლიკობა და მითაც არ დარჩა იგი ქართველათ, ერთმა ნაწილმა კათოლიკობის მეოხებით ჰაოსიანური ენა შეითვისა; მეორე ნაწილმა თათრული და მესამემ ქალდეური. ქართველი დაუკავშირდა გრიგორიანობას და უნდა ითქვას, რომ არც ამით იქმნა იგი განრინებული და მორჩენილი გვაროვნულის გადაყლაპვისაგან. დღეს მეტად დიდი რიცხვი ლაპარაკობს ქართველი ჰაოსიანურს ენაზედ. ქართველი კაცი სადაც კი წავა და იმ გადასახლდება, უსათუოდ იქ მოიკიდებს ბინას, იქ გახდება მისი სამშობლოს მთა-ბარი და მის მამაპაპათა მოსაგონარი ყოველივე კი განელდება, გაქრება და მით დავიწყებას მიეცემა. ესეთი მიდრეკილება დღეს ქართველებს ცხადათ ეტყობათ. დღეს ქართველნი ამბობენ თამამად: — «სამეხმა ჩმალი აილა, ქარაველმა სომხის დაფთარი». ეს იქმნება ზოგიერთმა კიცხვით მიიღოს, ჩვენ კი ქეზთ მივითვლით, სწორეთაც ასე უნდა იყოს, დროა უკვე რომ ქართველმაც თვალი გაახილოს, აიღოს ხელში სავაჭრო დავთარი და მის გზასა და კვალსაც შეუდგეს. დღეს ეს დავთარი და ანგარიში გახლავს ბევრისთვის. ცხოვრების ასპარეზზედ იარაღად გამხდარი, უამისოდ ჩვენი დაწინაურება ერთის მხრით შეუძლებელიც გახდება. დავთრის აღება კაცს არას აწებს, თუ ის თავის ეროვნულის დედა ჰაზრებით მტკიცეთ დაშთება, არსად და არას დროს თავის ვინაობის ხსოვნას არ დაჰკარგავს, უამისოდ კი კაცი რა უნდა იყოს ან იგი რას უნდა წარმოადგენდეს, არაფერს. დღესაც, თვით შუაგულ ქართლში, გრიგორიანთ სარწმუნოების მექონნი ქართველნი მოიძულებენ თვით ქართულს ენას და მის მაგიერ იწყებენ მათთვის უცხო ენაზედ საუბარს. ამასაც არ კმარულობენ და თვით ქართულს ენაზედ წერას, ან კითხვასაც აღარ სწავლობენ. საოცარია მეტად და მასთან სამწუხაროც, რომ შიგ შუა გულს ქართლში ნახავ ისეთ ქართველ ძირეულ გვარის კაცს, რომელმაც ქართული კითხვა არ იცის, ქართულის კითხვის გარდა რომ სიტყვა იყოს, მა-

შინ აღმოჩნდება, რომ მან ქართულ ენის გარდა სხვა ენა არც კი იცის, მაგრამ როცა კითხვა ჩამოვარდება, მაშინ ის თავის თავს სხვა გვარისად აღიარებს, ქართველობის მას არაფერი სწამს, როგორ არის ეს და რანაირად მოსდის მას, უმეცრებით თუ მეცნიერულად, ამაზედ ჩვენ არას ვიტყვი, აქ საქმე ისარტოდ ფაქტის, ანუ გარემოების პირობათა ანუსხვას შეეხება. ერთს ასეთს მთავარს საყურადღებო საგანს წარმოადგენს ქართლ-კახეთ-იმერეთის და მასთან მთელს საქართველოში მცხოვრებთ იმ შკვიდრთ ქართველთ საქმე, რომელთაც შთამომავლობა ქართველ გვარს ეკუთვნიან, ხოლო სარწმუნოებით გრიგორიანობის, რაის საშუალებითაც გონი უკანასკნელ გვარიდამ გარდამავლობას სჩემობენ და ქართველობის უარყოფას, რასაც თვით მჯთი ეკლესიაც უწყობს ხელს.

ზ. ჭიჭინაძე.

(შემდეგი იქნება).

# ს ა რ კ ე

## გურულთა ცხოვრებისა

ანუ

გურულთა დახასიათება-ჩვეულებანი მოკლე ნაწყვეთებით.

შეუძლებელია, რომ გურულმა შვილი სწავლაში არ გამოზარდოს და მასთანავე ცრუ-რწმენაც არ აესრულებინოს და მორწმუნეც არ იყოს.

გურულმა მანდილოსანმა ასჯერაც რომ დაიბანოს პირი და ზედ ათასი კოკა წყალი მიილიოს, არ იტყვის „პირი დავიბანეო“; ამას მხოლოდ მაშინ იტყვის, როდესაც თან ფერუმპარილსაც წაიცხებს პირისახეზედ.

მეზობლის ვაკეთება (გამდიდრება) გურულს თავში ელდასა სცემს, ისე ეწყინება; მისი დაცემა და გაუბედურება კი გაახალისებს ათასი მანეთის საჩუქარსავით.

გურული მტრის საწყენათ თავის სარჩო-საბადებელს გადასდებს; ამით დაჩნეული ზარალის გასაქარვებლად კი მხოლოდ ამას იტყვის: „აფერია!.. მეც... მარა მასაცაო“.

ძველათ ქართველები საზოგადოთ თავის ქალიშვილებს მზვითევეში ვეფხის-ტყაოსანსაც თან ატანდნენ, ეს ჩვეულებათა ჰქონდათ; გურულები კი, დღეს ისე არ გაათხოვებენ ქალს,

რო მზითვებში ექვსი ვენის სკამი კარგი კამოდითურთ თან არ გაატანონ, ეს მოდათაა ახლა; ამ ბოლოს დროს სამოვარიც თან დაამატეს, რაიცა, მგონია, ჩაქვის ჩაის პლანტაციების გაუმჯობესობამ გამოიწვია მათში. მოყვარემ თუ მიუკლო უკანასკნელი, ქალის წამყვანი შეუთვლის: თუ „საომარსაც“ არ მიგზავნი, შემომითვალე, ვარს ვჩივი ყოლიფერზედ, აღარ მიმყავს ქალიო.

გურული ქალის და ქალი კი კაცის იმ ზომს ტრფიალია (არშიყია), რო ყოვლიფერზედ მალლა. ამას აყენებენ, მარა მასთანავე არც ის ავიწყდებათ, რო სწავლა პირველია ამ დროში და მას სჭირია უპირველესი აშიყობა.

გურულს ლუკმა მქადიც რომ არა ჰქონდეს, ის მათხოვრობას მაინც არ იკადრებს, თუნდაც კოლშვილიც სიმშლით ეხოცებოდეს; ამის გაბედვას ქურდობას უფრო ამჯობიანებს (უკანასკნელ გასაქირში).

გურული ხშირად კაცის მოკვლას ბოლოკათაც არ აგდებს; — „ერთ ღღეს დაბადებული, ერთ ღღეს უნდა მოკვდესო და სირცხვილს სიკვდილი ბევრად სჯობიანო“, — იძახის იგი. ამისათვისაცაა, რომ გურული ფირალი (ყაჩაღი) თუ დამარცხდა მადევართაგან, ხშირად თავს აკლავს მათ, რადგანაც იგი სირცხვილფეულობს ცოცხლად დაჭერინებას (დანებებას).

მტრობის გადაუხდელობას გურული, დიდი იქმნება თუ პატარა, საფლავში არ ჩაიტანს; იგი ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა აწყინოს მტერს, რომ დაიმშვიდოს მტრობისაგან აშლილი ნერვები, ე. ი. სისხლი სისხლით მოსისხლოს და ჯოხით დასირცხვა ჯოხითვე დაასირცხვოს ზედ ნადებით, რასაკვირველია; ამიტომ ბევრათ სჯობიან სხვაგან ათასი კაცის გადაკიდება, ვიდრე აქ ერთი გურულისა.

გურულს სული ცხვირში აქვს და სისხლი თავში; როცა განრისხებულა, იმ წამს არავითარ ავობას არ ზოგავს იგი, თუნდაც თავის ოჯახში იყვეს მშობელ-და-მამა-ცოლ-შვილთა შორის; დარტყმა, მოკვლა და მასთან უსიამოვნება აუცილებელია (დიდი იყოს თუ პატარა—ეს სულ ერთია); ამისათვის ერთმანეთს უფრთხილდებიან და ცხოვრობენ მშვიდად.

გურულს ათასი მანეთის ზარალი ბევრათ ურჩევნია, ვიდრე სტუმრის პატივის-უცემლობა და მითი თავის მოჯაყვა (სირცხვილი).

გურული, რაც უნდა დიდი სიღარიბე აწუხებდეს, აღდგომა-კალანდას (ახალ-წელიწადს) თავის ცოლ-შვილით მაინც ახალ ტანსაცმელით მოირთობა და ეკლესიაზე ისთე გავა, არც დღე-ობისა-და-გვარ ჩვეულებრივ მომზადებულ საქმელ-სასმელს მიიკლებს და არც გამოაწყდება მეზობლებში, სულ რომ ივალ; ივახშოს, და ამ გვარად საუფლო დღესასწაულებსარ უღალატებს იგი შესაფერი მიგებებით არასოდეს.

გურული (კაცი იქნება თუ ქალი) თავს გადააყოლებს თავის პატივის-მცემელსა. იგი ყოველთვის მზათა სამაგიეროთ ერთი ათად გადაუხადოს თავის მასიამოვნებელსა მითი, რითაც მას უსიამოვნებია; ამ გვართ გურული სხვისს პატივის-ცემას არ შეიშრობს არას დროს.

უცხო სტუმართან თათრის ქალსავით იმალება ახალგაზ და გურული ქალი საშინაო ტანსაცმელში; როცა საგარმელო ტანსაცმელშია იგი მოკვანწული, მაშინ კი თამამად ღობეზედ შეიმალლებს (გამოიაშკარებს) თავს ხალხში.

გურულს თავის ნაკლულეგანებას ნუ გაუმხელ პირში და ნურც დაუმალავ იმის სანაქებო თვისებასა, რითაც იგი ამა-

ყოფს, რვარა წინააღმდეგ შემთხვევაში დაგემდურებათ, იმ ზომს ეწყინება, რომ შეიძლება მტრობაც გაგიწიოსთ.

გურულს სირცხვილის ქამა სიკვდილსავით ემძიმება — თავმოყვარეობა იმდენად განუსაზღვრელი აქვს მას; ემიტომ პატარა გურულიც სირცხვილეულობს უსწავლელობას; როცა იგი სასწავლებელშია და მისი ამხანაგები სწავლობენ, ესეც სკდილობს, რომ არ ჩამორჩეს და უკეთაც ისწავლოს მათზე, რითაც თავს ისახელებს.

გურული სასიკვდილოთ მიმდგარს თავის ავთამყოფს იმდენათ წამლით ვერ მოუოხებს შეწუხებასა, რავდენათაც ჩეგურზედ ნელ-ტკბილის კვრითა და ზედ წყნარის ლილინით გაახალისებს მისუსტებულს მომაკვდავსა.

ბევრს გურულს თავმოყვარეობა იმ ზომს აამპარტავენებს, რომ ხშირათ სიბრიყვეთ ექცევათ ეს სენი, რომლით დიდათ ზარალობს კიდევ, მაგ., მიაქვს გურულს თავისი ნამუშავარნაწარმოები ოზურგეთში გასასყადად, რასაკვირველია, გასაქირში, თვარა, რომ არ უჭირდეს, სრულიათაც არ იკადრებს ამას. ხშირად მალულად მიაქვს გასასყიდი, სიმინდი იქნება, ქათამი, კვერცი თუ რაც .. მალულათ იმიტომ, რომ სირცხვილეულობს ამის გაყიდვას. მის და ბედად თუ გზაშივე შეხვდა მუშტარი ქალაქში მისვლამდის, ბარე ორი ჰერანგის დასასველებელს სირცხვილისაგან მოსადგომს ოფლს ასცილდება, თუ არა და ისევ იმ სირცხვილის ოთფლის ლუკმა ხდება, რომელიც მას მოადგება საპარასკეოში მუშტრის წინ. სიჩქარეში ხშირად იაფად ჰყიდის, რადგანც სირცხვილობს ნაცნობმა ვინმემ არ შეასწროს თვალი (რო იგი ქათამს და კვერცხს ჰყიდის). ცოტას რამის გაყიდვას იგი დანაშაულსავით სთვლის. ხშირათვე გესმისთ ამ ნაირ გამყიდველთაგან, რომ ჩემი არაა, მებობელმა გამატანაო და ვერ მოვეუკლებ ფასსო, ასთე დამი-

მოწმესო, ვითომ, ამით იათად არ ჰყიდის და დიდს დანაშაულობასაც იქავერებენ — მართლდებიან მუშტრის წინაშე, რომ მართლაც მეზობლისაა, თვარა იგი პატიოსანი კაცია და რაღა იკადრებს ამისთანაების გაყიდვასა... ზედვით კიდევ ურმით შეშას, რომელიც უპატრონოთ დგას ქუჩაზედ და გამყიდველი კი შორი-ახლოს იკუნცხება; თუ ნაცნობი მივიდა შეშასთან სავაჭროთ არ გამოჩნდება მეურმე, უცნობთან კი ფეხის თრევით მიუახლოვდება ურემს და ისთე ევაჭრება, მარა, რასაკვირველია, ვერც ამას გაჰყიდის ღირებულ ფასში, რადგანც აქა-იქ გვერდულეზ იცქირება — ნაცნობმა არ მიუხსწროს და არ გაიგოს მისი დანაშაულება, რომ იგი ურემთან დგას და შეშას ჰყიდის. შეიძლება ვაჭრობა და სირცხვილი?!

გურული სიტყვა-მოსწრობილია ყოვლიფერში, კანტონერი და თამამი.

1) — «გააგდეთ კარშიო», — დაუძახა მოსამართლემ, როცა ნაცვლათ ორი სიტყვისა, გურულმა მთელი ისტორია დაუწყა მოსამართლესა; მარა მან შემდეგი პასუხით დაასწრო მოსამართლესა: «გამაგდონ, რაღა, კუნტი კი არა უარ, ჩემით ვერ გავალ თუ!».

2) სკოლის ბოვშესა ჰკითხეს: «ძველი მასწავლებელი ჯობდა, თუ ახალი სჯობიანო?»

— «ახალი სჯობიანო», — მიუგო ყმაწვილმა.

— «რატომ?» — იმიტომ, რომ დღეს იგი გვასწავლისო — მიუგო შვიდი წლის ბავშვმა.

3) გასათხოვარს ჰკითხეს: «ქმარს თუ წაჰყვებიო?» — «რეიზა არა თუ კიმემსახურებო!»

— «რითი უნდა გემსახუროს?»

— «მითი, რომ კაი-კაის მიყიდის და ჩამაცმოვს, მე რომ მინდა სულ მთლა იმფერ კაბ-კაბებს, ტუფლებს, კალოშებს, ცახოცს, ჩემი ბატონი ხარ, და ცივ ჭადსაც კი მაქმევსო», — მიუგო ცოცხლათ 17 წლის ყმაწვილმა ქალმა.

გურულს თავი ყველას ურჩევნია, შემდეგ კი თავისი ცოლ-შვილი მიაჩნია. ამისათვისაც თქმულა აქ: «დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს, თავი ყველას უკეთესათ» ან:

„ჯერ თავო და თავოო,  
მერე ცოლო და შვილოო“.

სხვაგან კი ასეთე არ სჯიან:

„დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს,  
თავი ყველას მირჩევნია,  
მაგრამ ერთი უცხო შვილი  
მთელ ქვეყანას მირჩევნია“.

სადაც წახვიდე იქაური ქული დაიხურეო, — ტყვილად არ უთქვამს ეს ხალხს; თუ გურულსი ზნე-ხასიასი არ იცის უცხო კაცმა, თავს ვერ გაიტანს გურიაში, რადგანც არ იცის რა ეწყინება და რა იამება გურულს; თვითონ კი უნდა ფრთხილო ბდეს, საწყენი არ შეახოს ვინმეს, რომ იმ საწყენით კუჭი არ მოუყვანოს, რომელსაც ცული შედეგი ექმნება (ეს უკვე წინწინვე მოვიხსენეთ). ამიტომაცაა, რომ გურიაში მარტოდ გურული სცხოვრობს და სხვა ხალხს კი (მაგ., კომებს, ურიას და სხ.) მოკლებულია. აქედგან უნდა ვიგულისხმოთ, რომ გურული სხვა ხალხს ვერ იცდის (ვერ გაიტანს).

გურული ქალები აშლაში ხშირად წასძახავენ ერთმანეთს (თუ შეწამებულის) თავიანთ დანაშაულობასა, მარა თავს მაშინვე იმართლებენ და გაუსწორებენ სიტყვას: «მისთანა რ მიქნია, დედა-კაცო, რა სხვას არ ექმნას, რაღაის შემრცხვებოა».

არა-გურულს სამი წლის გამოცდილებაც კი ვერას უშველის-რა თავისი კარგი ნაცნობის გურულსი ავ-კარგიანობის გასაცნობათა; ხოლო გურულსა სამი ნახვაც დაარწმუნებს ნა-

ცნობის არა-გურულის ხასიათსა, ავია თუ კარგია; ამას მალე გაუგებს იგი; ხოლო თავის ხასიათსა კი ადვილათ არ ამცნებს სხვასა ხრიკით მოხრიკულ-მოხერხებული გურული.

თუ გსურთ მიგიჩინოსთ გურულმა ქალმა, საკმარისია შე მდევით მიეფეროთ: ოჰ, რა ლამაზი ბრძანდებით... ჯერ კიდევ რეგვენე (ახალგაზდა) ბრძანდებით. (მის წლოვანებას რო შეატყოთ, ათი-თუთხმეტი წელიწადი დაუკელით, ამდენის იქმნებით და მეტის კი არათქო.) ჯერ კიდევ ბალანაი ქალი ბრძანდებით... მომწონხართქო, საშინელება ბიჭები გყავთ, მეტად სამარგალიტო ვინმე (სამაგალითო) და მიხთანობა.

გურულს მარხვის ქამა უფრო ეძნელება, ვიდრე კაცის მოკვლა.

გურიაში კეთილ-შობილი და გლეხი ერთნაირად ცხოვრობს, ამიტომ ვერ გაარჩევთ, ვინ რომელია; ამას გაიგებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც გლეხი იწვევს მემამულე თავადი-შვილს და ეუბნება: «მიიღეთ თქვენი საყანულიო» (ღალა).

გურული ყოვლისფერში პირადია და არ უყვარს დაფარული და დაზეწრული, სულ ნათელი და ცხადი ურჩევნია მას. ამისათვის აქ სიყვერულიც ნაღია და არა დაფარული. გიყვარს ვინმე, მიყვარხარო, — უნდა გაუტყდეთ და იგიც მასვე გაიძახის — მიყვარხარ და მიმაჩნისხარო.

გურული ფიცხია, მარა ნათქვამზედ კი მტკიცია, ავს იტყვის თუ კარგს საზოგადოებაში, კიდევ აასრულებს, საჯაროთ ჭირცხვილს არა სჭამს, ამისთვის ენდევით ასეთს ნათქვამზედ.

ყველა პროვინციების საგუბერნიო ქალაქებში აქვთ: ბანკები, სააქციონერო ამხანაგობები, ფაბრიკები, პროგიმნაზია, კერძო სასწავლებლის სიმრავლე, ჰყავთ სამუდამო სცენის მოყვარეთა დასები და მისთანაობა. გურულის პროვინციას კი ყველა ეს თავის პაწაწა ქ. ოზურგეთში აქვს, სადაც ოთხი ათას მცხოვრებელს არ აღემატება; კომერცი-ეკონომია, სწავლა-განათლება და ხალხის საკეთილ-დღეო მოძრაობა სუფევს, ეს იქ, იმ პროვინციაში, სადაც ოთხმოც სასოფლო-სამრევლო სკოლებს (რომელთა შორის ოცდაათზე მეტი ორ-კლასიანია), ოცამდი სამკითხველოს, 4—5 ამხანაგობას, სამ-ოთხ აფთიაქს, ათს სასოფლო ბანკს და სხვ. აღემატება საქართველოს ამ პატარა კუთხეში, სადაც [ოთხმოც-ათას მცხოვრებს არ აღემატება და კიდევ სხვადა, ბევრი საუკეთესო დაწესებულება, რომელიც სხვაგან საქართველოს კუთხეებში ჯერაც კიდევ მოგონებულიც არაა.

გურული ყველა მჭერ-მეტყველია და თავის საქმეებს ბევრი თვითონვე იკავს სასამართლოში. ამიტომაც ნაფიც ვეჭილებს გურიაში აფერი მნიშვნელობა არა აქვსთ; ან რატომ ექმნებათ მათ მნიშვნელობა, როცა უმათოთაც კარგათ აგზავნიან საჩივრებსა თვით უუმალღესს მართებლობასთან, რაიცა ნათლად გვიმტკიცებს სამინისტროს ძველი არხივები, რომელიც თურმე სულ სავსე ყოფილა აქაურელების დაბეზლებით.

გურული ხალხი ქართველ ყველა ტომზე მალლა სდგას თავისი სიკოჩალით: იგი ბევრად ცოცხალია მათზედ, არის მტკივტი, მხნე, მარდი, მოხერხებული, ზრდილი და თავ-მოყვარე; არის ეგრეთვე მჭერ-მეტყველი, ჭკუა-მახვილი, სიტყვა მოსწრებულ-მოწონებული და შესახედათაც ლამაზი. მისდევს სწავლა-განათლებას. როგორც კარგის, ისთე ავის თვისების მიმდევარიც არის, მარა ყველა ეს, წარმოდგარი მისი მხნე-

მარდობით (ყოჩალობით) და არა სიძაბუნით, როგორც, მაგალითად, ქართლელს შესისხლ-ხორცებული აქვს ეს. გურული მოძრავია, გამქანვარე, როგორც მჩქეფარე წყალი. ამისათვის ცხოვრება გურიაში უფრო ცოცხალია, ვიდრე სხვაგან საქართველოში. ამ სიცოცხლით აიხსნება, რომ გურიაში ასეა სწავლა-განათლება მოფენილი. აქ ნახავთ ბევრს ნასწავლს და სწავლის მადევარს. აქ გახსნილია ბევრი სკოლები, როგორც ერთ-კლასიანი, ისე ორ-კლასიანი, სამკითხველოები, სოფლის ბანკები, საკომერციო ამხანაგობები, ქარხნები ადგილობრივ ნაწარმოების დასამუშავებლათ. იმართება ხშირათ აქ წარმოდგენები და სხვა გასართობი საღამოები, მართავენ მეჯლისებს და მისთანა საზოგადო კრებებს. სხვა და სხვა საჭირო დაწესებულებათა დასაარსებლად, სადაც დედანიც კი იღებენ მონაწილეობას სჯა-კამათში. რასაკვირველია, ყველა ეს თავიანთ ცხოვრების გასაუმჯობესებლად ხდება; გავრცელებულია აგრეთვე მოდებზედ ჭრა-კერვა, როგორც პარიზის, ისე ნაციონალურ გემოვნებაზე; გემოზედვე იციან სმა-ქამა, წვეულება, სტუმარ-მინძლობა და სხვა. ერთი სიტყვით, აქეტყობა ხალხს ცხოვრება ევროპიულ ჰანგზედ. „შენ ბატონი ხარ“, „მე თავადი შეილი“, „იგი ყაზახი“, აქ არ სუფევს, რადგანაც გავრთებულია ცხოვრება.

გურული დიდი თავ-მომწონეთაა, როდესაც თავისი ლამაზი ქალი (ცოლი) გვერდით ახლავს ჯარში. თავის მეტი აღარ ჰგონია მას, თუ სულს სხვაც კი ითქვამს იქ იმოდენა აუარებელ ხალხში.

სანაქებოა გურიაში, თუ უზომო ხარჯი მოახდინა მინძელმა ტირილ-ქორწილში, ისეთი, რო წვეულნი სულ იმას იძახდნენ ყველგან: «ავაშენე მისი ოჯახი, ცოფერი ბროვეული ჰქონდა, კაძახიც იგი მითხარი, რომ მისთანაპურ-ღვინო ეცოდინებოდა», ამ სიტყვებით, რომ გაისტუმრებს კმაყოფილს სტუ-

მრებს, მაინძელი მეტის სიამოვნებისაგან აღარ ეტევა ტანში და ჰქრთის აღმა.

ამისათვის მიღებულია საზოგადოთ, რომ ყველა ცდილობს, რაც შეიძლება კარგი პატივი სცეს სტუმრებს და ასეც დეს უპურღინობას, რითაც ერთს ათად მოუმატებენ და საქვეყნოთ გალანძღვენ წვეულნი: ღეიფსო მისი ოჯახი, არა ჰქონია-რა კაძახს მომზადებული და რაღაიზა გვიპატიებდა... დედო ქვესკნელში უნდა იყვეს მაგისთანა ბინძური კაძახი, არამცდა ზეზე არ დაიარებოდესო... ამისთანა უწმაწური სიტყვებით გამოლანძღავენ მადლობის მაგიერ მაინძელს, ამისათვისაა მიღებული გურიაში კარგი მაინძლობა და საუკეთესო პურ-ღინო.

გურული მანდილოსანი ზარმაცია ოჯახში, იგი როცა მოითავებს საშინაო საქმეებს (სადილ-ვახშმის გაკეთებას, დაწმენდა-დასუფთავებას და ქათამ-ლორის დაპურებას, მაშინ იგი ხელ-პირ დაბანილი (რასაკვირველია, ფერ-უმარლით შეტატული) წამოჯდება პარმალზე (ბალკონზე) და გამვლელ-გამომვლელს შარაზე უცქერის დროს გასატარებლად, ან არა და მეზობლობაში ქორების არხივს ჩხრიკავს და მით ერთობა, როცა სხვაგან ქართველი ქალები ამისთანა დროს წინდა-პაქიქს მაინცა ქსოვენ თუ სხვა საქმე აღარ დაუჯდათ და ასე უქმათ კი არა დროს არ დაკარგვენ დროსა.

საშინლად სძულთ ლამაზი ქალი მეზობელ ქალებსა, როდესაც მას (ლამაზს) ბევრი ტრფიალი ესევა გარშემო და უფრო კი უყვართ ულამაზო და მახინჯი, რასაკვირველია, რომელთაც სრულიათ არავენ ეტრფისთ.

სკოლიდგან შინ მოსულმა შვიდი წლის ბავშვმა დაიქა-  
დნა: «მასწავლებელს ტუკით დაუხვედები შარაზეო!».

— «რაიზა, ბიჭო», — ჰკითხეს უფროსებმა.

— «რეიზა და მთლა თმადი ამაქიზა თავზეო და სირცხვი-  
ლი მაქამა ბაღნებშიო».

მესხი კონსტანტინე გვარამაძე.

# ათხაზთ გმირი აბრასკილი.

(ძველებური ამბავი).

ჩემს შვილს შალიკოს.

## I.

ძველად, ერთხელ, როს ბუნება  
მრავალ ფერად მოკაზმული,  
ვარდი შლილი და ხეხილი  
გულ-გახსნილი, გაფურჩქვნილი,  
მცენარენი, ყვავილები,  
მინდორი და ტყე და ველი  
საამოვნო სუნს აფრქვევდნენ  
და სტკებოდა დამყნოსველი,—  
იმ დროს ძველი მონასტრის კარს  
იყო ქალი გადმომდგარი:  
მშვენებითა საოცნებო,  
მომხიბლავი, მზისა დარი,  
ანდამატებრ მიმზიდველი—  
გიშრის თვალი, სახე, ყური  
და შავი თმა... ნარნარებით  
ხელში ეპყრა მას ფანდური.  
მას უკრავდა, თან ნაზის ხმით  
დამღეროდა ტკბილს ჰანგებსა.

შეამკობდა ღმერთს, ბუნებას,  
 ხე-მცენარეთ, ყვავილებსა;  
 უგალობდა სამადლობელს  
 ზეციერის ძალს, ნებასა  
 და მისი ხმა საკმეველად  
 ეკმეოდა განგებასა...  
 ის ბუნებას, ბუნება მას,  
 ორივე ერთად შემოკმედსა  
 მადლს სწირავდნენ, უმადლიდნენ  
 თავის ხვედრსა, კუთვნილს ბედსა...  
 მის სიმღერას არემარის  
 ყველა არსი ბანს აძლევდა:  
 ხე, ჩანჩქარი და მდინარეც  
 ჩუხჩუხითა ყურს ატკობდა,  
 გორა, მწვანით შემოსილი,  
 ტყე-ფერდობი... შორს მდებარე  
 მოსჩანდა ზღვა, მის ტალღები  
 მშვიდათ იყო, უმშფოთვარე...  
 საამოვნოთ იფრქვეოდა  
 ყვავილების სურნელება  
 აამებდა ყნოსვას, სმენას  
 ბუღბუღლთ სტვენის ხელოვნება...  
 სკვრეტს ასტანა, — ასე ერქო  
 ქალს სახელად, — ყველა იშვებს...  
 მას კი გულში დიდი ღვარძლი  
 არ ასვენებს, არ აძინებს...  
 ჰა, ეღირსა... დაეძინა.  
 ედემ-ბალში ჰგრძნობს თავის თავს...  
 ტურფა სახის, სხივოსანი  
 ანკელოზი ადგა მას თავს...  
 — ხელ დილაზე, ღვთის განგებით,  
 გეყოლება ვაჟი შვილი,

ათხაზთ გმირად შეიქმნება, —  
 მის სახელი „აბრასკილი“...  
 გაეღვიძა... ჯერ სიბნელეს  
 ხელში ეპყრა კლდე-ღრეები,  
 მხოლოდ აქ, იქ გამოსჭვრეტდენ  
 ცის წყვილიადმი ვარსკვლავები...

II.

ღამე იყო... არიურაჟდა...  
 აუცხადდა ქალს ზმანება,  
 ეყოლა მას ვაჟი-შვილი  
 საარაკო რამ ქმნილება.  
 მზის სხივებმა აუხილეს  
 ჩაჭვრეტითა ყრმას თვარები,  
 სიგმირესა ულოცავენ  
 ზღვა, ხმელეთი, ცა, ღრუბლები.  
 გაუხარდა დედას, შვილი  
 აკვანშია ჩააწვინა,  
 გაღუჭირა არტახები,  
 მიუჩინა ბავშვს მუნ ბინა.  
 მაგრამ დახე სასწაულსა,  
 შვილი დედას ეუბნება:  
 „დედავ, ხელებს რისთვის მიკრავ,  
 ყრმა-შვილი არ გებრალემა?!  
 ნუ შემბოჭავ, მსურს ვიზარდო  
 თავისუფლად, ნაზად, ლალად!...  
 დედას შვილის სიტყვა უკვირს...  
 იღებს ფანდურს დამღერს ტკბილად ..  
 და ბავშვიცა, ბადრი მთვარე,  
 საათობით იზრდებოდა;  
 სახით, ტანით და იერით

დღე-დღეობით მშვენდებოდა:  
 ხუჭუჭა თმა, დედის მსგავსი,  
 ელვებრ მკრთომი მის თვალები,  
 ვაჟკაცური გული, მკერდი,  
 შეწყობილი ზედ ხელები...

ათი წლისა რომ შესრულდა,  
 შეირბინა იქ ტყის პირა  
 და შინდისგან გამოიწყო  
 მშვილდ-ისარი... ინადირა,  
 ნანადირით დედის გული  
 გაახარა, გააცვიფრა,  
 მაგრამ შვილის ქაბუკობამ  
 დედა დიდხანს არ ახარა.  
 საათები გარბიოდენ  
 ყრმა-ქაბუკსა, აბრასკილსა,  
 მიიზიდავს სხვა მიზანი,—  
 ეუბნება თვის დედასა:  
 „დედაჩემო, ხმობილი ვარ  
 სამშობლოს დასახსნელად;  
 ვალი მიწვევს, დეე წავალ,  
 მსურს შევიქმნე ხალხის გმირად,  
 შენც დამლოცე... აწ მშვიდობით!  
 დედა სწუხს და იმდულრება...  
 ხელს არ უჭერს... განგებასა  
 მის მხნეობას ევედრება

### III.

მიატოვა შეილმა დედა...  
 გადიარა მან სოფლები,  
 მიმოვლო და ყველგან ნახა  
 მინდორი, თუ ტყე-ველები.

ხედავს, ბალახს მოჰრევია  
 მავნებელი რამ მცენარე,  
 ყანას სინჯავს,—დაგებულული,  
 მოჰრევია გვიმრა მწარე,—  
 გადალახა, გადაკაფა  
 ხე, მცენარე მავნებელი.  
 ხედავს, ტყეში დაწანწალებს  
 მავნე მწერი და ცხოველი,  
 სტყორცნის ისარს, სპობს და სრესიჟს  
 მტაცებელთა სწყვეტს ჯილაგსა,  
 ყვავ-ყორანთა, პირ-მყრალეების  
 ანადგურებს სინსილასა.  
 ხედავს სოფლებს, ცუდ მოხელეთ  
 ხელთ უპყრიათ, სწეწვენ, ჰგლეჯენ,  
 მრდგომით და ქრთამებითა  
 საქმეს ბჰობენ, სამართლობენ.  
 მამასახლისს, ნაცვალს, გზირსა  
 ჩაუვლიათ ბრუნდე ხელი  
 და ჩარჩიკა მათთან ერთად  
 სოფლის მთხრელი, სისხლ-მწოველი,  
 ქერა, თვალ-ჰრელ მცხოვრებელნიც,  
 ბოროტებით აღვსილები  
 მოსდებიან შიგ სოფლებსა  
 როგორც მავნე აფსულეები...  
 იმათ გმირი ასამართლებს,  
 დამჩაგვრელებს ანადგურებს,  
 ყველას თვისას მიუზღავს და  
 მათში წესებს სწორს ამყარებს.  
 ჰხედავს მდიდრებს, ლარიბებსა

სტანჯავენ და მწარედ სჩაგვრენ,  
 ქვრივ ობოლთა უმწეოთა.  
 ადამის ძეთ არ სახავენ...  
 ყველგან ცრემლის გუბეები,  
 აქ ტირილი, იქ ხარხარი,  
 აქ ცოლ-ქმარი უძრახავი,  
 იქ ძმა-ძმაზე საკვლად მდგარი...  
 თვითნებათა სტუქსავს და სჯის,  
 ქვრივ ობოლთა კი მფარველობს,  
 ცოლ-ქმრისა და ძმასთან ძმისა  
 შერიგებას თვითვე სცდილობს...

## IV

შიიწვიეს სხვა მთავრებმა,  
 გაეცნენ და თვით გაიცნეს,  
 ჯარი, ხალხი, დიდი, მცირე  
 უკვირდება მის სიმშვენეს.  
 ყოველ კუთხივ შეიკრიბნენ,  
 გაუმართეს ნადიმობა,  
 მოილხინეს... იქ შეკრებილთ  
 სჯობნის მისი ვაჟკაცობა.  
 ჰკვირდებიან იმ ყრმის ფარის  
 და შვილდ-ისრის მოხმარებას,  
 აღიდებენ, შეამკობენ,  
 შეასხავენ ქებათ-ქებას.  
 რა შეატყეს სიჩაუქე,  
 აირჩიეს მმართველ მთავრად,  
 მოწიწებით მორჩილებენ,  
 ეპყრობიან ღირსსა ღირსად.  
 ქვრივ-ობოლი, დაჩაგრული,

ლატაკი და მწირ-შიშველი,  
 შეივრდომა დიდ სულობით  
 და გაითქვა მით სახელი.  
 თვის ქვეშევრდომ-მცხოვრებლებში  
 ქალს ოცნებით გატაცებულს  
 მოესმის ხმა ჩვენებისა:  
 „იმისთვის, რომ უტურფეს ხარ  
 თვით ამ ტურფა ბუნებისა,  
 მოიპოვა სიყვარული,  
 მტრებსა კია შეანანა  
 საქციელი ვერაგული...  
 ველარავინ უბედავდა  
 აფხაზეთსა გადალახვას,  
 მტერი ახლოს ვერ უვლიდა  
 თავისუფალ ერს-ქვეყანას.  
 გაიფურჩქნა მის ბუნება,  
 მატულობდა მოსავალი,  
 უხვს ბუნებას მადლობითა  
 დასცქეროდა ღვთისა თვალი.  
 და სუყველა შვებას ჰგრძნობდა,  
 გასწყდა ბოროტთ კაცთ ხსენება,  
 ჩამოშორდა ქვეყანასა  
 ავი ხელი, ბიწი, სნება...  
 შორს გაითქვა კილით-კიდეს  
 აბრასკილის ვაჟკაცობა,—  
 უცხო მთავართ და მეფეთა  
 ესურვათ მის დამოყვრობა.  
 უგზავნიდნენ დესპანებსა,  
 ხეცსა, მდიდარ საჩუქრებსა  
 და გმირისა შესამკობლად

თან ატანდენ მათ მგოსნებსა.  
 მგოსნებიცა, ხმა შეწყობით,  
 აღიდებდნენ აფხაზთ გმირსა:  
 ვინ ლექსებით, ვინ ფანდურით,  
 ვინ უკრავდა წინწილ-სტვირსა.  
 აღგზნებულნი, მხიარულნი,  
 აღარებდნენ იმ გმირს მზესა,  
 რომელიცა ყველა არსსა  
 უხვათა ჰფენს აფისს სხივებსა...  
 თან ლექსებში ნაკობდიან  
 აფხაზეთის ტურფა მხარეს:  
 „ღღე დაუდგა მზიანიო,  
 ვერვინ ნახავს აწ მწუხარეს“  
 ერის გმირის შესხმა, ქებას,  
 ხალხი ზეპირ ატარებდა:  
 ლხინში, ჯარში იმღერიდენ,  
 სადაც როგორ მოხდებოდა,  
 ხშირად მწყემსი სალამურით  
 მთა და ბარსა გასძახოდა, —  
 გმირობასა დიდის ქებით,  
 თვის მომღვენოთ ანდერძობდა.  
 სად არ იყო გმირის ქება:  
 მდიდრებისა დარბაზებში  
 და შრომისგან მოღალატის  
 ღარიბების ბნელს ქაზებში!  
 იქ მღეროდა ტურფა ქალი  
 აბრასკილის დიდ-გმირობას,  
 დედა შვილსა უნატრიდა  
 იმ გვარსავე ვაჟაკობას...  
 ღამის მგზავრი მთვარის შუქზედ  
 მიმავალი მიმღეროდა, —

რა? მოსთქვამდა? — აბრასკილის  
ვაჟკაცობას შენატროდა...

ასე იყო... მაგრამ ქვეყნათ  
უბოლოვო არის რამე?

ისე ცვლილობს ყველაფერი,  
ვით ღამით დღე და დღით ღამე.

V.

რაკი იგრძნო აბრასკილმა  
ხალხისაგან თვის დიდება,  
გაამაყდა, მოინდომა  
განდიდება, გაღმერთება.

— „შემოქმედო! — შეუძახა: —

არ ხარ ჩემი მბრძანებელი,  
მე ვარ შენი ამხანაგი,  
შენებრ ქვეყნის გამგებელი“.

წინ აღუდგა შემოქმედსა,  
საქმით იწყო მის ურჩობა:

როცა საღმე მიმავალსა  
გზას უღობდა ვახთა რქობა,  
ან ტოტები ურთი-ერთში  
გადახვევი ჩაწმახნული, —  
გაჰკათავდა ხმალ-ხანჯლითა,  
არ ვიდოდა მოღუნული.

— „სხეული, რომ მოვიდრიკო,  
ან დავხარო თავი დაბლა,

შემოქმედსა ეგონება  
სალამს ვაძლევ მე მას ახლა!“

ამ ურჩობით გამგებლობდა...

თვეებს სდევდენ მრავალ-წლები,  
ათხაზეთის მტრებს ქარქაშში  
დაუქანვდათ ხმალ-ხანჯლები.

ხალხში მხოლოდ მოისმოდა  
 აბრასკილის ხოტბა-ქება  
 იმკობოდა იმის ღონე,  
 სიჩაუქით მოქმედება.  
 ყოველივე პატივს სცემდა,  
 შინაური, უცხო, ვრი;  
 გაამაყეს, გააღმერთეს,  
 შექმნეს გმირი უდიერი.  
 რა იხილა შემოქმედმა  
 აბრასკილის ამაყობა,  
 ხალხისაცა გმირისადმი  
 პატივცემა და მიმხრობა, —  
 ჯერ ისურვა „კეთილ“ გზაზე  
 ურჩი გმირის დაბრუნება,  
 გონს მოგება... მის თვისადმი  
 სამსახური, თაყვანება.  
 მაგრამ გმირი ქედს არ უღრევს  
 განგებისა სურვილ-ნებას,  
 ის თავისში ჰგრძნობს ღვთაებას,  
 არ უცხადებს მორჩილებას.  
 რაკი ველარ მოიშორა  
 გმირის ქცევა მეტის-მეტი,  
 გასწყრა და თვის წინ მოიხმო  
 ანგელოზი მან თორმეტი,  
 —მათ უბრძანა: „შეიპყარიო,  
 ხალხის გმირი თავ-გასული,  
 შებოქეთ და იქ ჩაადგეთ,  
 სადაც იყოს ღრმა უფსკრული!“  
 ანგელოსთა რა ისმინეს  
 შემოქმედის სურვილ-ნება,  
 თაყვანი სცეს და გაბრუნდნენ  
 შეასრულონ ღვთის ბრძანება...

VI.

ერთ დილაზე, როდესაც მზეს  
 ახლად სხივი ამოეყო,  
 ნამი ველზე აორთქლილი  
 საკმეველად აშლილიყო, —  
 აბრასკილი ჩრდილოშია  
 მწვანეზე ძილს მისცემიყო,  
 არ უწყოდა ღვთის ბრძანება,  
 დამშვიდებით, წყნარათ იყო —  
 დილის ძილით განსვენებულს  
 ხმაურობა შემოესმა:  
 თავის რაშის ფრუტუნნი და  
 ფეხით ცემა... ვილაცის ხმა,  
 გაიღვიძა... თავის რაში  
 ფაფარ-აშლით დასქიხვინებს:  
 „ანგელოსნი დასაქერად  
 მოგდევნო, — მას აუწყებს, —  
 შემომჯექი!“ ზედ შეისო,  
 ელვასაებრ გააქანა,  
 გამოსტაცა ანგელოსთა,  
 შავ-ზღვის პირას მიიყვანა.  
 იქ ჩამოხტა, განისვენა,  
 რაშიც თავით სდარაჯობდა  
 და, რა ესმა ანგელოსთა  
 ახლო მოსვლა, — კვლავ გაქანდა.  
 მიაშურა ერცახუს მთის  
 გამოქვაბულს, შეათარა,  
 იქ შემალა, რაში დაბლა  
 სადარაჯოთ მოეფარა.  
 ვეფხის ტყავზე, მხარ-თედოზე  
 აბრასკილმა ჰპოვა ბინა,

მაგრამ რაშმა იმას მალე  
 კიხვინითა აგრძნობინა  
 ანგელოსთა შორიწახლო  
 გამოკროთმა, გამოჩენა;  
 ზურგს მოიგდო თვის მხედარი  
 და გაქანდა შავ ზღვისკენა.

ზღვის ნაპირას აბრასკილი  
 მიმოვლობდა, ნადირობდა,  
 ერცახუს მთის ღვიმეში კი  
 ვეფხის ტყავზე ისვენებდა.  
 ვერ შეიპყრეს ანგელოსთა  
 რაში, გმირი თავ-გასული;  
 დაეკარგათ მათ ღიმედრ,  
 დაუძმარლათ ყველას გული.

ეს შეიტყო აფხაზეთში  
 ერთ თვალ-ქრელა დედაბერმა,  
 აბრასკილის მოშურნემა,  
 მომძულვარე, დიდ ხნის მტერმა.  
 მოვიდა და მოწიწებით  
 ანგელოსებს მოახსენა:  
 როცა ღონე კაცს ვერ ჰშველის  
 ხერხის უნდა გამოჩენა...  
 ხართ ტყავები მოაგროვეთ,  
 გაჰქონევით ცხერის ქონითა,  
 დააფინეთ ღვიმის პირას,  
 ზოგნიც სდექით მუნ მალვითა.  
 და როდესაც გმირი რაშით  
 ღვიმის პირას მოჰქანდება,  
 ვერ შენიშნავს რაში მახეს,  
 ტყავზე ფეხი წაუსხლტება,  
 სწრაფ მისცვივლით, შეიპყარით,  
 შეუბოქეთ მას ხელ-ფეხი,

ვერ წაგივით, დაგემონვით  
 გმირი ურჩი და უკმეხი“...  
 ანგელოსთაც ეს უნდოდათ.  
 დედაბერის დარიგება  
 შეისმინეს, გადასწყვიტეს  
 საბოროტო მახის გება.  
 ექვსი ზღვისკენ გაეშურა,  
 თავს დაესხა გმირთა-გმირსა,  
 მან გაიგო, გამოქანდა,  
 იქ გადურჩა გასაჭირსა.  
 მოატანა ერცახუს მთას,  
 აქ კი ბედმა გლახ უმტყუნა:  
 რაშს დაუსხლტა ტყავზე ფეხი,  
 გადიფაფხა, დაესვენა.  
 ანგელოსნი, დამალულნი,  
 საჩქაროზედ გმირს მისცვიდენ,  
 შებოქვს და მასთან რაშსა  
 რაღა კეთილს დააყრიდენ?

კავკასიის უფსკრულ კლდეში  
 ღრმათ ჩაარქვეს ერთი პალო,  
 ზედ მიჯაჭვეს გმირთა-გმირი,  
 სანაქებო, უბადალო!  
 და იქავე დაუტოვეს  
 თავის რაში, გვერდზე ურო;  
 თავზე დაჭურენს ადარ განწუხვ,  
 ბოლოქნია ჩიტი მომცრო,  
 აწ საბრალო ამ უფსკრულში,  
 მიჯაჭვული აბრასკილი.  
 წევს და სცდილობს ამოგლიჯოს  
 პალო კლდეში ჩარქობილი.  
 მოამზვლევეს და ოდეს სრულად  
 ამოდრობას ეპირება,

ამ დროს უცებ აღარგანწუხვ  
 ჯაქვ-პალოზე დაფრინდება.  
 გულ-მოსული აბრასკილი  
 იღებს უროს, მძლავრად სტყორცნის,  
 უნდა მოკლას ის მაცდური,  
 მაგრამ იგი უსწრაფ ელვის  
 აფრინდება... მოქნეული  
 მძლავრად სცემს ურო პალოს,  
 იგი კლდეში კვლავ ესობა  
 და აკაეებს გმირს საბრალოს.  
 ასე იბრძვის, ამ ტანჯვაში  
 სთვლემს, ღრმა ძილით ეძინება,  
 სანუგეშო მომავალსა  
 ძილში მყოფი ელოდება.

## VII.

...აფხაზეთი დამწუხარდა:  
 შეიმოსა ძაძით ყველა,  
 ქალ-ღიაცი თმას იკოხვენ,  
 ვაჟკაცთ გული გაეხელა.  
 ზარით მოსთქმენ დიდი, მცირე,  
 ლარიბი და დიდებული  
 აფხაზეთის ობლობასა  
 ვიქნებით-ო დაჩაგრული.  
 ვინ იქნება აბრასკილის  
 მაგიერი გმირთა-გმირი?  
 ოჰ, მამულო, ვინ გაშოროს,  
 მისებრ, მტერთგან გასაქირი?!  
 აფხაზთ მზენი, უტურფესნი,  
 ფანდურზედა მომღერალნი,  
 კაცთ შესძახვენ: ვაგვიკურნეთ

სულის ტანჯვა, გულის წყლულნია.  
 ხმა შეწყობილ სიმღერებით  
 ცას შესთხოვენ, ტყეს შემღერენ,  
 უსულოს და სულიერსა  
 გმირის დახსნას ავედრებენ.  
 ხალხის კენესა, ვედრებასა  
 თვით ბუნებაც ხმასა აძლევს,  
 ხოლო გვიმრა და თვალ-ჭრელა  
 მწუხარებას არად იმჩნევს.  
 აჰა, ერის მწუხარებამ  
 ჭაბუკთ გული აუძგერა;  
 დასახსნელად შეემზადენ,  
 უნდათ სცადონ ბედის წერა...  
 თან წაიღეს თორმეტ ჯორით  
 გზის სანათად კრაქ-სანთლები,  
 ინათებენ უფსკრულის გზას  
 ბნელაშია, ვაჟკაცები...  
 სწვავენ სანთლებს, მიილტვიან  
 პურობილისკენ... მუხლი სწყდებათ...  
 ჰა, მოესმით გმირის გმინვაც,  
 ახლოაო, ეჩვენებათ...  
 ერთილა აქვთ მათ სანთელი,  
 მოელიან... ისიც ქრება...  
 წყვდიადია... გზა არა სჩანს,  
 მგზავრებს გული უწუხდება...  
 კენესა, კენესა, გმირის კენესა,  
 ახლო ისმის, მწარედ გმინავს...  
 — აბრასკილო! ეძახიან, —  
 ხმა მოგვესმის, გზა კი გვშორავს,  
 აღარა გვაქვს ჩვენ სანთლები,  
 გზას ვერ ვიგნებთ, ირგვლივ ბნელა!  
 აბა რა ვქნათ? გვასწავლევით,

თავს განაცვლებთ ჩვენ შენ ყველა.  
 — „მესმის, მესმის, მე თქვენი ხმა,  
 რა, ძვირფასნო ჩემნო შვილნო,  
 გაბრუნდით და უკან წადით,  
 ვერ დამიხსნით, ვაჟკაც გმირნო:  
 რამდენათაც ახლოვდებით,  
 მე იმდენათ თქვენ გშორდებით,  
 ასეთია უფლის ნება!  
 ვერ დამიხსნით, უკან წადით...  
 წა, გაბრუნდით, ჩემს სამშობლოს  
 მოუარეთ, უპატრონეთ,  
 დაიცევით მტრებისაგან!  
 ეს ვედრება გამიგონეთ...  
 დამეხსენით დამავიწყდეს  
 ჩემი პყრობა და მონება,  
 თქვენ მამული ჩემსავეთა  
 შეიყვარეთ... ეს იქნება  
 ღირსი ღვაწლი, სამსახური,  
 მით სანაცვლოს მე მომიზღავეთ,  
 შევებას ვიგრძნობ პყრობელიც კი,  
 წადით, ჩემზედ ნულარ ზრუნავთ“...  
 მშვიდობიდა!“ — მის გულიდან  
 მხოლოდ ესღა მოსკდა სიტყვა  
 და ნიავმა ჯურღმულიდან  
 შორს წაიღო გმირის გმინვა.

### VIII.

ახლაც მგზავრი მიშავალი  
 იმ მთის ახლო წუთს ჩერდება,  
 მასაც ესმის გმირის კენესა,  
 მის წარსულისა უფიქრდება;  
 ითვალწინებს აბრასკილის

სივაჟკაცე-გმირობასა...  
 იმ მთასთანა იგიც ოხრაჲ —  
 ბრალ პურობილი გმირთა-გმირი:  
 ეჰ, ობლობავ! ეჰ, მონობავ!“  
 სიტყვას სწყვეტავს, გზას აგრძელებს,  
 გმირის დახსნას სასოებით  
 შემოქმედსა კვლავ ავედრებს...  
 არა ერთ გზის აფხაზთ ქოხში  
 ქალი ფანდურს აზუზუნებს...  
 რას დამღერის? ისიც გმირსა  
 იგლოვს მწარედ და იგონებს:

იმედი.

# ქართული მრეწველობის აღორძინება

და მისი წარმომადგენნი:

**ზუგალაშვილები, ფორაქაშვილები, სარა-  
ჯიშვილი, გოლქვაძე და სხვანი.**

როგორც ზოგი ერთს ჰგონია, ქართველი ერი არც ისე წყალ-წადებულთა ვაჭრობის ასპარეზზედ. ქართულის ისტორიულის მასალებით არ მოიხსენება არც ერთი საუკუნე და კუთხე, რომ საქართველოში, ქართველთ შორის, ვაჭრები და ვაჭრობა არ ყოფილიყოს გაჩაღებული. ყოველს დარგს სანოვაგისას, საქსოვისას, ქარგვისას, კერვისას, კეთებისას და სხვათა მრავალთა ამგვართა ჰყვანდნენ თავ-თავისი წარმომადგენნი, თავ-თავისი მფარველნი. ზოგნი მათში დიდათ მდიდრებიც ერივნენ, შეძლება მათი და აღებ-მიცემა საქართველოს გარეშე სხვა ქვეყნებშიაც იყო გამართული. ასეთი იყო მაგალითებრ ყაჯის, აბრეშუმის, ბამბის და მატყლის ვაჭართა გარემოებაც, რომელნიც საქართველოს გარეშე სპარსეთსა და ინდოეთსაც კი მგზავრობდნენ და აღებ-მიცემობდნენ. საუბედუროთ, ყველა ასეთ მწარმოებელთ შესახებ და ნამეტურ მათის აღებ-მიცემის ჩვენ ბევრი არაფერი მასალები გვაქვს და რაც გვაქვს, იმასაც აქ დავასახელებთ. ხოლო ჩვენ გაკვრით იმასაც შეგვხებით, თუ ყოველს დარგსა და ნივთს საქართველოს მთავრობისაგან რა ედო ბაჟათ გარდასახადი, ამის გაცნობა ჩვენთვის საჭიროა, ამიტომ აქედამ ჩვენ დავიწყებთ ღვი-

ნო და არყით მოვაჭრებზე და მათ ვაჭრობაზედ მთავრობის მიერ დადგენილს ხარჯზედ.

საქართველოს მეფეების დროს, ქართველი ხალხი და ნამეტურ ბარის მცხოვრებნი და მოქალაქენი არყის სმას მაინცა და მაინც ძლიერ არ მისდევდნენ. ერთის მხრით ქართველების უმეტეს ნაწილში არყის სმა სათაკილოთ იყო მიღებული, თუმცა თან შესამჩნევი პატივიც ჰქონდა მინიჭებული. ისე სადმე ძვირფასი ნაღიმი, ლხინი, ან კირი არ იქნებოდა, რომ იქ ღვინოსთან ერთად არაყიც არ ჰქონოდათ. საზოგადოთ ბარის ქართველნი უმეტესად მისდევდნენ ჭაჭის არყის ხდას, კანჭურის, უცეცხლო თაფლის და სხვა და სხვა ხილეულობის.

მთაში კი მთიელთათვის ღვინის მაგიერ ბევრს ალაგას არაყი იყო მიღებული, იქ ღვინოს მარტოდ მღვდელნი ხმარობდნენ, თორემ დანარჩენი დღესასწაული და წვეულების ნაღიმებო სულ არყით და ნადირის ხორციით სრულდებოდა. მთიელთ არაყი გამოჰყვანდათ ქერის, პურის, ფეტვის, სიმინდის და სხვა და სხვა ხილეულობის. როგორც ბარში, ისევე მთაში, საარაყე ქვაბი და სახდელი თითქმის ყველა მეოჯახეს ჰქონდა, ყველა მეოჯახე იმდენს არაყს ხდიდა, რაც კი მისი ოჯახისათვის საჭირო იქნებოდა. გასაყიდს არაყს ხან მთელი სოფელი ერთად ხდიდა, ასე, რომ სოფელს თავის სასოფლო არაყი აქენდა. არყის გამოხდაზედ მოავრობისაგან არავითარი გარდასახადი არ არსებობდა. ხარჯს ახდევინებდნენ მხოლოდ მაშინ, როცა არაყს ვაჭრებზედ გაჰყიდდნენ. არყის ხარჯის გარდახდა ხშირად არყითვე სწარმოებდა. ხარჯში ანაღები არაყი ხმარდებოდა სამეფო სახლს, ერს და მსახურთ, ნამეტურ მორიგ ჯარს. საქართველოში, ქართველთ შორის ძველადგანვე განთქმული იყო ჭაჭის არაყი. ლაშქართათვის ომში წასვლის ჟამს არაყიც მიჰქონდათ თან, ამ არაყს სოფელი იხდიდა თავის საარყიდგან. სამეფოს თავდარიგი ჰქონდა თუ წელიწადში რამდენი არაყი უნდა დაემზადებინა ლაშქრისათვის. ქალაქსა და დაბებში, ღვინის და არყის სავაჭროდ დახ-

სწილი იყო სირაჯის ღუქნები. სირაჯები ვაჭრობდნენ ღვინით და არყით. ყველაზედ მეტი სირაჯების ღუქნები ტფილის ქალაქს იყო, სადაც სირაჯები იხდნენ, ღღეს იმ მხარესაც «სირაჯხანა» ეწოდება. ამათი ღვინოები მთლათ კახური იყო, შიგა და შიგ ქართლის ღვინოებსაც ასაღებდნენ. მაშინ ღვინო თუნგი ისყიდებოდა 7—10 კაპ. არაყიც ძრიელ იაფი იყო, ისე რომ მისი ანუსხვა არც კი ღირს, ქართველ მეფეების დროს ყველაფრის მაზანდა იაფი იყო, მცირე; მაშინ მართალია ფული ძვირი იყო, მაგრამ მის მაგიერ მშვიერი კი არაინ კვდებოდა, ბოსიაკები და ბოგანოები ჩვენში იმ სახით არ იყო, როგორც ეს ღღეს ევროპაში არის, საქართველოში, ქართველთ შორის გლახა იშვიათი სახილველი იყო, თუმც ისიც უნდა აინიშნოს, რომ სილატაკესაც ჰქონდა თავის ადგილი დათმობილი. სილატაკის განსაზღვრის საქმეს და მოსაზრებაში ვინმემ რეტროგრადობა არ დაგვწამოს. ჩვენ გარდაწყვეტით არ ვიტყვით, რომ ვითომც ჩვენი მეფობის დროს, საქართველოში სილატაკეს სრულებით ადგილი არ ჰქონდა. არა ეს ასეა იყო, იგი იყო და არსებობდა კიდევ, ხოლო მის გაბათილებას ძრიელ ეხმარებოდა სამეფოს წესები და ის გარემოება, რომ იჯარა და ბაჟი ყველაფერზედ მცირე იყო. ამის მაგალითს წარმოადგენს ღვინის და არყის ბაჟის საქმე. უნდა ითქვას, რომ საქართველოს სამეფოს ტფილისიდან არყისა და ღვინის ბაჟი 1000 მ. ზევით ვერ ავიდოდა. ასეთის მდგომარეობით დაასრულა საქართველოს მეფობამ თავისი ხანა და ასეთის წესებით ჩაბარდა იგი რუსეთის იმპერიას. რუსეთთან დაკავშირების შემდეგ, პირველ წელს საქართველოს სამეფოს დროის ღვინის და არყის ბაჟმა ერთი ორათ იმატა და 1801 წ. 1000 მ. მაგიერ 2000 მ. გახდა, შემდეგ და შემდეგ უფრო და უფრო მატულობდა და ღღეს რაც არის და რასაც იხდიან, ეს ყველა ჩვენთაგანმა კარგად იცის.

**XIX** საუკუნის შემდეგიდამ, მოსვენებულ ქართველთ საქმარისად იწყეს თვალის გახილება, ამ დრომდის საქართვე-

ლოში ყველაფერი შინაურულად სწარმოებდა, მაგალითებრ, ყველა სამრეწველო საქმეს უფრო შინაურული, ოჯახური ანუ კომუნარული სახე ჰქონდა, ვიდრე ვაჭრობითის, ალებ-გაცეკლის, მრეწველური, ანუ ფაბრიკული. მაგალითებრ, ფეიქრები და ასეთ მკერავ-მკეთებელნი უფრო ისე არსებობდნენ. იგინი სახლში სოფლისთვის მუშაკობდნენ და სოფელიც მათინახავდა. ხსენებული საუკუნის შემდეგიდამ კი, რაკი სამეფოს წესები შეიცვალა, მას მოჰყვა ძირითადი ცვლილება ეკონომიურის, კომერციის, ადგილ მდებარეობის და სხვ. კარ ჩაკეტილმა ცხოვრების მოქმედებამ გაფართოვება და გაშლა იწყო, ქართველთ შორის აქა იქ ჩნდებოდნენ მრეწველობის მიმყოლნი და მის პატივის მცემელნი. საქართველოს კუთხებზედ ქართველთ აქა იქ იწყეს თვალის გახილება, სხვა და სხვა სავაჭრო მაღაზიების და დუქნების დახსნა, სამრეწველო ქარხნების კეთება და სხვანი. ერთის სიტყვით, მოკლე დროის განმავლობაში, ქართველთ საკმარისად გაახილეს თვალები და იზინეს ძალი, დღეს ამ ძალის ნაყოფი ჩვენში უკვე თვალსაჩინოდ სჩანს. ერთ ასეთ ნაყოფის დამრგველ პირათ ჩვენ მიგვაჩნია მრეწველი იაკობ ივანეს ძე ზუბალოშვილი, რომელზედაც აქ უნდა შევჩერდეთ.

იაკობ ივანეს ძე ზუბალოშვილი დაიბადა 1792 წ. ე. ი. ისეთ დროს, როცა ქართლ-კახეთის სამეფო არსებობდა. როცა ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიას ჩაბარდა, მაშინ იაკობ ივანეს ძე 10 წლის იქმნებოდა და იმერეთის დაკავშირების დროს კი 20 წლის ყმაწვილი კაცი, ასე რომ იაკობ ივანეს ძე ქართველთ მეფობის არსებობას თავის თვალთ კარგად მოესწრა, მან ნახა ყოველივე მისის ავკარგიანობისა, ასე რომ იაკობს შემდეგ თავის დროს ცხოვრებაში მიტად კარგი ხსოვნა ექმნებოდა იმ დროის ქართველთ ცხოვრებაზედ, რომელსაც იგი მოესწრა, თვალნი გაახილა და მასთან ბევრი რამ ავი და კარგიც ნახა. ამიტომ ჩვენ აქ თამამათ შეგვიძლიან დავასახელოთ, რომ იაკობ ზუბალოვი მეთვრამეტე საუკუნის ქარ

თველთა შვილი იყო. იგი დაიბადა ხსენებულს საუკუნეში, თვალი გაახილა, ქართული წერა-კითხვაც მაშინ შეისწავლა და ამათ გარეშე მკაცრად შეითვისა ყველა ის წესები და დარგნი, რაც კი მეთვრამეტე საუკუნეში, ქართველთ შორის არსებობდა.

როგორც სხვაგანაც დაგვიწერია, ზუბალაშვილების გვარის წევრნი სარწმუნოებით რომის კათოლიკეებს ეკუთვნიან და ტომით ქართველობას. ამ გვარის წევრთ მრეწველობის ასბარეზზედ ნიჭი და შემძლებლობა აღრიდგანვე გამოიჩინეს, თითქმის იმ დღიდან, როცა ამათი წინაპარნი ქართლიდამ გასულ იქმნენ და კათოლიკობასთან დაკავშირებული. არ დარჩა არც ერთი გვარი სავაჭროს ან სამრეწველოს განყოფილების, რომ ზუბალაშვილების გვარის წევრთ მასზედ შესაფერა შეხედულება და წარმოდგენა არ მიეღოთ. ამის უტყუარს მაგალითს წარმოადგენს იაკობ ზუბალაშვილის ენერგიული მოქმედება, რომელიც პირდაპირი თანამედროვე, ანუ თანზრდილი პირია მეცხრამეტე საუკუნის ქართველთ ცხოვრების და მასთან თითქმის სახსარი და აგებულებაც ქართველის ერის ცხოვრების, მათი მაჯის ცემის, მოძრაობის და წარმატების. ამათის ნიჭიერების მაგალითად კმარა დავასახელოთ თუნდ ის გარემოებაც, რომ ამ გვარის წევრნი ძველადგანვე ქართველთ მეფეთა კარის ვაჭრათ ირიცხებოდნენ და უკანასკნელ წლებს, როცა საქართველო რუსეთს ჩაბარდა, მაშინაც ესენი ირიცხებოდნენ წარჩინებულ მრეწველ ვაჭრებათ, თვით სამეგრელოშიაც კი ჰქონდათ ამათ დიდი ხმა და გავლენა, დადიანების კარის ვაჭრებათაც ესენი იგულისხმებოდნენ.

როგორც ვიცით, ძველათ ზუბალაშვილებს საკმარისი შემძლებლობა ჰქონდათ ვაჭრობის ასპარეზზედ, ქართველთ მეფეების და დადიანების საშუალებით ესენი თავისუფლად მგზავრობდნენ კოსტანტინეპოლს, სლავიანთა სხვა და სხვა სამეფოებში და აქედამ მათ დიდძალი საქონელი გაჰქონდათ და შემოჰქონდათ საქართველოში. ამ აღებ-მიცემის საქმეებს

საყურადღებო ისტორიკ აქვს, მაგრამ საუბედურობა ჩვენ მის შესახებ ბევრი არაფერი ცნობები ვიცით. მისი ცნობა კი ჩვენთვის ძვირფასია უნდა იყოს, რადგანაც მის ცოდნით კარგად შეიძლება განიმარტოს და ანუსხოს ის გარემოება, თუ საქართველოში როგორ იწყო ზრდა ფინანსიურმა გარემოებამ და ან სამრეწველო და სამეურნეო ნაწარმოებთაც როგორ ეძლეოდათ აღორძინება, ფასის ზრდა და ბევრიც კიდევ სხვა საყურადღებო მხარეები. მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ, ზუბალაშვილებმა საკმარისად განივრცეს სახელი ახალციხის მხარესაც, მაგალითებრ 1829 წ. ოსმალეთის სამზღვარი სოფელ ვალეს ზემოთ იყო, ერთობ ახლო ახალციხესთან, აქ რუსის და ოსმალის დამოუხმაც არსებობდა, ამ დამოუხმაც ზუბალაშვილების საქონელი მრავლად შემოდოდა, ამათი საქონლის შემოტანის ამბები ცნობილი იყო მთელს მესხეთის და ჯავახეთის ქართველებში, ნამეტურ საქონლის მზიდავ ქართველებში. უნდა ითქვას. რომ ზუბალაშვილებს სამზღვარ გარეთულთ საქონელი მართა ამ გზით არ მოსდიოდათ, არამედ სხვა კუთხეებიდამაც.

იაკობ ზუბალაშვილის ნიჭიერების შესახებ ჩვენ აქ ბევრს არ ვილაპარაკებთ, იგი შვილი იყო თავის დროის და იმ სამრეწველო მხარეების, რასაც კი XIX საუკუნეში, საქართველოში, ქართველთ შორის აღორძინება ეძლეოდა. ეს სამრეწველო მხარე იყო პური, ღვინო, არაყი, შაქარი, ჩაი დანართი. როგორც ვიცით, ზუბალაშვილების მრეწველობის და ვაჭრობის წარმატების საქმეებს დიდათ დაეხმარა სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანისაგან გაკეთებული რეკომენდაცია რუსის მთავრობის წინაშე. პირველ რუსობის შემდეგ ზუბალაშვილებმა, როგორც მთავრობისაგანაც მოსალოდნელი იყო, დიდრ აღებ-მიცემა იწყეს. პურითა, პურის ვაჭრობით იგინი კარგადაც დაწინაურდნენ. პირველი მაგალითი იყო საქართველოში პურის ვაჭრობა, ანუ ფოდრატები და მის აღებ-მიცემა: პურის ვაჭრობის ასე მოწყობა რუსეთის მხედრობის

გამრავლებამ მოითხოვა. ხმ დროს უცხო მთავრობისათვის პური ძნელი საშოვარი იყო. ჯარს ერთობ რომხშირად აკლდებოდათ პური, ნამეტურ აქა იქ კავკასიის მთებში თათრებთან ბრძოლის დროს. ამის მხრით იგანი დიდს გაჭირებას ითმენდნენ. აი, სწორეთ ამ გაჭირების დროს, პურის ვაჭრობის ასპარეზზედ სჩანს სხვებთან ერთად ზუბალოვიც, მთავრობას აძლევს ხელშეკრულობას, ჰპირდება ლაშქართათვის საკმირის პურის მოტანას, იგი ამას კარგათაც ასრულებს ყველგან, ამით მთავრობას დიდს სახსარს უწევს და ლაშქართათვის საკმარის პურს ადგენს.

ამ დრომდე, საქართველოში, პური მრავლად მოდიოდა, მის მოყვანას ყველგან გლეხკაცობა მისდევდა, დღე და ღამ გლეხნი პურის და ღვინის ასპარეზზედ შრომობდნენ. მაშინ სამწუხაროდ პურის ფასი ერთობ დაცემული იყო, კოდი ორ აბაზათ პური იყიდებოდა, ქერი ხომ უფასოდ იყო, აბა ასეთის სიაფის შემდეგ სხვა რაღა იქმნებოდა, ასე იყო პური იაფე, მაგრამ გლეხთაგან ვაჭრობის არ ცოდნის მეოხებით, მთავრობას ლაშქრისათვის პურის შოვნა მინც ყველგან და ქრველთვის უჭირდებოდათ, აღსანიშნავია, რომ ასე იაფათ, პურს მარტოდ გლეხებთაგან ყიდულობდნენ. თორემ მერე ფასი ერთი ორათ ემატებოდა, გლეხნი კი ყოველთვის ვაჭრობაში იყვნენ, ამ გაჭირებას წინ გადაელობნენ იაკობ ზუბალოვი და მისი მამა და მათ იწყეს მეცადინეობა გლეხთაგან პურის სყიდვის, ერთად შეკრების და მერე მთავრობის წინაშე წარდგენის. ამ დრომდე, სამწუხაროდ ქართველმა გლეხმა არც პურის ვაჭრობა იცოდა, არც ქერის, სიმინდის, ფეტვის და ბრინჯის. ეს რომ ასე გახლდათ, ამას ისიც ცხადათ ამტკიცებს, რომ კოდს ორ აბაზათ პურს ჰყიდდნენ და ზედ ნახევარ ფუთსაც მეტს აძლევდნენ ფქვილს, ან ხორბალს. ზუბალაშვილები თავიანთ აღებმიცემით რამდენათაც მთავრობას უადვილებდნენ სურსათის მოპოვების საქმეს და ძალას, იმდენჯთვე ეხმარებოდნენ გლეხთა ვითარებასაც, საბრალო ქართ-

ველ ტუტია გლეხებში ადვილათ შეჰქონდათ ვაჭრობის ცოდნა, პურის გაყიდვა, ფულის ცნობა და სხვანი. თორემ ხომ მოგეხსენებათ, ქართველი გლეხი უბედური იყო ბევრის საეშმაკოს ცოდნით და გაუწვრთნავი იყო თვით ფულის ცნობითაც;

პირველი მაგალითი იყო, რომ ქართლში გაიმართა პურის ვაჭრობა, მეტად ხამი იყო ეს გლეხთათვის, ამათ პირველად გამოდგეს ფეხი მის ასპარეზზედ და გასაყიდათ კარგად შეისწავლეს საწონ საწყავის ზომა, ფუტი, კოდი, ლიტრა, ჩანხი და სხვანიც ამგვარნი. მინამდევნი, ქართლში, გლეხთა შორის პური თითქმის უმოძრაოთ შთებოდა, ყველას თავის მოსავალი ჰქონდა და მიტომ ვინ რაში მოინდომებდა რომ სადმე პური ეყიდნა. პურის სყიდვა და გასყიდვა საქართველოში, ქართველთ მხოლოდ სიმშილის დროს იცოდნენ, ისიც ხშირად ერთმანერთს უფულოთ სესხივით ურიგებდნენ, ერთმანერთს ეხმარებოდნენ, ეს დახმარება სამღვთო ვაჟათაც მიაჩნდათ. ასე და ამ გვარად, შუაგულს ქართლში, 1804 წლიდამ, პურის სავაჭრო ასპარეზზედ პირველად ქართველმა გლეხმა გამოდგა ფეხი, მან დაიწყო ამის ვაჭრობა და აღებ-მიცემა, ამ საქირა გლეხთა თვალის გახილებასაც საკმარისი მხარი მისცეს ივანე და იაკობ ზუბალაშვილებმა, რომელნიც თითქმის წინ უძღვებოდნენ ქართველთ გლეხთა ვაჭრობის საქმეს და მათ უადვილესად თვალის გახილებასაც ასწავლიდნენ.

გლეხთა წარმატება აღებ მიცემის ასპარეზზედ მითაც მიდიოდა წინ და ცეხს იდგავდა, რადგანაც ზუბალაშვილებმა გორსა, თფილისს და სხვა ქალაქებსაც პურის მალაზიებიც დახსნეს, ასეთი მალაზიები ქართველებში პირველი მაგალითი იყო, ამ მალაზიებში გლეხთაგან პურსაც ყიდულობდნენ და ჰყიდდნენ კიდევაცა. ამ გარემოებათაც დიდი ცვლილება მოახდინა ქართლის გლეხებში. თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ ასეთ მალაზიების მსგავსი იყო ჩვენებური „ალაფების“ საქმე და აღებ მიცემა. ალაფები საქართველოში ძველიდგანვე

იყვნენ, ქალაქ ადგილებში ესენი ჰყიდდნენ ჰურს, ქერს, სომინდს, ფეტვს, ლობიოს, მარილს და მისთანებს. ხოლო მათ აღებ მიცემას იმოდენი ვაჭრობითი მხარე არ ჰქონდა, ფინანსიური მიდრეკილების არა ეცხო რა, უფრო ნივთის-ნივთზედ გამცვლელად იყვნენ, ანუ ამ გაცვლა-გამოცვლის შუა კაცად. იგინი ერთნაირ მარცვალს მეორეზედ სცვლიდნენ, ვისაც რა უჭირდათ იმას აძლევდნენ, რასაკვირველია, მარცვლის მიმატებით. რაც შრომის და სარგებლის მაგიერ ითვლებოდა. ალაფები ამისთვის სოფლებშიაც მოგზაურობდნენ და ხშირად მარცვალს ნართზედაც სცვლიდნენ.

ჰურის აღებ მიცემის დროს, ზუბალაშვილები სხვა საქმეებშიც აღმოჩნდნენ მკოდნე პირებათ, ესენივე ყიდულობდნენ სხვა და სხვა ჯიშის საქონელს, ტყავეულობას, ხილეულობას, ღვინის, არყის და ყველა ამაებს მთავრობაზედ ასაღებდნენ. როგორც ჰურის მხრით, ამითაც საკმარისი დახმარება და ძალა მისცეს ქართლის გლეხ კაცობას. ერთის სიტყვით უნდა ითქვას, რომ ქართველთ მრეწველობის ასპარეზზედ პირველად ზუბალაშვილები აღმოჩნდნენ, რომელთაც ხელში დაიკავეს მის სანთელი და ქართველ გლეხობასაც წინ გაუძღვნენ, უმთავრესად კი აღსანიშნავია შემდეგი გარემოება ზუბალაშვილების ცხოვრებიდამ.

მოგეხსენებათ, რომ ქართველები ღვინის და არყის კეთებას ძველადგანვე მისდევდნენ, ხოლო რაც შეეხება არყის ხლის წარმატებას, ეს კი მათ შეგნებული არ ჰქონდათ და არყის ხლას და ვაჭრობასაც ერთობ მძიმეთ მისდევდნენ, თითქმის მორიდებით. დიდი ძალი ჰაჭა უბრალოდ იკარგოდა, მას არაფერ რაში იყენებდა; ესეთი უსარგებლობა ჰაჭისა, ნამეტურ იმერეთში იყო გლეხთა შორის გავრცელებული, სადაც გლეხთათვის ჰაჭა თითქმის უმნიშვნელო და უსარგებლო იყო, მაშინ ჩხავრის ყურძენი მრავლად მრდიოდა, ღვინო ბევრი იყო, ობი, ფილოქსერა და სხვა სულ არ იყო. ჰაჭა იმოდენი იყო, რომ მას ვინ რაში გამოიყენებდა, შინაურ არყისთვისაც.

ჰყოფნიდათ და გადასაყრელათაც ბევრი რჩებოდათ, რაისაგა-  
მო იგი სანაგვეზედ იყრებოდა, რასაც მხოლოდ ღორებიღა  
სჭამდნენ. ასე იყო საქმე მომართული და რაც კი ხანი გადი-  
ოდა, მით საქართველოში არყის საჭიროება კი ფეხს იდგავდა,  
ჯარის კაცთათვის არაყი რუსეთიდან შემოჰქონდათ. ამ გარე-  
მოებას ბევრმა მხნე ქართველმა მიაქცია ყურადღება და ერთ  
უპირველეს გვამათ ირიცხება იაკობ ზუბალაშვილი და მისი  
სახლი კაცები, რომელთა ყურადღების მიქცევა მალე საქმე-  
თაც განახორციელეს და საქართველოში გახსნეს არყის გამოსახ-  
დელი ქარხანა, სადაც იწყეს მრავლად არყის გამოხდა.—უნ-  
და ითქვას, რომ საქართველოში ქართველთ შორის, ეს ქარ-  
ხანა პირველი მაგალითი იყო და მის დამფუძნებელთ ამხანა-  
გებთ შორის უპირველესი ადგილი ანუ მეთაურობა იაკობ  
ივანეს ძე ზუბალაშვილს ეკუთვნის.

არყის ქარხნის გახსნის ისტორიიდან კარგად სჩანს, რომ  
მის გამხსნელთ კარგად ჰქონიათ შეგნებული ის გარემოება,  
რომ საქართველოში, არყის საქმე და ჭაჭის ხდის მნიშვნელო-  
ბა ისე არსად ყოფილა დავარდნილი, როგორც იმერეთში,  
ამიტომ მათ უპირველეს საჭიროებათ დაინახეს იმერეთში გა-  
ხსნა, მალე მთავრობას თხოვნა მისცეს, ნება-რთვა აიღეს და  
პირველად გახსნეს შესამჩნევი დიდი არყის ქარხანა. ეს მოხე-  
რხება იმერეთის გლეხთათვის შესანიშნავ მოვლენათ უნდა ჩა-  
ითვალოს. იმერთ გლეხთ რა ნახეს არყის ქარხანა, მასთან არ-  
ყის კეთებაც, ცოტა არ იყოს, უცბათ გაახილეს თვალები,  
მათ მალე შეიგნეს, რომ ჭაჭა ძვირფასი რამ არის, ჭაჭას არ-  
ყის ქარხანაში ყიდულობდნენ და სხვა. მალე იწყეს გლეხე-  
ბმა არყის ქარხანაში ჭაჭის ზიდვა და გასყიდვა, მოკლე დრო-  
ის განმავლობაში ისე მოეწყო საქმე და ისე მოხერხდა, რომ  
მთელს იმერეთში სწრაფად მოიფინა ხმა და ცნობა ჭაჭის  
მნიშვნელობის, გასყიდვის, არყის გამოხდის ოსტატობის, არ-  
ყის გამოსახდელათ მრავალნი მოზარდნი დიდის ხალისით მი-  
ივლტოდნენ ქარხანაში მუშათ თუ შეგირდათ, რათა იქ და-

ეყოთ ხანი და მით არყის ხელოვნური ხელოვნობა, ან გამოხდაც ესწავლათ. აქ დასადგომ ფასს შაგირდები და მუშები ყურადღებას არ აქცევდნენ, ოღონდ საქმე გაეცნოთ, შესწავლათ და დანარჩენი მათთვის უმნიშვნელო იყო.

ამ არყის ქარხნის გახსნის შესახებ ძველ მოხუცებულე-ბში ბევრნაირი ცნობებია დაშთენილი. ხოლო ჟამთა ვითარების მეოხებით მისი ცნობები ჩვენ ძველებისაგან არ იქმნა ანუსხულ და გაცნობილ: ამის მნიშვნელობა მათ არ იცოდნენ და არც შეიძლებოდა სკოდნოდათ, რადგანაც იგი მათთვის კი არა და თვით ჩვენთვისაც კი ახლად ითვლება. ამ არყის ქარხნის გახსნა და მის ისტორიას ჩვენი მრეწველობის ისტორიის ასპარეზზედ პირველი ადგილი დაეთმობა პირველი ადგილი მიეცემა ბევრნაირის მხრით, ვაჭრობის, ცოდნის ვრცელების, შრომის და ნაყოფის მრავლად გამოყვანის. წელიწადში ამ არყის ქარხანას 8000 ვედრო არაყი გამოჰყვანდა, ყველა ეს არაყი იქვე სუფთავდებოდა და ისე ეძლეოდათ აქეთ იქით გასაყიდათ. 8000 ვედრო არაყი 1830 წლების კვალად ჩვენ დიდ საქმეთ მიგვაჩნია, ამ რიცხვმა სამხედრო და სამოქალაქო მოთხოვნილებას დიდი დაკმაყოფილება მისცა. ამ გარემოებამ იმერთ შორის არამც თუ მარტოდ არყის ხდა და გაყიდვა განავრცო, არამედ, სადაც საქირო იყო, იქ იმერთ შორის მის მოთხოვნილებაც დაიწყეს, ე. ი. სმა, სმა რასაკვირველია უჯეროთ კი არა, არამედ ჯერით და საქიროებით. ამ გარემოებამ იმერთ შორის საქმე ისე მოაწყო, რომ არყის ხდა თითქმის ყველა ოჯახში დაიწყეს, ყველა სახლში, გამონახადი ტიკებით აქეთ იქით გადაჰქონდათ დასხვა და სხვა ვაჭრებზედ ჰყიდდნენ. ცოტა არ იყოს ამ გარემოებამ ახლად გახსნილს ფართო ქარხანაზედ ერთობ ცუდი შედეგი იქონია, საქმე ისე მოიმართა, რომ იგი მალე დაიხურა კიდევ. იგი დაიხურა, მის მუშაკნი აქეთ იქით წავიდნენ, მაგრამ მით არავის რა დაჰკლებია, არაყის მხდელნი გამრავლდნენ და ქართლ-კახეთის მსგავსად იმერეთსაც მოჰყვა სირაჯის

დუქნებში ღვინოსთან ერთად არყის ყიდვაც. თუ რამდენადა აიწია ეს საქმე, თუ როგორ მოიძარათა არყის აღებ-მიცემობა და როგორ მოეწყო მას ქართველი ერი, ეს კარგადა სჩანს აწინდელის მდგომარეობიდანაც, რომ ქართველმა ერმა უკვე თვალი გაახილა და ერთობ მალე, უმრავლესი ნაწილი მრეწველობის და ვაჭრობის ასპარეზზედაც გამოვიდა.

იაკო ივანეს ძე ზუბალაშვილი და მის თანამედროვეთ მოქმედება საყურადღებოა იმ გარემოებითაც, რომ ამათ მბასავთ შორის, აღმოსჩნდნენ ფვით მოწინავე პირებშიაც, შეძლებულთ ვაჭრობაშიაც. იაკობ ზუბალოვის მეოხებით XIX საუკუნის პირველ წლების შემდეგ საქართველოში და ნამეტურ იმერეთს არყის ქარხანის მკეთებელთა რიცხვიც გამრავლდა. მაშინ ფოთის, ორპირის და ზოგი ერთი ასეთი ადგილები ვაჭრობის ასპარეზად ითვლებოდნენ. ორპირში კოსტანტინეპოლიდამ სხვა და სხვა საქონელს გარდა შემოჰქონდათ არაყი, მასტიკა და სხვა ასეთი სასმელებიც, ასე რომ მკირე ტროის განმავლობის მეოხებით, ორპირსა და სხვაგან ევროპიელთ მრეწველთ და ვაჭართ სასმელებიც გაბრწყინდა. საქართველოში ევროპიდამ თუმც მრავლად იწყეს სხვა და სხვა სასმელების შემოტანა, მაგრამ ასე მრავლად შემოტანილი სასმელებიც საქართველოს ერს მაინც არა ჰყოფნიდა. ამიტომ 1845 წლებს, ორპირში, არყის ქარხანა გახსნა ორმა რუსმა. ამ ქარხანის საქმე დიდხანს ვერ გაგრძელდა, იგი მალე მოიხშო, მიზეზი მოსპობისა ჩვენ არ ვიცით. ამის შემდეგ 1850 წ. სამტრედიაში, გახსნა კარგი არყის ქარხანა ერთმა რუსის გენერალმა, მაგრამ საქმე ვერც ამას წაუვიდა კარგად, ამავდროს, იმერეთშივე რამდენიმე ალაგას ბერძნებმაც დახსნეს პატერა არყის ქარხნები ნამეტურ შავი ზღვის პირა მდებარე ქალაქებში აღრიდგანვე ჰქონდათ ამათ არყის საქმე დაწყობილი, ხოლო ვერც მათ მისდიოდათ საქმეები უკეთ. მათ ქარხნებს არ ჰქონდათ საზოგადო ხასიათი, იგინი უფრო შინაურათ არსებობდნენ, მათი არსებობის ისტორიკ ჩვენთვის თითქმის უმნი-

შენელოა, საჭიროა კია რომ ყოველი დამ გვარი მხარე ჩვენის ქვეყნისა აინუსხოს. ასე და ამ გვარად 1850 წლებში სამტრედიასა და ორპირაში, ორი დიდი არყის ქარხანა არსებობდა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების და დიდი ვარდასახადის გამო ორივე ქარხნები 1850 წლების შემდეგ აღარ არსებობდნენ, დაიხურნენ. ამ ქარხნების შემდეგ, იმერეთში, ვაჭრობის და მრეწველობის ასპარეზზედ გაჩნდა ბ. გიორგი ქაიხოსროძე ბოლქვაძე. ამ ენერგიულმა კაცმა მოჰკიდა არყის წარმოების საქმეს ხელი და 1885 წ. ქუთაისში გახსნა კარგი არყის ქარხანა. ამიტომ აქ მოკლეთ უნდა მოვიხსენოთ ამის ვინაობაც.

გიორგი ბოლქვაძეს არყის ხდა, წმენდა და გასუფთავება და შეზავება კონსტანტინეპოლს უსწავლია, ბერძნებთან. ბერძნებში იგი ისე დაწინაურებულა, ისე დახელოვნებულა, რომ საქართველოში მოსვლის დროს, მას თავისუფლათ შესძლებია არყის ქარხნის გახსნა, საქმისთვის ხელი მიუყვია და მოკლე დროის განმავლობაში მან გახსნა კარგა დიდი არყის ქარხანა, ანუ არყის გასასუფთავებელი, სადაც გლეხთაგან არაყსაც ყიდულობდნენ და ასხვაფერებდნენ ოსტატურათ. ასეთი საქმის დაწყება ქართველის კაცისაგან იმ დროს ჩვენ ერთობსანაქებო საქმეთ მიგვაჩნია. საჭიროა მის მოღვაწეობის ცნობა მოკლეთ მაინც აინუსხოს. ამ მხნე და ენერგიული კაცის ნაშრომ ნაღვაწმა თავის დროს ერთი ათად იჩინა და იბარტყა, მომავალი ბრწყინვალე დაუდგა და მის ზსენება და სასამეულობაც საქართველოს ყოველ კუთხეს მოედო და მოიფინა, უკანასკნელ საქმე ისე მოეწყო, რომ გიორგი ბოლქვაძე თავის შრომით და კარგის სასამელებით ცნობილ იქმნა თვით მთავრობისაგანაც, უცხო სახელმწიფოთ მცოდნე პირთაგანაც და მასთანავე პატივცემული. ამ ენერგიულს პირს სხვა და სხვა სახელმწიფოებიდგან მიღებული აქვს დიდი ძალი ნიშნები: ჩიკოვოდამ, ნიუიორკიდან, ლონდონიდან, პარიზიდან, იტალიიდან, ტუნისიდან, ნიცადამ, ბერლინიდან და სხვანი. სულ

ნიშნების რიცხვი 100 მეტია. მე, ასეთ ქალაქებიდამ ნიშნების მიღება ქართველისთვის საქებ საქმეთ მიმაჩნია. უნდა აინიშნოს, რომ იმერეთის კვალად, ქართლში ამ ასპარეზზედ აღმოსჩანდნენ ფორაქაშვილები. ფორაქაშვილებს მოსდევენ მირზაშვილები და ბოლოს დროს სარაჯისშვილი, რომლის აღებ მიცემა და წარმოებაც ჩვენის ცხოვრების ასპარეზზედ საკმარისად მნიშვნელოვანს მხარეს წარმოადგენს. აი ასეთი შედეგი მოჰყვა იმ სამრეწველო ნიადაგის განმტკიცებას, რომლის მეთაურათაც იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი ითვლება. XIX საუკუნის შემდეგ იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი მარტოდ არყის სახდელ წარმატებაზედ არ გაჩერებულა. არყის ქარხნის დახურვის შემდეგ მისის საშუალებით გაიხსნა თფილისში პირველი შაქრის ქარხანა, სადაც შაქრის კეთება იწყეს, ეს საქართველოში პირველი მაგალითია და ამიტომ იაკობ ივანეს ძის ზუბალაშვილის ამის შრომასაც ცალკე მიუძღვნით წერილს.

ზ. ჯ.



## II.

# ქართველების ღვთის-მსახურება წარმართობის დროს \*).

ქართველების ღვთის-მსახურებაზე უფრო დიდი გავლენა ჰქონდათ ბერძნებს და სპარსებს: პირველთ დასავლეთ საქართველოსა და მეორეთ — აღმოსავლეთს საქართველოში. საქართველოს ბუნების მოვლენათა მრავალფერობა და სხვა-დასხვაობა ქართველს ჩააგონებდა იმ ჰაზრს, რომ ღვთაების შეგნება შეიძლება ამ მოვლენათა შესწავლის და განხილვის საშუალებით, რომ ღვთაება ბუნებაში სცხოვრობს, რომ იგი მეფეა ბუნებისა. ბუნების თაყვანის-ცემა შეადგენს უმთავრესს ძარღვს ქართული საწარმართო ღვთის-მსახურებისას. რაოდენადაც მრავალგვარია ბუნების მოვლენა, იმდენად მრავალგვარი იყო ქართველთა ცრუმორწმუნეობაც. თითოეულს მოვლენას თვისი ღმერთი ჰყავდა, — იყვნენ ღმერთები პირველი ხარისხისა და მეორე ხარისხისა. ქართველმა გარეგნულად შეითვისა სარწმუნოება; იგი მოხიბლა სარწმუნოების გარეგანმა შესახედავმა მხარემ — ღვთის მსახურებამ და მასთან შეერთებულმა წეს-ჩვეულებათა, ერთი სიტყვით, მან, რასაც იკი თვალით განიცდიდა, თვალთ ხედავდა, რაც მისს ლტოლვილებას სინამდვილის მიმართ აკმაყოფილებდა, რასაც სინამდვი-

\*) იხ. «მეგზაურია» №№ VII და VIII.

ლის, თვალ-საჩინოების ბეჭედი ჰქონდა. სარწმუნოების გარეგანი ხილული მხარე გადიქცა ქართველის სისხლათ და ხორცათ, მის არსებათ... ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართველმა ერმა შეირჩინა მრავალი ჩვეულება წარმართობის დროისა; მათი აღმოფხვრა ქრისტიანობამ ვერ შესძლო ვერც საქართველოში და ვერც სხვაგან. წარმართობას საქართველოში თეორიულად შემუშავებული სწავლა არ ჰქონდა; ის იყო ძლიერი გარეგანი წესებით და ჩვეულებებით...

ტაძრები. საქართველოში ტაძრები იყო აღშენებული პატივსაცემლად ღმერთებისა. დასავლეთს საქართველოში აღშენებული იყო ტაძარი ნახევარ—ღმერთის ახილესისა (ფაზისფოთში) ღმერთის არეი-მარსის პატივსაცემლად. ტაძარი დაბურულს ტყეში აღშენებული იყო მდინარე რიონის ნაპირს, ქუთაისის ახლოს. აღმოსავლეთს საქართველოში იყო აღშენებული ტაძარი ქართლოსის ქალაქში არმაზის პატივსაცემლათ. ფარნაოზ მეფემაც აღაშენა ტაძარი მცხეთის ჩრდილოეთით მთაზე (ზედა-ზადენი). საკერპოები აღმართა ფარნაოზ მეფემ იმ ადგილებშიც, რომელსაც ხალხი პატივსაცემდა. ამ საკერპოებში მან დადგა ძვირფასი კერპები და დააწესა წმინდა პატივსაცემლად დღესასწაულები. ალბანიაში (კახეთ-შარვან-დაღესტანი) ივერიის (ქართლის) სამძღვარზე იდგა ტაძარი დიანასი (არტემიდისა). ტაძართა აღშენების საქმე ძლიერ განვითარდა საქართველოსა და სომხეთში მე-I—II საუკ. ქრისტემდის. ვიცით, რომ სომეხთა მეფემ ვაკატაშაკმა, პონტის მეფის მიტრიდატ I ძმამ, ბერძენთა ზედ-გავლენით, აღაშენა ქალ. არმავირში ტაძარი და საკერპოები მზისა, მთვარისა და თვის წინაპართა სახელებზე \*). ტაძრებს საქართველოში აშენებდნენ მაღლობს ადგილებზე, სხვა ხალხების მსგავსად (ებრაელები, ფინიკიელები და სხვ.). ტაძარი, ქართველთა ჰაზრით,

\*) Моисей Хоренский. История Арменія, гл. 79—87.

სიწმიდის ადგილი იყო; ის გარემოცული იყო საიდუმლოების და შიშის ფარდით... როგორც ვიცით, ზოროასტრის სჯული არ ავალებდა თვისთა შედგომილთა ტაძრების აღშენებას. ეს სჯული დამყარებული იყო პირველ ხანად ბუნების თაყვანის ცემაზე. მსხვერპლს სპარსნი სწირავდნენ მაღალს მთებზე და მდინარეთ ამწვანებულს ნაპირებზე... მაგრამ ზოროასტრის სჯულმა თვისი ელფერი დაჰკარგა, როდესაც ის დაუახლოვდა საბერძნეთის კერპთ-თაყვანისმცემლობას, რომლის ზედ გავლენით სპარსეთში გაჩდა ტაძრები და კერპები... ამის მეოხებით ძლიერ განვითარდა სარწმუნოების გარეგნული ხილული სახე, რომელმაც მოჰკლა სულიერი მხარე ზოროასტრის სჯულისა და სპარსი გადააქცია ასოს, გარეგან. წესრიგთა თაყვანის-მცემელად... ფარნაოზ მეფემ შემოიღო საქართველოში ცეცხლ-თაყვანისმცემლობა სწორედ ასეთის დამახინჯებულის სახისა. მეფეები ძლიერ სცდილობდნენ ტაძრებისა და კერპების გამრავლება-გამშვენებას. კერპებს აკეთებდნენ თიხისას, სპილენძისას, ოქროსას, ვერცხლისას და ხისასაც. მეფე თავის თავს სთვლიდა სარწმუნოების მფარველად და ხალხის თვალში იგი მაღლა იდგა თვით ქურუმთა-მთავარზე და ითვლებოდა ზენა-არსის ნების ხალხისთვის მთხრობელად. ჩვეულებრივი სახლიდამ ტაძარი განსხვავდებოდა მით, რომ ჰქონდა «კუბიკური» სახე და სართულის ზემოდ ამალღებული ადგილი გუმბათის მსგავსად... ქართველმა ხალხმა ძლიერ შეიყვარა თვისი სარწმუნოების გარეგნული სახე, წეს-რიგი... იმის გულისათვის მან მეფეც კი არ დაინდო (ფარნაჯომი). ქართველებმა, როცა გაიგეს, რომ მეფე ფარნაჯომს სურსო შეცვლა მათის სჯულისა, მიმართეს სომეხთა მეფეს ატაშეზს (114—98), შესანიშნავს მოტრფიალეს კერპთ-თაყვანისმცემლობისას, და სთხოვეს მას, რათა მათთვის მიეცა მეფედ თვისი შვილი არშაკი... მეფე ფარნაოზმა კი, რომელიც ფარნაჯომზე აღრე ცხოვრებდა, არ შელახა ქართველთა კერპთ-თაყვანისმცემლობა, როგორც ვიცით, და ამის გამო მისი ცვლილებანი სარწმუნოებ-

რივის ხასიათისა ხალხმა სიამოვნებით მიიღო და არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუცხადა... ისიც კი უნდა ვთქვათ, რომ ტაძრები, კერპები, მსხვერპლი, ქურუმები ქართველმა ძველ დროიდანვე იცოდა... (ფინიკელ-ქალდეველთა გავლენით). შესანიშნავია, რომ ქართველები ტაძრისთვის ირჩევდნენ ამაღლებულს ადგილს, ბუნებისაგან სიმშვენიერით დასაჩუქრებულს... ტაძრების გარშემო გაშენებული იყო საღმრთო ტყეები, ტბები, მშვენიერი და ნაყოფიერი სახნავი მიწები, რომელიც ტაძრებს ეკუთვნოდა.

ქურუმები. ქურუმები, როგორც მსახურნი ღმერთთა, შუამდგომელნი მათ და ხალხის შორის, არსებობდნენ საქართველოში ძველ დროიდანვე, მაგრამ მეფე ფარნაოზამდის ისინი არ შეადგენდნენ მტკიცედ შეკავშირებულს და დაწყობილს წოდებას. ამ მეფემ პირველმა დააარსა ქურუმთა კლასი, როგორც განსაკუთრებული დაწესებულება, მქონებელი თვისის განსაკუთრებულის დანიშნულებისა, მოწოდებისა, უფლებათა, მოვალეობათა და სხვა... ქურუმებად ირჩევდნენ ისეთს პირებს, რომელნიც ცნობილნი იყვნენ თვისის კეთილ-მსახურებით და რომელთაც ხალხი პატივსა ცემდა. მათთვის სავალდებულო იყო ცოდნა ვარსკვლავთ-მრიცხველობისა, საექიმო სწავლისა და სხვა საგნებისა. ისინი სცხოვრობდნენ მცხეთაში (ერთს ადგილს აქ ახლაც ჰქვია „ადგილი მოგვთა“). ქართველს ქურუმებს ჰყავდათ უფროსი ქურუმთა-მთავარი, რომელიც განაგებდა ყოველს საქმეებს სარწმუნოების შესახებ. ის თვალყურს ადევნებდა ქურუმთა ყოფაქცევას, აძლევდა მათ სამართალს და სცდილობდა გაემტკიცებინა საქართველოში ის სარწმუნოება, რომლის წარმომადგენელად იგი ითვლებოდა. ქურუმები სარგებლობდნენ საქართველოში ტაძართა და საეკლესიო მიწათა შემოსავლით. ქურუმთა-მთავარი განაგებდა ყოველს მიწებს, რომელიც კი ტაძრებს ეკუთვნოდა, და მათზე მცხოვრებთაც და აგრეთვე მის ხელთქვეშ იყვნენ, ესრედ წოდებულნი, „ეველა მსახური ტაძართა“. სტრაბონის სიტყვით,

ქურუმები საქართველოში შეადგენდნენ «შეორე წოდებას», რომელიც თვალყურს ადევნებდა მეზობლებთან სამართლიანს კეთილ-განწყობილებას და დამოკიდებულებას. ხალხის თვალში მათ ჰქონდათ დიდი მნიშვნელობა. იგი ხშირად მიმართავდა მათ სხვა და სხვა საკამათო საკითხის და საქმის გადასაწყვეტად... ქურუმები თავგამეტებით სცდილობდნენ გაეწვრცელებინათ საქართველოში ზოროასტრის სჯული (ცეცხლთაყვანისმცემლობა), განსაკუთრებით კი მისი გარეგანი მხარე. ზოროასტრის სჯულის ბრძანებით, ორმუზდის (კეთილი ღმერთის) თაყვანისმცემელი ვალდებულია სოფლად ცხოვრების ჟამს ებრძოდეს ბოროტსა, ბოროტს სულებს სწირავდეს მსხვერპლსა მათის გულისწყრომის დასამშვიდებლად. ებრძოდეს ამსულებს ბუნებაში მანვე ცხოველთა გაწყვეტით და სასარგებლო ნაყოფთა და ხეების გამრავლებით და აგრეთვე იმ «სადგთო კანონის» აღსრულებით, რომელსაც სხვანაირად „კეთილი კანონი“ ეწოდება... ამის მეოხებით მოგვებმა (ფუბეკის სიტყვით) გაავსეს ზენდავესტა (სადგთო წიგნი ცეცხლის თაყვანისმცემელთა) მრავალი წვრილმანი მცნებით, რამაც ირანელის (სპარსის) ცხოვრება დაუმორჩილა უძრავი კანონის მონობას. ზოროასტრი ამცნებდა ხალხს სიწმინდეს ჰაზრებსა, სიტყვებსა და საქმეებში, ხალხი მოგვებმა სიწმინდის ცნებას მისცეს გარეგანი მნიშვნელობა და შეთხზეს მრავალი კანონი, ჩვეულება და წესი, რომელთაც სულიერს, შინაგანს ბუნებასთან არავითარი არსებითი კავშირი არა ჰქონდა. ამ წეს-ჩვეულებათა შემწეობით, მოგვთა ჰაზრით, შეიძლებოდა სიწმინდის დაბრუნება, უკეთუ ვინმე დაჰკარგავდა მას. სწორედ ასეთის დასახიჩრებულის სახით, როგორც ზემოდაც ვთქვით, ვრცელდებოდა ზოროასტრის სჯული საქართველოში ქურუმთა მიერ. ამისდა მიუხედავად, ქურუმებს საქართველოში არ ჰქონდათ მაინც და მაინც დიდი გავლენა სახელმწიფო საქმეებზე. საქართველოს მეფე ერთსა და იმავე დროს წარმომადგენელი იყო სახელმწიფოსიც და საწმუნოებისაც. ქართველი მეფეები, თვისის საკუთარის ნე-

ბით, მოახდენდნენ ცვლილებას სარწმუნოების საქმეებში. ისინი უმორჩილებდნენ სარწმუნოების ინტერესებს სახელმწიფოსას, — უკანასკნელს ინტერესებს მალლა აყენებდნენ სარწმუნოებისაზე... ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ ქურუმები სპარსეთში, სადაც მათ დაჰკარგეს თვისი მნიშვნელობა და ძალა სამხედრო მბრძანებლობის უღლის ქვეშე. სპარსთა მეფეს ჰქონდა სარწმუნოებრივი სიწმინდე და სრული უფლება... მაგრამ მაინც საქართველოში ქურუმთა-მთავარს ეჭირა შეკრე ადგილი მეფის შემდეგ და სარწმუნოებრივს კითხვებში მის ხმას უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველი მეფეები პატივს სცემდნენ ქურუმებსა, — აძლევდნენ მათ სხვა და სხვა უპირატესობას და უფლებას, ნივთიერს დახმარებას და ამით მათ იმადლიერებდნენ. ქურუმებიც ერთგულად ემსახურებოდნენ მეფეების ინტერესებს და ხალხს უქადაგებდნენ მათდა მიმართ ერთგულებას. ქართველებს მეფეთაგან ნება ჰქონდათ დართული ტაძართა და ღმერთებისთვის მიწის შეწირვისა; შენაწირი მიწის შემოსავალი ხმარდებოდა სასულიერო წოდებას და ტაძრებსა. ვიცით, რომ ალბანიაში (კახეთში) სტრაბონის დროს (I საუკ. ქრისტემდის) ჯაჲსას (არტემიდას) ტაძარს ეკუთვნოდა ერთი დიდი მიწა, რომელზედაც მრავალი ხალხი ესახლა... სომხეთშიც დიდი უფლებანი და უაღრესობანი მიანიჭა ქურუმებს მეფე ვაკარშაკ I (მეორე საუკ. ქრისტ -- დის).

ზოროასტრის სჯულს დიდი გავლენა ექმნებოდა ქართველებზე იმისდა მიუხედავად, რომ შეიყვარეს ამ სჯულის გარეგანი სახე... აი მცნებები ზოროასტრის სჯულისა: ა) გეშინოდეს ღვთისა, ბ) არ ჩაიდინო ისეთი რამ, რაც სარწმუნოების კანონებს ეწინააღმდეგება, გ) მუდამ გახსოვდეს ღვთის ქველმოქმედებანი და მადლობდე მას ყოველისა იმისათვის, რაც მან შეჰქმნა კაცის სასარგებლოდ, დ) ლოცვის დროს დღისით მიიქეცი მზისაკენ და ღამით მთვარისკენ: ეს ორი მნათობი გამოხატავს ღვთის დიდებასა და ბრწყინვალეობასა, ე) ნურავის ნუ შეურაცხყოფ და ნუ გასწყვეტ საზოგადოებრივის ცხოვ-

რების კავშირისა, ვ) აღზარდე ბაჭშევები ისე, რომ მათ უყუარდეთ კეთილი ცხოვრება, ზ) გიყვარდეს ქვეშარიტება, რომელიც ყველაზე უმაღლესია და ამის გამო მისდევდემას უკან დაუხეველად, ც) გჰქონდეს სიწყნარე, რომელიც წყაროა ყოველთა სათნოებათა და სხვ... ასეთს სწავლას, არ შეეძლო არ ჰქონოდა საკეთილო გავლენა ქართველთა ზნეობის განვითარებაზე... ამის გამო ქართველებს, არ შეეძლოთ არ მიელოთ სახარების სწავლა შემდეგში (I და IV საუკ. ქრისტეს შემდეგ), როგორც სწავლა, რომელიც გაცილებით მაღლა სდგას ზოროასტრის სწავლაზე თვისის ზნეობითის მოძღვრების სიერციტ, სიღრმით და სიმაღლით. ესრედ სპარსული სჯული საქართველოში ამზადებდა ნიადაგს ქართველთა მიერ სახარების სწავლის მიღებისათვის... ქართველებს შეხვდათ სახარებაში ერთ-ღვთაება, მსგავსი ებრაელთა იეგოფისა და სპარსთა ზერუანე-აკეანასის... მათვე სახარებაში ნახეს კარგად განმარტებული სწავლა განხორციელებული ღვთაების შესახებ, რომელიც მოვიდა ქვეყნად ხალხის ცოდვისაგან გამოსახსნელად... მოლოდინი მომავალის მაცხოვრისა (მესიისა) ჰქონდათ ბინდ-ბუნდად ქართველებსა, სხვათს შორის, ებრაელთა გავლენით. ქართველთა საწარმართო წიგნს „ნებროთიანში“, სხვათა შორის, იყო ნათქვამი: „აღშენებსა მას გოდლისსა ხშირი ზეცრთ ნებროთის მიმართ, რომელი ეტყოდა: განვედ ქალაქით მაგით, რაშეთუ ღმერთი დაჭფარავს. ხალხ უკანასკნელთა დღეთა მთვიდქს მეფე იგი ცისა, რომლისა შენ გნებაეს ხილვა, შეუკაცხი ერსა შორის შეურაცხსა. შიშმან მისმან განაქარვნეს გემონი სოფლისანი; მეფენი დაუტევებდენ მეფობასა და ეძიებდენ სიგლახაკესა, მან გიხილოს შენ ჭირსა შინა და გიხსნეს შენ\*). სპარსთა სარწმუნოების წიგნშიც იყო გამოხატული მოლოდინი ღვთის განხორციელებისა ხალხის გამოსახსნელად ცოდვათაგან... მისი ჰაზრით, უნდა განხორციელებულიყო ღმერთი სოზიოშა და მოსულიყო ქვეყნად, ექადაგნა ხალხისთვის ციური სწავლა და გამოეხსნა კაცობრიობა ცოდვებისაგან...

ილ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება)

\*) ქრახიკეში (ნაწ. 1) თ. უარდნასი გვ. 7—8.

**საქართველოში მიწვეული უცხოელი ახალი წიგნები:**

1. თანამედროვე ქალაქი, ფრანგ. ნათარგმნი კანდე-  
ლისა, . . . . . ფასი 10 კაპ.
2. გოგიას საცოლო, სამ-მოქმედების ვოდევილი,  
ფასი ღმინადის . . . . . ფ. 10 კაპ.
3. ივ. ივ. კერესელიძე, ზ. ჭიჭინაძის . . . . . ფ. 10 კაპ.
4. მეფე ირაკლის გლეხი გმირები, მისივე ფ. 10 კაპ.
5. იმერეთის ისტორია (687—1744), ბატონიშვი-  
ლის ვახუშტისა, გამც. ზ. ჭ. . . . . ფ. 40 კაპ.
6. ბენია, ქართველი მუფეების ხუმარა, ზ. ჭიჭინა-  
ძისა . . . . . ფ. 15 კაპ.
7. იმერეთის ეპისკოპოსი ლუ. . . . . ილ. ნებოძიძე-  
ლისა . . . . . ფ. 10 კაპ.
8. კაცი ვარ და ქუდი მხურავს, კომედია სამ მოქმედე-  
ბად, თ. ივ. რევ. ვაჩნაძისა, გამც. ი. იმედაშვი-  
ლისა . . . . . ფ. 20 კაპ.
9. «პატარა ჩანგია, გამც. «გუთნისა» . . . . . ფ. 15 კაპ.
10. ზაწია და ბუნგლია, ქუთათური ამხანაგობის გამც.  
ტემა, თავ. დ. ავალიანისა, . . . . . ფ. 30 კაპ.
11. მაქსიმ გორკი, ი. იმედაშვილის გამც. . . . . ფ. 50 კაპ.

მ 802  
1902

გამოვიდა და იხეიდა „მოგზაურის“ რედაქციაში  
სტეფანე კ. ზუბალაშვილის საფასვით გამოცემული შე-  
დგეო საყოველთაოდ გამოსადეგი იაფ-ფასიანი წიგნები:

1. წერილი სოფელ მუშას, ტ. არამელაძის ფასი 5 კ.
  2. დიფტერიტი, ი. ალხაზიშვილისა ფ. 5 კ.
  3. დედა-აზრი მეცნიერებისა, კვერკველაძისა ფ. 5 კ.
  4. ძველი რწმენა-წარმოდგენანი და მეცნიერება, ში-  
სავე ფ. 5 კ.
  5. რა არის გონებითი გახსნა-განვითარება, ი. რ—ლისა ფ. 5 კ.
  6. ჰერის შოფვანა ჩინურ-იაპონურად ანუ ბოსტნურის  
წესით, ი. რ—ლისა (უსაჭიროესი წიგნია უოველი  
ქართული ოჯახისათვის) ფ. 5 კ.
  7. დანაშაულობა-დამნაშავენი და იმათ წინააღმდეგ საბრ-  
ძოლველი ახალი საშუალებანი, ის. კვატარაძისა ფ. 5 კ.
  8. რისგან იხრებებიან უდროოდ ჩვენი ბავშვებო და ამის  
აცილება წესიერის შოფლით, ი. რ—ლისა ფ. 5 კ.
  9. აფხაზთ გმირო აზრასკილი, იმედისა ფ. 5 კ.
  10. შეურნება და ახალი სკოლა, ივ. რ—ლისა ფ. 5 კ.
  11. რა არის დისტაქრობა ანუ როგორ აჩვენებ ადამი-  
ანებს დანით? ივ. რ—ლისა ფ. 5 კ.
- ვინც ერთის მასკეთისას ანუ მეტისას დაიბარებს ამ წიგნებო-  
სას, გასაგზავნ ხარჯს რედაქცია კისრულობს.